ლელო
პალიტრა მედია
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
8 ოქტომბერი **შაბათი** 2011
№ 237 (13 534) ფასი 80 თეთრი

# ევრო 2012


8

ემლი იანგი ჩერნოგორიელთა კარში გატანილ გოლს ზეიმობს

# ფაჩულიამ და თურქეთმა ერთმანეთი გაიხსენეს

## ზაზა ლომებში ჩაეწერა



12

# ინგლისი

## ბეწვის ხიდზე გავიდა და გავიდა!


8

# შვეიცარიელები და ცარიელები

## უფრო გუნდმა ნასალღები ნაიღო


2

თქვენც არა გიშავთ, გუნდურ თამაშს სწავლობთო, დაგვამშვიდეს შვეიცარიელებმა

## დარჩა 9 საგზური, ერთის ბედი თბილისში გადაწყდება: ბერძნები თავს შეგვაკლავენ!

# გარი კასპაროვის თბილისური სვლა

11



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

U21

# შვეიცარიამ აუტსაიდერს დაგვამსგავსა

7.10. თბილისი. მ. მესხი.
3000 მაყურებელი

**საქართველო 0**
**შვეიცარია 1**

0:1 აფოლტერი (56)

| საქართველო 4-3-3 | შვეიცარია 4-4-1-1 |
|---|---|
| მაკარიძე | ბიურკი |
| კანდელაკი | ფ. კოხი |
| მ. კობახიძე | რ. კოხი |
| კვერკველია | აფოლტერი |
| ხოჭოლავა | დაკრელა |
| თარხნიშვილი | ვიუტრიხი |
| კვეკვესკირი | ბუფი |
| ძალამიძე | ვისი |
| ჭანტურია | ცუბერი |
| შეყილაძე | კასამი |
| ქობალია | ბენ ხალიფა |
| **მწვრთნელი** | **მწვრთნელი** |
| ს. ჭედია | პ. ტამი |

**საქართველო**

65. ჭანტურია – **ყაზაიშვილი**
71. კანდელაკი – **იოსელიანი**
76. ძალამიძე – **ლექვთაძე**

**სათადარიგოები:** შეროზია, აფაქიძე, კალანდაძე, გუგუჩია

**შვეიცარია**

46. ვიუტრიხი – **სეფეროვიჩი**
79. ბენ ხალიფა – **ტოკო**
89. ბუფი – **ქსაკა**

**სათადარიგოები:** ზიგრისტი, კამბერი, შონბეხლერი, დრმიჩი

**გაფრთხილება:** ბუფი (12), კანდელაკი (26), ჭანტურია (45), კვერკველია (53), ბიურკი (90)

**არბიტრი:** ა. კოსტადინოვი (ბულგარეთი)



სახიფათო მომენტი საქართველოს ნაკრების კართან

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა გუშინდელი მარცხით ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსი, ფაქტობრივად, დაკარგა. **სოსო ჭედიას** სადებიუტო მატჩი უიმედოდ ნამდვილად არ წაუგია, მაგრამ ამას სატურნირო ცხრილისთვის მნიშვნელობა საერთოდ არ აქვს – შესარჩევი ციკლი ხორვატიაში გამარჯვებით დავიწყეთ, მაგრამ ამას ზედიზედ სამი მარცხი მივაყოლეთ და დღეისთვის ჯგუფის აუტსაიდერობის კანდიდატს უფრო ვგავართ. მართალია, ჩვენი გუნდი ხუთგუნდიან ჯგუფში მესამე ადგილზეა, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ, მეტოქეთაგან განსხვავებით, შეხვედრათა ნახევარი უკვე ჩატარებული აქვს.

გუშინდელი მატჩის შედეგი კანონზომიერად მიგვაჩნია, მაგრამ მაინც გულდასაწყვეტია, რამდენიმე საგოლე მომენტი რომ ვერ გამოვიყენეთ. ჩვენს შემტევებს დამაგვირგვინებელ ფაზაში მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ, მინიმუმ ფრეს მაინც მივაღწევდით. ობიექტურობისთვის ისიც უნდა ვთქვათ, რომ გოლს ჩვენი კარიც რამდენიმეჯერ გადაურჩა, მატჩის ბედი კი იმან გადაწყვიტა, რომ შვეიცარიელებმა მეორე ტაიმი ჩვენზე დამაჯერებლად ჩაატარეს და მიზანსაც მიაღწიეს.

შეხვედრის დებიუტი საქართველოს ნაკრების მიერ საუკეთესოდ ჩატარებული დროის მონაკვეთი იყო. საწყის 15 წუთში დაწინაურება არაერთხელ შეგვეძლო – **ირაკლი ქობალიას** დარტყმა მეკარემ მოიგერია, **გიორგი ჭანტურიას** გამჭოლ გადაცემას **ნიკა კვეკვესკირი** ვერ მისწვდა, იმავე ჭანტურიას სახიფათო ჯარიმას კვლავ სტუმართა კიპერი დაუხვდა, ქობალიას თავური კი ოდნავ არაზუსტი აღმოჩნდა.

დაუწერელი საფეხბურთო კანონი კინაღამ უმალ ამოქმედდა – **სებასტიენ ვიუტრიხმა** ხუთიოდე მეტრიდან ფაქტობრივად ცარიელ კარში ვერ გაიტანა და ბურთი ხარიხას გაარტყა, მისმა თანაგუნდელებმა კი დამატებაზე ვერ ივარგეს.

შესვენებამდე დარჩენილ წუთებში საქმე უკვე **გიორგი მაკარიძეს** მიეცა, რომელმაც ყველა საფრთხე დამაჯერებლად განმუხტა და ვფიქრობთ, საქართველოს ნაკრებში ყველაზე სასარგებლო სწორედ იგი იყო.

მეორე ტაიმს დიდი იმედით ველოდით, მაგრამ შეხვედრის უმნიშვნელოვანესი მონაკვეთი არადამაჯერებლად ჩავატარეთ. შვეიცარიელებმა კი ჩვეულად, არცთუ ეფექტურად, მაგრამ ძალიან ეფექტიანად ითამაშეს და სანადელსაც მიაღწიეს. მათმა ტანმაღალმა ცენტრალურმა მცველმა **ფრანსუა აფოლტერმა** კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს თავი შეაგება და - 0:1.

არადა, გოლამდე რამდენიმე წუთით ადრე საქართველოს ნაკრებმა დაწინაურების ორი ჩინებული შანსი გაუშვა ხელიდან – ხელსაყრელი მანძილიდან მიზანს ჯერ **ირაკლი შეყილაძემ** ააცილა, მერე კი ჭანტურიამ.

საქართველოს ნაკრებს გოლის გარდა, კიდევ ერთი უსიამოვნებაც შეემთხვა - მუხლის ტრავმის გამო ჭანტურია შესაცვლელი შეიქნა.

გოლის შემდეგ ჭედიას გუნდს რეგრესი დაეტყო, ველარც კომბინაციურად თამაში გამოსდიოდა და ტემპიც დაეცა.

77-ე წუთზე ქობალიას მაინც შეეძლო გათანაბრება, მაგრამ ეფექტური ვარდნით ოდნავ არაზუსტად დაარტყა.

მატჩის დასკვნითი ნაწილი უხეიროდ ჩავატარეთ და მეტოქეს საკუთარი კარის მშრალად შენახვა აღარ გასჭირვებია.

ასე წავაგეთ მატჩი, რომელშიც ჩვენს ბიჭებს თავდადებას ვერ დავუკარგავთ, მაგრამ წარმატებისთვის მარტო ეს არ კმარა – ვფიქრობთ, თამაში ლოგიკური შედეგით დასრულდა და უფრო ძლიერმა გაიმარჯვა. ერთი შეხედვით, მეტოქეს ბევრით არაფრით დავუჩაგრივართ, თუმცა ისიც ფაქტია, რომ გუშინ გუნდს შვეიცარია უფრო ჰგავდა, ჩვენ კი ჯერ გუნდიც ჩამოსაყალიბებელი გვაქვს და შემადგენლობაც გადასახედი – აქ მხოლოდ ტრავმებით გამოწვეულ იძულებით ცვლილებებს არ ვგულისხმობთ, ნაკრების ზოგიერთი პოტენციური ლიდერი გუშინ საოცრად უფერული იყო.

მატჩის შემდეგ

# ჭედია: ტრავმებმა შეგვასუსტა, ხარისხით კმაყოფილი ვარ

შვეიცარიელთა თავკაცის, **პიერლუიჯი ტამის** მატჩისშემდგომმა პრესკონფერენციამ ხუთიოდე წუთს გასტანა.

- საქართველოს ნაკრებმა ღირსეული წინააღმდეგობა გაგვიწია. თქვენმა გუნდმა განსაკუთრებით მძლავრად პირველი ტაიმი ჩაატარა, მეორეში კი ჩვენი თამაშის ჩვენება შევძელით და მნიშვნელოვან გამარჯვებასაც მივაღწიეთ.

საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ჯგუფში ზედიზედ მეორედ მოვხვდით და უნდა აღინიშნოს, რომ ახლა უფრო გუნდურ ფეხბურთს თამაშობთ, სამაგიეროდ, წინა ციკლში ისეთი ძლიერი ინდივიდუალისტი გყავდათ, როგორიც ჯანო ანანიძეა.

ტამის შემდეგ დარბაზში **სოსო ჭედია** შემოვიდა და, ბუნებრივია, მან უფრო დიდხანს ილაპარაკა.

- შვეიცარიის ნაკრებს გამარჯვებას ვულოცავ. შეიძლებოდა, თამაში სულ სხვა შედეგით დასრულებულიყო, მაგრამ მოხდა ის, რაც მოხდა. შედეგი სამწუხაროა, მაგრამ თამაშის ხარისხით კმაყოფილი ვარ.

მარცხს თავისი მიზეზები აქვს – მეტოქის ფეხბურთელებზე ორი წლით უმცროსი რვა ფეხბურთელი გვყავდა, ტრავმებმა ძალიან შეგვასუსტა...

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ ქობალია და ჭანტურია ინდივიდუალური თამაშით ზედმეტად ერთობოდნენ?**

- როცა საშუალებაა, თავდამსხმელმა თამაში საკუთარ თავზე უნდა აიღოს.

**- მეტს ხომ არ ელოდით ნიკა ძალამიძისგან?**

- ყველასგან უფრო მეტს ველოდი, მეტოქის სიძლიერის მიუხედავად, არ იყო წასაგები თამაში და გამარჯვებაც კი შეგვეძლო.

**- როგორია ჭანტურიას ჯანმრთელობის მდგომარეობა?**

- მისი მუხლის მდგომარეობა ხვალისთვის გაირკვევა.

**- შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნაკრების ბირთვი უკვე ჩამოყალიბებულია?**

- ძირითადად ასეა, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ გუნდის ჩამოყალიბებას დრო სჭირდება, თორემ ეს თაობა საკმაოდ ნიჭიერია, რასაც აუცილებლად დაამტკიცებს.

**- პირადად თქვენ ხომ არ დაუშვით რაიმე შეცდომა?**

- არა მგონია, ვფიქრობ, თამაში სწორად წარვმართეთ.

**- როგორია საქართველოს ნაკრების წევრთა ფსიქოლოგიური მდგომარეობა?**

- ესპანეთის ნაკრებთან ჩატარებულ ორ მატჩში გუნდმა ცხრა გოლი გაუშვა, ასეთი შოკიდან გამოსვლას კი გარკვეული დრო სჭირდება.



სოსო ჭედია





პიერლუიჯი ტამი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

გვერდი მოამზადა
ლევან ჯანეზაშვილმა

U21. მეტოქეები





გახარებული და შეუჩერებელი ესპანელები: გოლის ავტორი როდრიგო და კანალესი

**ხორვატია–ესპანეთი 0:2**

0:1 კოკე (18), 0:2 როდრიგო (57)

**ხორვატია:** კალინიჩი, ანტონიჩი, ზუპარიჩი, პუნჩეჩი (46. ვუიჩევიჩი), კელიჩი, პავლოვიჩი, კოვაჩიჩი, ვუკუშიჩი (57. ლენდრიჩი), შიტუმი, ბროზოვიჩი, ჩოპი (70. კუკოჩ-პეტრაელო)

**ესპანეთი:** დე ხეა, მონტოია, პლანასი, ი. მარტინესი, ამატი, რომეუ, მუნიაინი, კოკე, როდრიგო (79. ა. ვასკესი), კანალესი (87. პაჩეკო), ისკო (73. ხუან კარლოსი)

# ესპანეთი ვერც შუშაკმა შეაჩერა

ესპანეთის ნაკრებმა ოსიეკში ხორვატიას სძლია და ევროშესარჩევის სამ მატჩში მესამე მოგება მიითვალა. **ლუის მილიას** გუნდმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა ჯგუფის აშკარა ფავორიტის სტატუსი, **ივო შუშაკის** გაწვრთნილი ხორვატი ახალგაზრდები კი ნული ქულით ბოლო ადგილზე არიან. სხვა საქმეა, რომ, ჩვენგან განსხვავებით, ხორვატები ესპანელებთან ადამიანური ანგარიშით დამარცხდნენ.

10 და 14 ნოემბერს ესპანელები, შესაბამისად, ესტონეთსა და შვეიცარიას უმასპინძლებენ და კონტინენტის პირველობისკენ დიდი ნაბიჯის გადადგმა წლეულსვე შეუძლიათ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 11-2 | 9 |
| 2. შვეიცარია | 3 | 2 | 1 | 0 | 5-0 | 7 |
| 3. საქართველო | 4 | 1 | 0 | 3 | 3-10 | 3 |
| 4. ესტონეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 5. ხორვატია | 3 | 0 | 0 | 3 | 0-7 | 0 |

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:15
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონი

# ბატონო? მოქალაქეობა შეიცვალესო? ტყუილია!

## მენეჯერი უარყოფს: სხირტლაძეს და დიასამიძეს დანიის პასპორტები არ აუღიათ

დანიის "ორჰუსი", ადრინდელი გერმანული "ფრაიბურგისა" არ იყოს, ქართული ფეხბურთის „ევროპის ფანჯარა" გახდა. ამჟამად "ორჰუსში" ოთხი ქართველი ირიცხება – **დავით დევდარიანი, დავით სხირტლაძე, გეგა დიასამიძე** და **ლაშა შინდაგორიძე**. ზაფხულში კლუბს "სასკოს" აღზრდილების, **გიორგი ქვილითაიასა** და **ოთარ ჩაფიძის** აყვანაც სურდა, მაგრამ მათი ასაკის გამო ეს მოლაპარაკება დროებით შეწყდა.

ახლა კი მთავარზე: ცნობილ საერთაშორისო საფეხბურთო პორტალ "სოკერვეიზე" ალმოვაჩინეთ, რომ "ორჰუსის" ორ ქართველ მოთამაშეს, დავით სხირტლაძესა და გეგა დიასამიძეს გრაფაში "მოქალაქეობა" დანია უწერია.

18 წლის ტანმაღალი (187 სმ) შემტევი ნახევარმცველი სხირტლაძე **გიორგი დევდარიანის** 19-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთი საკვანძო მოთამაშეა, 19 წლისა და ასეთივე სიმაღლის დიასამიძე კი 19-წლამდელების ყოფილი წევრია. საქართველო პატარა ქვეყანაა და, ცხადია, ორი ნიჭიერი მოთამაშის მიერ მოქალაქეობის შეცვლა და მათი დაკარგვა არც ისე სასიამოვნო ამბავია. ამ ინფორმაციის პარალელურად, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების თავკაცმა გიორგი დევდარიანმა ინტერვიუში განაცხადა, რომ შესარჩევი ციკლისთვის მზადება დაიწყეს და, შესაძლოა, კლუბმა სხირტლაძე თურქეთში გასამართ შეხვედრებზე არ გამოუშვასო.

ხომ არ არის ეს დაკავშირებული დანიის მოქალაქეობასთან ან რამდენად რეალურია "სოკერვეის" ინფორმაცია? ვითარებაში გასარკვევად დავუკავშირდით "ორჰუსის" ქართველების მენეჯერს **მალხაზ მუსერიძეს**, რომელმაც ეს ცნობა კატეგორიულად უარყო.

*"მოქალაქეობა შეიცვალეს და დანიის პასპორტი აიღესო? საიდან მოიტანეს, ტყუილია. დანიელები ერთ წელიწადში მოქალაქეობას არ იძლევიან. თუმცა, დარწმუნებული ვარ, მათ ნატურალიზაციაზე უარს არ იტყოდნენ, ორივეს დანიის ნაკრებშიც ათამაშებდნენ"* – გვითხრა მუსერიძემ.

"ორჰუსის" ქართველ ლიდერთან, დავით დევდარიანთან ინტერვიუ ახლახან შემოგთავაზეთ, დანარჩენებზე კი მუსერიძე მოგვითხრობს: *"დიასამიძეს წელის პრობლემები აქვს და მკურნალობს. ამის გამო სეზონის სტარტი გაუცდა და იმედია, მოედანს წლეულს თუ ვერა, ახალი წლიდან მაინც დაუბრუნდება. სხირტლაძე მშვენიერ ფორმაშია და "ორჰუსის" 18-კაციან განაცხადში სისტემატურად ხვდება. მართალია, თამაში ხშირად არ უწევს, მაგრამ ჯერ მხოლოდ 18 წლისაა და მისთვის ძირითადის განაცხადში მოხვედრაც ბევრს ნიშნავს. მწვრთნელებს და კლუბის ხელმძღვანელობას დათოს იმედი აქვთ და სამომავლოდ ამზადებენ, უფრო ზუსტად რომ ვთქვა, სამომავლოდ გუნდის ლიდერად წარმოუდგენიათ და მთავარ გუნდს ნელ-ნელა აჩვევენ.*

*ახლა "ორჰუსი" დანიის სუპერლიგის ლიდერებშია, მე-2 ადგილზეა და ხომ იცით, ამ დროს შემადგენლობას არ ცვლიან ხოლმე, მწვრთნელებს ამ დროს ექსპერიმენტები არ უყვართ. მიუხედავად ამისა, თასზე მაინც ათამაშეს, მოკლედ, დათოს საქმე კარგად მიდის.*

*ლაშა შინდაგორიძეს ენის პრობლემა ჰქონდა, მწვრთნელი ენის ცოდნას ითხოვს და აქ ვერაფერს იზამ. პირველ გუნდთან სისტემატიურად ამიტომ არ ვარჯიშობს, მაგრამ ზამთრიდან მთავარ "ორჰუსში" გადავა".*

**მერაბ მამულაშვილი**



გეგა დიასამიძე



დავით სხირტლაძე

კოლხეთი

# პრობლემა? რამდენიც გინდათ

## ხალხო, უფულოდ ბურთი ეზოშიღა დაგორავს. ქართული ფეხბურთის აკვანი დარწევაზე კი არა, წაქცევაზეა

ფოთის "კოლხეთმა" წლევანდელი ჩემპიონატი ჩინებულად დაიწყო, სტუმრად "მეტალურგთან" (0:0) და "ზესტაფონთან" (1:1) ფრედ ითამაშა და კარგი შთაბეჭდილება დატოვა. კოლხებს გამოცდილი **სოსო ფილია** თავკაცობს, რომლის ხელიც გუნდს აშკარად დაეტყო.

მერე კი კოლხებს საქმეები აერიათ. მართალია, "გაგრასთან" თბილისში 2:1 მოიგეს, მაგრამ მდგომარეობა გაუუარესდათ. "ფაზისზე" მოედნის განახლების გამო გუნდი შინ ვერ თამაშობს, მაგრამ ლიდერებთან ტოლ-სწორი მეტოქეობის შემდეგ მარტვილის "მერანთან" წაგება მაინც გასაკვირი იყო. 8 ტურის შემდეგ "კოლხეთმა" მხოლოდ 6 ქულა მოაგროვა და ბოლოსწინა, მე-11 ადგილზეა. ცხადია, ფოთელებს რვა საუკეთესო გუნდს შორის მოხვედრის მცირე შანსი აქვთ.

როგორც შევიტყვეთ, ეს ყველაფერი კლუბში არსებული მძიმე ფინანსური მდგომარეობის შედეგია. მართალია, ხელფასები არც ისე დიდია (500-დან მაქსიმუმ 1500 ლარამდე), პრემიები კი სასაცილოდ მცირე (100-დან 200 ლარამდე), მაგრამ მოთამაშეებს ამასაც ვერ უხდიან და დავალიანების ნაწილს ნასესხები ფულით ისტუმრებენ.

"კოლხეთს" ტრანსპორტირებაზე უმაღლესი ლიგის გუნდებში ყველაზე მეტი ხარჯის გაღება უწევს. ახლა იმის გამოც გაუჭირდა, რომ საშინაო მატჩებს ვერ ატარებს და მგზავრობის ხარჯი უფრო გაეზარდა, უფულო გუნდისთვის კი ყოველ ტურში ავტობუსის დაქირავება, საწვავის შეძენა და სტადიონზე მისვლა დიდი ტვირთი და სტრესია. ასეთ პირობებში პრობლემურია მოთამაშეთა კვებაც, რაც კლუბის გამოსვლაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს - თანამედროვე ფეხბურთში ეს საკითხი მეცნიერულ დონეზეა. 2 ოქტომბერს "მერანთან" მატჩის შემდეგ ოთხი დღე გავიდა, "კოლხეთი" კი მხოლოდ გუშინ შეიკრიბა და ივარჯიშა.

არადა, ეს არის გუნდი, სადაც ყოველთვის ნიჭიერ მოთამაშეებს ზრდიდნენ და ახლაც ასეა – **სოსო ჭედიამ** ახალგაზრდულ ნაკრებში "კოლხეთიდან" **გიორგი ლემონჯავა** და **ლაშა გვალია** გამოიძახა.

კოლხებს სომხეთის ჩემპიონატში მოთამაშე ორი ქართველის დამატება სურდათ, მაგრამ ტრანსფერი ფინანსებზეა დამოკიდებული, ასეთ შეჭირვებაში მყოფნი კი თამაშს ვერავის სთხოვენ.

არსებობს იმედი, რომ ფოთელებს დაეხმარებიან, მაგრამ ჩემპიონატის ერთი წრე დასასრულს მიუახლოვდა და გუნდი როდისღა უნდა დააფინანსონ? "კოლხეთს" მიხედვა მანამდე სჭირდება, სანამ საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრის თეორიული შანსი კიდევ აქვს, თორემ მერე ურემი ისევე გადაბრუნდება, როგორც წლების წინ და პირველ ლიგას დაუბრუნდება იმ ქალაქის გუნდი, სადაც ქართული ფეხბურთის აკვანი დაირწა.

ერთადერთი, რაც ფოთელებს ახარებთ, "ფაზისის" სტადიონის მოედნის განახლებაა. სამუშაოები სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, დაიწყო მოხრეშვა და, სავარაუდოდ, ოქტომბრის ბოლოს ან ნოემბრის დასაწყისში საფარს დააგებენ. თუმცა გუნდი იქ ერთი თვე ვერ ითამაშებს, რადგან ახალდაგებულ საფარს ნიადაგთან "შეხორცება" და ადაპტაცია სჭირდება.

ასე რომ, საუკეთესო შემთხვევაში "კოლხეთი" ფოთს ნოემბრის ბოლოს თუ დაუბრუნდება.



სოსო ფილია

**მერაბ მამულაშვილი**



**საფეხბურთო კლუბი ცხინვალის „სპარტაკი“ და სამხრეთ ოსეთის ფეხბურთის ფედერაცია მწუხარებას გამოთქვამენ ყოფილი მსაჯის**

**თამაზ ლაცაბიძის**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.**

ქალთა ფეხბურთი



# პირველი ქალი

## თამარ ქველიძე: ქართველი ჩემპიონთა ლიგის განაცხადში

**„ლელოს“ მკითხველმა უკვე იცის, რომ გერმანიის ობერლიგის „კარლსრუეს“ ქალთა გუნდში ჩაირიცხა საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი თამარ ქველიძე, რომელიც უკვე თვეზე მეტია, გერმანიაშია.**

**ვიდრე თამარი გერმანიის ვიზას მიიღებდა, მანამდე ჩემპიონთა ლიგაში ითამაშა. შარშან, აგვისტოში ქველიძესთან 1-წლიანი კონტრაქტი სლოვენიურმა კრკამ გააფორმა, მაგრამ მაშინ სავიზო პრობლემების გამო ფეხბურთელმა საქართველოდან გამგზავრება ვერ შეძლო, თუმცა კონტრაქტი არ გაწყვეტილა, თამარი კვლავ კრკას ფეხბურთელად ითვლებოდა და სლოვენიელთა თხოვნით, მათ ჩემპიონთა ლიგაზეც დაეხმარა, ასე რომ, თამარ ქველიძე პირველი ქართველი ფეხბურთელი ქალია, რომელმაც უეფას ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზა.**

**თამარს კარლსრუეში დავუკავშირდით და ბევრი საინტერესოც შევიტყვეთ.**

*„საკმაოდ ძლიერ გუნდებთან მოგვიწია თამაშმა. სამწუხაროდ, უქულოდ დავრჩით, მაგრამ ხომ წარმოგიდგენიათ, რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ფეხბურთელი ქალისთვის ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობას. საქართველოდან სლოვენიაში ჩასული პირდაპირ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოვხვდი. „რაიო ვალეკანო“, „პეამაუნთ იუნაიტედი“ და „პერნუ“ იყვნენ ჩვენი მეტოქეები და „პეამაუნთთან“ დიდი ანგარიშითაც, 0:7 დავმარცხდით, თუმცა ჩემთვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მთავარი ის იყო, რომ ლიგაში თამაშის საშუალება მომეცა და უდიდესი გამოცდილება მივიღე,“* - გვითხრა თამარმა.

ქველიძე აქაურ სათამაშო პირობებს იხსენებს და გულდაწყვეტილი ამბობს, რომ ბევრმა ისიც კი არ იცის, რომ საქართველოში ქალთა ფეხბურთი არსებობს. აქ უბურთოდ ვარჯიშიც არ იყო მისთვის უცხო - ქალთა ფეხბურთი საქართველოში მომგებიანი არ არის, ამიტომ მასში ფულის ჩადება არავის სურს.

*„სლოვენიაში შესანიშნავი გარემოა. კარგი მოედნები, შედარებაც არ შეიძლება საქართველოსთან, გუნდი უზრუნველგყოფს ტრანსპორტით, საცხოვრებლით, სრული კომფორტია საიმისოდ, რომ ფეხბურთი ითამაშო და განვითარდე. გერმანიაში კი ამაზე უკეთესი პირობებია - ნორმალური ხელფასი, ნამდვილი საფეხბურთო გარემო... არა მგონია, გამიჭირდეს.“*

ეროვნული ნაკრების წევრი სანაკრებო ამბებსაც იხსენებს. ნაკლები ყურადღების გამო გუნდი ხშირად ჩავარდნილა უხერხულ სიტუაციაში, თუმცა ახლა ამას იუმორით იხსენებს. მაგალითად, მალტის ტურნირის წინ შეკრებაზე მყოფებს ოთახში საკანალიზაციო მილი გაუსკდათ, საიდანაც ამოსული მწუთხის შეკავებას თავად ფეხბურთელები ცდილობდნენ.

*„ერთ-ერთი თამაშის წინ აღმოჩნდა, რომ ფორმების ერთ კომპლექტს მაისური აკლდა, ხოლო მეორეს - შორტი. ერთხელ ბილეთები არ გვქონდა წინასწარ აღებული და აეროპორტშივე უნდა ეყიდა ნაკრების მენეჯერს. მან ეს ვერ მოახერხა, ამიტომ უზარმაზარ რიგში მე შევძვერი, როგორმე ბილეთები რომ ამეღო. დანიაში უნდა წავსულიყავით სათამაშოდ, ოთხი დღით ადრე ეროვნული ნაკრების ცენტრ „ბასაზე“ შეგვიყვანეს. ცხელი წყალი არ მოდიოდა და ამიტომ ვერ ვვარჯიშობდით. ავტობუსს საწვავი არ ჰქონდა, საჭმელი არ იყო, ფულს ვაგროვებდით და ბოსტნეულს ვყიდულობდით. ყოველდღე გვპირდებოდნენ, ვითარება გამოსწორდებაო, ვიცოდით, რომ ეს ყველაფერი ტყუილი იყო, მაგრამ მაინც ერთმანეთს ვაჯერებდით. მერე იმედი გვიცრუვდებოდა და ამას რომ შევეგუეთ, ეს იყო ყველაზე სამწუხარო.“*

ვიდრე ჩვენს ქალთა ფეხბურთში რაიმე შეიცვლება და ნაკრებში პირობები გაუმჯობესდება, თაკო ქველიძე გერმანიაში ითამაშებს და იქ შეეცდება ოსტატობის დახვეწას. იმედოვნებს, რომ მისი ევროპული კარიერა დიდხანს გაგრძელდება:

*„კარლსრუესთან“ ერთწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს. ბედნიერი ვიქნები, თუ ეს ვადა გაგრძელდება ან რომელიმე სხვა გერმანულ გუნდში გადავალ. საკუთარ თავს პირობა მივეცი, რომ საუკეთესო მცველი უნდა გავხდე, ასე რომ, შანსს და დროს დაველოდები“.*

**მაგდა კლდიაშვილი**

რეკლამის მენეჯერის
ვაკანსია „ლელოში“
E-mail:hr@kvirispalitra.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

### ინფრასტრუქტურა



# პატარა, კოხტა, მწვანეში ჩაფლული

## მარტვილის მერანი გამოცდის წინაშე: ახალ სტადიონს ქულებიც უნდა!

თუ მარტვილის "მერანის" სტადიონი გინახავთ, დამეთანხმებით, რომ ის საფეხბურთო არენისთვის ჩინებულ ადგილზე მდებარეობს, მწვანეშია ჩაფლული და არის პერსპექტივა, საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული საფეხბურთო კომპლექსი აშენდეს.

მარტვილის "მერანის" გენერალური დირექტორი **ელდარ ბაკურია** ამბობს, რომ სხვა სტადიონების განახლების პარალელურად, მალე ხელი "მერანის" სარბიელსაც შეევლება.

*"სტადიონის განახლების გეგმის თანახმად, ტერიტორიის კეთილმოწყობა და ორი მოედნის გაკეთება იგეგმება – შეიცვლება ცენტრალური არენის საფარი, მიმდებარე ტერიტორიაზე კი ხელოვნურსაფრიანი სავარჯიშო მოედანი გაკეთდება.*

*ცენტრალური მოედნის საფრის შეცვლას ფეხბურთის ფედერაცია მომავალი წლისთვის გვპირდება, სათადარიგო მოედნისა და მთლიანად სტადიონის კეთილმოწყობას კი "მერანის" პრეზიდენტი გეგმავს. უკვე კონკრეტული პროექტიც არსებობს – ხელოვნურსაფრიან მოედანთან 2 500-3 000 მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნა უნდა აშენდეს, სადაც ცენტრალური სექტორი გადაიხურება, მთავარ სარბიელზე კი, დღეს არსებულ 2 000-იან ტრიბუნას ერთი ამდენი მოპირდაპირე, აღმოსავლეთ მხარეს დაემატება, თანაც, არენა შეიკვრება, განახლდება გასახდელები, მსაჯთა და დელეგატთა ოთახები და, რაც მთავარია, გვექნება ახალი საფარი, რომელზეც თამაში სასიამოვნო იქნება.*

*მაგრამ წლეულს კლუბი გამოცდის წინაშეა, ახლა მთავარია, უმაღლეს ლიგაში სადებიუტო სეზონი ღირსეულად ჩავატაროთ, სტადიონის სრული განახლება კი მომავალი წლიდან იგეგმება"* – ამბობს ბაკურია.

უმაღლეს ლიგაში უკვე რვა ტური ჩატარდა, "მერანი" 11 ქულით მეშვიდე ადგილზეა (3 მოგება, 2 ფრე, 3 წაგება), შეძლებისდაგვარად ღირსეულად ასპარეზობს და ლიდერებსაც არაფერს უთმობს. ამან რაიონში ისედაც პოპულარული სპორტის სახეობის მიმართ ინტერესი კიდევ უფრო გაზარდა.

*"დღეს მარტვილის რაიონში ფეხბურთის მიმართ ძალიან დიდი ინტერესია და შემიძლია ვთქვა, რომ რაიონი ფეხბურთითა და "მერანით" ცხოვრობს. სამწუხაროდ, აქ ხალხს ბევრი გასართობი არც აქვს და ინტერესს ესეც განაპირობებს. ჩვენს საშინაო თამაშებზე სტადიონი ყოველთვის სავსეა და, რადგან მხოლოდ 2 000-ადგილიანი არენა გვაქვს, ქომაგები თამაშს სტადიონის გარშემო მდებარე ფერდობებიდან ადევნებენ თვალს. სხვათა შორის, ხალხის თანადგომამაც განაპირობა, "მერანი" წლეულს საკმაოდ ღირსეულად რომ ასპარეზობს. ეს კლუბის ხელმძღვანელთა დამსახურებაა, რომლებმაც მშვიდი სამუშაო გარემო შექმნეს".*

ელდარ ბაკურია ათი წელი საბერძნეთში თამაშობდა, იქაურ უმაღლეს ლიგაში გამოსვლის გამოცდილებაც აქვს და, ცხადია, კავშირებსაც ინარჩუნებს. მაგრამ ამბობს, რომ მათი გამოყენება გუნდზეა დამოკიდებული: *"საბერძნეთში ბევრი მეგობარი მყავს, მაგრამ მათთან პარტნიორული ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად "მერანი", როგორც კლუბი, უნდა გაიზარდოს, დაიხვეწოს, შეიქმნას ინფრასტრუქტურა, რათა მერე არა მხოლოდ ნაცნობებისთვის, უცნობებისთვისაც საინტერესო გახდეს. ჩვენი მიზანი მხოლოდ საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრა არ არის, კლუბი სერიოზულ ძალად უნდა აღიქვან. ამას კი დრო სჭირდება".*

ვერ გეტყვით, რა ბიუჯეტი აქვს უმაღლესი ლიგის ყველაზე შეჭირვებულ კლუბ ბოლნისის "სიონს", უმეტესობის ბიუჯეტი კი მინიმუმ მილიონი ლარი მაინც არის. რა მდგომარეობაა ამ მხრივ მარტვილის "მერანში"?

*"ჩვენს კლუბს ამხელა ბიუჯეტი არ აქვს, მაგრამ ჩვენი მუშაობა არსებული ფინანსური რესურსის ეფექტურ ათვისებაზეა დამყარებული. დროულად გაიცემა ხელფას-პრემიები, დაგვიანება არც მახსენდება. ეს კი გუნდში სტაბილურ გარემოს განაპირობებს,"* – განმარტავს "მერანის" დირექტორი.

"მერანი" იყო პირველი კლუბი პირველი ლიგიდან, რომელიც პროფლიგაში გაერთიანდა. მაგრამ ერთი წლის წინ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** ეროვნული ჩემპიონატის ორგანიზების ფუნქცია ისევ ფედერაციას დაუბრუნა და, ფაქტობრივად, პროფლიგა გააუქმა.

გავიდა დრო და კლუბები მიხვდნენ, რომ საკუთარი ორგანიზაციის ჩამოყალიბება სჭირდებათ. „ვიტ ჯორჯიამ" საქართველოს კლუბების ასოციაციის იდეა გააჟღერა. ბაკურიას კომენტარი ამის თაობაზე ასეთია:

*"რა თქმა უნდა, პროფლიგის მსგავსი ორგანიზაცია საქართველოში უნდა არსებობდეს, რადგან ეს საჭიროა. ლიგა მუშაობდა და რაღაცას აკეთებდა, მაგრამ შემდეგ პრობლემები შეექმნა. მთავარია, საკლუბო საქმეებს მოევლოს, ჩვენი ჩემპიონატის კომერციალიზაცია დაიწყოს, ბიზნესისთვის მიმზიდველი გახდეს და ნაკლებად მნიშვნელოვანია, ამას ფედერაცია გააკეთებს თუ ლიგა, ისევე, როგორც სულ ერთია, რა ერქმევა ორგანიზაციას, პროფლიგა თუ საკლუბო ასოციაცია.*

*თუ ასეთი ორგანიზაცია ჩამოყალიბდება, მთავარია, საინტერესოდ იმუშაოს, კლუბებს კი მიმზიდველი პროექტი შემოგვთავაზონ, საქმე აკეთონ. კლუბების ასოციაციაში, რა თქმა უნდა, გავწევრიანდებით, მაგრამ ეს ჩვენთვის და მთლიანად ქართული ფეხბურთისთვის უნდა იყოს საინტერესო. ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ჩვენ გვერდში დავუდგებით".*

**მერაბ მამულაშვილი**

### პირველი ლიგა, VIII ტური

## „ა" ზონა

**დინამო-მერცხალი 3:0**

06. 10. ბათუმი. ადელი. 200 მაყურებელი

**1:0 თ. ბერიძე (22), 2:0 ა. ბაციკაძე (85), 3:0 მ. ჯორბენაძე (87)**

**დინამო:** შ. მამინაშვილი, მ. ფარტენაძე, ნ. ხუხია, ზ. ლობჟანიძე, კ. მაკარიანი, ვ. თევდორაძე (57. დ. სამსეიშვილი), გ. გოგიტიძე, მ. ჯორბენაძე, ნ. დიასამიძე (57. დ. მალაზონია), ნ. ნასუაშვილი (67. ა. ბაციკაძე), თ. ბერიძე

**სათადარიგოები:** ვ. ქორიძე, ი. ცანავა, ლ. რამიშვილი, თ. კაკალაძე

**მწვრთნელი:** ი. ნასუაშვილი

**მერცხალი:** გია გოგუა, ზ. ვარდუაშვილი, მ. ქობულაძე, ს. გ. ჩიგოგიძე, ზ. ხურციძე, ს. ვ. ჩიგოგიძე, თ. ვარდუაშვილი, ნ. მაჭავარიანი (53. ი. ხეცურიანი), ი. ბაჯელიძე (62. ლ. კოტრიკაძე), ლ. ათუაშვილი (87. გიორგი გოგუა), გ. ტყეშელაშვილი

**სათადარიგოები:** თ. ჩხატარაშვილი, ი. მურუსიძე

**მწვრთნელი:** ხ. ჩხატარაშვილი

**გაფრთილება:** თ. ვარდუაშვილი

**არბიტრი:** ზ. ანიაშვილი (გორი)

**ჩხერიმელა-მესხეთი 3:1**

06. 10. ხარაგაული. „ს. აბაშიძე". 200 მაყურებელი

**1:0 გ. ბოხუა (24), 2:0 გ. თურმანიძე (31), 3:0 გ. ბოხუა (56), 3:1 ი. ცნობილაძე (87)**

**ჩხერიმელა:** ი. კუჭუხიძე, დ. ბერუაშვილი, ი. გვეტაძე, ლ. მახარაძე, ი. ჭანკვეტაძე, გ. თურმანიძე, გ. ჭაავა (65. ბ. ახალაია), გ. გოგიჩაიშვილი (57. გ. ივანაშვილი), დ. კოსტავა, ო. გიორგობიანი (79. გ. ზაქარაშვილი), გ. ბოხუა

**სათადარიგოები:** ი. ორბელაძე, ლ. გუმბერიძე, ი. გვარჯალაძე, ა. ქაშაკაშვილი

**მწვრთნელი:** მ. ხუნდაძე

**მესხეთი:** გ. ძამუნაშვილი, დ. ლეკიშვილი, ლ. სალარიძე, მ. ლეკიშვილი, დ. ხანიშვილი, კ. ხანიშვილი. მ. მურმანიშვილი, ზ. სუდაძე (69. გ. ქურდაძე), გ. წინამძღვრიშვილი (57. ზ. ბარძიმაძე), დ. ტლაშაძე (57. დ. ინასარიძე), ი. ცნობილაძე

**სათადარიგოები:** ო. დარჩია, გ. მურადაშვილი

**მწვრთნელი:** პ. გოგოლაძე

**გაფრთხილება:** გ. ქურდაძე

**არბიტრი:** თ. ხუჭუა (სამტრედია)

**სტუ-მეშახტე 4:0**

06. 10. თბილისი. სპორტკომპლექსი „შატილი". 200 მაყურებელი

**1:0, 2:0, 3:0 ლ. ჯიქიძე (39, 45, 65), 4:0 ნ. მახვილაძე (80)**

**სტუ:** დ. მეფარიძე, გ. კვახაძე, ლ. თვალავაძე, ნ. მაღრაძე (69. ჯ. კოლუა), ლ. საბაძე, ნ. ბიწკინაშვილი, გ. ბიბილეიშვილი (63. ნ. მახვილაძე), ა. ლალაძე, გ. ჯიშკარიანი (70. მ. კოსტავა), ა. ბაგაშვილი, ლ. ჯიქიძე.

**სათადარიგოები:** გ. გოგატიშვილი, ლ. ცხოიძე, ზ. ჭავჭავაძე, ა. აბულაძე

**მწვრთნელი:** გ. ჟორჟოლიანი

**მეშახტე:** დ. ოდიშარია (46. თ. ჯოხაძე), თ. ხარებავა, გ. გვენეტაძე, ზ. ენდელაძე, ნ. ხარაბაძე, მ. კოპალიანი, კ. ხუჯაძე, ვ. ჭრელაშვილი, გ. უგლავა (80. ი. ღიბრაძე), დ. კუტალია, ჯ. ავალიშვილი

**სათადარიგოები:** თ. ჭელიძე, ა. სახელაშვილი, ბ. ჯიშიაშვილი, გ. ხეცურიანი

**მწვრთნელი:** დ. რუხაძე

**გაფრთხილება:** ა. ლალაძე, ლ. საბაძე, ა. ბაგაშვილი; მ. კოპალიანი, თ. ჯოხაძე

**არბიტრი:** ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**სამტრედია-ჭიათურა 2:2**

06. 10. სამტრედია. „ე. მანჯგალაძე". 200 მაყურებელი

**0:1 ლ. ცუცქირიძე (7), 0:2 გ. ქირია (21, პენალტით), 1:2, 2:2 პ. შათირიშვილი (85, 87)**

**სამტრედია:** ნ. ბანძავა, ლ. ჩხიკვაძე, ლ. ხაჭაპურიძე, ზ. მიქელთაძე, ლ. სუთიძე (54. ი. ხვადაგიანი), შ. კერძევაძე, გ. რუხაძე (62. ბ. ახობაძე), ს. მიქაძე, ს. ლეჟავა, რ. ნინუა, პ. შათირიშვილი

**სათადარიგოები:** ვ. ლეკვეიშვილი, ტ. რუხაია, ი. შენგელია

**მწვრთნელი:** კ. მიქაძე

**ჭიათურა:** გ. ბადურაშვილი, ბ. ჭუმბურიძე (56. ო. კურტანიძე, 87. ლ. მაჩაიძე), ნ. გაფრინდაშვილი, ზ. ნოზაძე, ლ. ცუცქირიძე, გ. ქირია, დ. ქირია, შ. ფირცხალავა (26. გ. ვაშაძე), გ. ბრეგვაძე, ლ. ბარათაშვილი, ზ. ხაჭიპერაძე

**სათადარიგოები:** გ. მეცხოვრიშვილი, ს. გაბაძე, ა. ბაბლიძე, ზ. ჯაფარიძე

**მწვრთნელი:** მ. კიპაროიძე

**გაფრთხილება:** შ. კერძევაძე, ს. ლეჟავა; ლ. მაჩაიძე

**არბიტრი:** მ. ბეუქლიშვილი (ყვარელი)

**ლოკომოტ.-კოლხეთი (ხობი) 0:2**

06. 10. საბურთალოს საფეხბურთო კომპლექსი 100 მაყურებელი

**0:1 ლ. ჩაჩიბაია (63), 0:2 ც. ბუკია (86)**

**ლოკომოტივი:** ბ. საჯაია, დ. საჯაია, ნ. ჭანტურია, გ. გურეშიძე, დ. ბაქრაძე (58. დ. ჯიქია), გ. გოროზია, მ. ცინცაძე, ბ. მახარაძე, გ. ბაქრაძე, გ. შარანგია (70. გ. მაისურაძე), გ. კაპანაძე (38. ა. გუგუშვილი)

**სათადარიგოები:** გ. გაბაძე, ლ. კვარაცხელია, ნ. შერაზადიშვილი, გ. ასლამაზიშვილი

**მწვრთნელი:** გ. ჩიტაური

**კოლხეთი:** დ. ხარძეიშვილი, გ. გოგენია, ო. ფიფია, რ. ცობეხია (35. ი. გერგაია), ლ. გოგენია, ც. ბუკია, ლ. ჩაჩიბაია, ლ. მეფიშვილი (90. კ. ალანია), მ. ბესარაშვილი. პ. ბაკარანძე, მ. ჭკადუა (90. პ. გაბრავა)

**სათადარიგოები:** ზ. გელაშვილი, გ. ლომაია, ი. კუტალია, ვ. ფირცხელავა

**მწვრთნელი:** გ. სანაია

**გაფრთხილება:** ბ. მახარაძე

**არბიტრი:** ა. გუნთაძე (ლანჩხუთი)

**მომდევნო მატჩები**

**9 ოქტომბერი**

**ლოკომოტივი-მეშახტე**
(გამოტოვებული შეხვედრა)

**IX ტური, 13 ოქტომბერი**

**კოლხეთი (ხობი)-დინამო (ბათუმი)**
**ჭიათურა-ლოკომოტივი (თბილისი)**
**მეშახტე (ტყიბული)-სამტრედია**
**მესხეთი (ახალციხე)-სტუ (თბილისი)**
**მერცხალი (ოზურგეთი)-ჩხერიმელა (ხარაგაული)**

## „ბ" ზონა

**ჩიხურა-გურია 2:1**

05. 10. საჩხერე. „ძველი სტადიონი". 300 მაყურებელი

**1:0 ლ. ვაშაკიძე (8), 1:1 ლ. კობახიძე (55), 2:1 ლ. ნოზაძე (73)**

**ჩიხურა:** რ. თევდორაძე, ლ. ჩიკვაიძე, ნ. გუშარაშვილი (70. ლ. ნოზაძე), ჯ. ბერიანიძე, ლ. ჭელიძე, ი. ზაბახიძე (78. ე. ზივზივაძე), ლ. ვაშაკიძე, ლ. ბაკურაძე. გ. სილაგავა ნ. კვასხვაძე, თ. მუმლაძე (70. ა. ივანიშვილი).

**სათადარიგოები:** გ. ცარციძე, გ. სალარიძე, გ. ქიმაძე, ზ. მწყერაშვილი

**მწვრთნელი:** ს. ფრუიძე

**გურია:** დ. კეკელიძე, ჯ. გოგიბერიძე, რ. კუკულაძე, ა. დვალიშვილი, გ. ნათენაძე, გ. მელქაძე (46. გ. კვიტაიშვილი), ტ. კუკულაძე, ი. კილაძე, ლ. კობახიძე (61. ზ. რაზმაძე), გ. კვერენჩხილაძე, იაგო დეისაძე (78. გ. შეწირული).

**სათადარიგო:** მ., გოგუაძე

**მწვრთნელი:** გ. იმნაძე

**არბიტრი:** კ. ჭაჭუა (ქუთაისი)

**იმერეთი-ზოოვეტი 5:1**

05. 10. ხონი. ცენტრალური. 500 მაყურებელი

**1:0 იაკობ დეისაძე (17), 2:0, 3:0 ნ. ჩიხლაძე (42, 62), 3:1 გ. ჯოხაძე (65), 4:1 გ. გოდერიძე (68), 5:1 იაკობ დეისაძე (77)**

**იმერეთი:** ს. მეძველია, ვ. ბრეგაძე, ლ. გაჩეჩილაძე, დ. ხაბურძანია, ვ. ბრეგაძე, გ. ცაგარეიშვილი (82. ნ. ჩაჩიბაია), გ. გენძეხაძე გ. გოდერიძე, ბ. ჩხეტიანი (61. გ. ხელაძე), დ. კუხალაშვილი (81. დ. ქუთათელაძე), ნ. ჩიხლაძე, იაკობ დეისაძე

**სათადარიგოები:** გ. ნიქაბაძე, დ. სულაბერიძე, დ. გოდერიძე, ე. რუხაძე

**მწვრთნელი:** დ. ჭელიძე

**ზოოვეტი:** მ. ძიძიგური, შ. გალეგაშვილი (46. უ. მამულაშვილი), თ. ჯიმშელეიშვილი (61. გ. ჭოველიძე), ი. ალასანია, გ. პატარქალიშვილი, შ. ფარულავა, თ. მოსიაშვილი, ი. ჯოჯიშვილი (46. ლ. ჯოხაძე), ი. სვანიძე, გ. ჯოხაძე, ზ. ტიელიძე.

**სათადარიგოები:** ლ. ლობჟანიძე, მ. მახათაძე

**მწვრთნელი:** ე. გუგუშვილი

**გაფრთხილება:** ლ. გაჩეჩილაძე, დ. კუხალაშვილი; შ. ფარულავა, ი. სვანიძე, თ. მოსიაშვილი, გ. პატარქალიშვილი.

**არბიტრი:** ზ. ასკარ-ოღლი (ქარელი)

**სამგურალი-ადელი 5:1**

05. 10. წყალტუბო. „26 მაისი". 200 მაყურებელი

**1:0 გ. ბუხაიძე (29), 2:0 ხ. უგრეხელიძე (48), 2:1 ა. ლორია (52), 3:1 ზ. კუხალაშვილი (56), 4:1, 5:1 გ. ბუხაიძე (65, 70)**

**სამგურალი:** ლ. გორდეზიანი, ბ. ხაჭიპერაძე, ბ. ბიბილაშვილი (32. ნ. უგრეხელიძე), კ. ძაგანია, ზ. ჩიხლაძე, ი. შალიკაშვილი, ლ. ცხადაძე, ხ. უგრეხელიძე (68. გ. უგულავა), გ. ბუხაიძე (77. გ. გორგოძე), ზ. კუხალაშვილი. ლ. ნავერიანი.

**სათადარიგოები:** დ. მემარნიშვილი, ზ. სალინაძე, გ. ჩიხლაძე, რ. ჩიხლაძე

**მწვრთნელი:** გ. გოგიაშვილი

**ადელი:** თ. ცინცაბაძე, მ. ფუტკარაძე, გ. ზოიძე, გ. ხაჩიძე, ვ. ხიდეშელი (73. გ. სირაბიძე), ნ. წულუკიძე, გ. ფალავანდიშვილი (46. ზ. მჟავანაძე), ლ. მამეიშვილი, ა. ლორია, ა. აბუსელიძე, დ. ჯალაღანია (43. ნ. დავითაძე)

**სათადარიგო:** გ. რომანაძე

**მწვრთნელი:** გ. ჯორბენაძე

**გაფრთხილება:** გ. ბუხაიძე, ი. შალიკაშვილი; ლ. მამეიშვილი

**არბიტრი:** შ. ქუხილავა (სოხუმი)

**აეტი-ნორჩი დინამოელი 0:4**

05. 10. თბილისი. სპორტკომპლექსი „შატილი". 100 მაყურებელი

**0:1 ზ. ძაგანია (5), 0:2 ი. ქავთარაძე (43), 0:3 ზ. ძაგანია (45), 0:4 თ. ჩარგეიშვილი (90)**

**აეტი:** ლ. ეზიეშვილი, გ. ბაბულაიძე, ლ. ბიწაძე, თ. მეტრეველი, გ. ბაგალიშვილი (46. პ. კვიკვინია), დ. ლობჟანიძე, ვ. ჭაბუკიანი (24. ლ. არაყიშვილი), გ. ჯაჭვლიანი, გ. გრიგალაშვილი (40. თ. ქართლელიშვილი), ნ. ზაქარიაძე, გ. მარგიანი

**სათადარიგოები:** გ. ყულიჯანიშვილი, გ. ბაკურაძე გ. ვასაძე, ო. ბეღელური

**მწვრთნელი:** ო. სოხაძე

**ნ. დინამოელი:** ა. ნონოსი, გ. კვანტალიანი, ა. ჩუენსუ, გ. ლომიძე, ლ. ელიზბარაშვილი, ზ. ძაგანია (70. გ. ჩუბინიძე), თ. ჩარგეიშვილი, გ. ქვარაია (70. ა. შენგელია), გ. ოქრუაშვილი, ი. ქავთარაძე (63. ბ. შუბითიძე), ლ. ლაბარტყავა

**სათადარიგოები:** ა. ბილიხოძე, დ. ვაშაკიძე, ი. ხელაძე, ვ. ჭანტურიშვილი

**მწვრთნელი:** რ. ბარამიძე

**გაფრთხილება:** გ. ბაბულაიძე, თ. მეტრეველი

**არბიტრი:** თ. გვანცელაძე (სამტრედია)

**სქური-სულორი 3:0**

06. 10. წალენჯიხა. „ს. კვარაცხელია". 300 მაყურებელი

**1:0 ლ. გაბუნია (32), 2:0 გ. ჭკუასელი (37), 3:0 გ. სართანია (45).**

**სქური:** ნ. ჯოლოგუა, ი. ფაცაცია (46. ჯ. ყურუა), ა. მიქენაია, გ. შელია, შ. გაბუნია (46. ზ. მოლაშხია), ლ. გაბუნია, ბ. სვანიძე, ლ. ბოჯგუა, გ. სართანია, ა. სოხინი (46. ლ. შენგელ), გ. ჭკუასელი

**სათადარიგოები:** გ. სორდია, ჯ. კვარაცხელია, ზ. ღარიბაშვილი, ტ. ხარჩილავა

**მწვრთნელი:** ნ. ბოჯგუა

**სულორი:** დ. ხურციძე, ლ. გაბუნია (46. თ. ძაგნიძე), ვ. ნუცუბიძე, ა. ქებულაძე, პ. ბელთაძე (70. გ. ორბელაძე), ნ. გიორგაძე, გ. ნიკოლეიშვილი (82. ბ. დვალიშვილი), კ. კვიმსაძე, მ. ნაფეტვარიძე, ბ. ბელექანია, ბ. სულაბერიძე

**სათადარიგოები:** კ. გოგაძე, ნ. ბრეგვაძე, გ. ბრეგვაძე, თ. მაღლაკელიძე

**მწვრთნელი:** მ. კორძაძე

**გაფრთხილება:** ზ. მოლაშხია, ლ. ბოჯგუა; თ. ძაგნიძე, ა. ქებულაძე

**არბიტრი:** დ. სანოძე (ხონი)

**მომდევნო ტური**

**12 ოქტომბერი**

**ადელი (ბათუმი)-იმერეთი (ხონი)**
**გურია (ლანჩხუთი)-სამგურალი (წყალტუბო)**
**ნ. დინამოელი (თბილისი)-ჩიხურა (საჩხერე)**
**სულორი (ვანი)-აეტი (სოხუმი)**
**ზოოვეტი (თბილისი)-სქური (წალენჯიხა)**

## ქართული ფეხბურთი

**ყველას თავისი აზრი აქვს**


საქართველოს ეროვნული სტადიონი
გილოცავთ პირველი ეროვნული ჩემპიონატის გახსნას!

| | | |
|---|---|---|
| იარუსი 1 | საპატიო ტრიბუნა | სერია |
| სექტორი 19 | 011130 | |
| რიგი | ფასი 2 მან. | |
| ადგილი | | |

ამ ბილეთის მფლობელს უფლება აქვს დაესწროს სეზონის გახსნის მატჩს 2000 წელს!

პირველი ეროვნული ჩემპიონატის პირველი მატჩის ბილეთი

# საქართველოში ფეხბურთი, მარტო ფეხბურთი არაა!

## წერილი რედაქციას

პატივცემულო რედაქცია! თავს უფლებას მივცემ აღვნიშნო, რომ დღეს ზოგიერთი ორატორი თუ ავტორი ავრცელებს შემდეგ აზრს: ვინც ამტკიცებს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ფეხბურთით დაიწყოო - ცრუობს. ეს აბსურდია.

მინდა მკითხველსა და „ექსპერტებს" შევახსენო შემდეგი: საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატი არის შედეგი ეროვნული ენერგიის მოზღვავებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი. სტადიონი ათობით ათასი თანამოაზრის შეკრების ადგილია. ბოროტების იმპერიის არსებობის დროს კი, „თავისუფლების კუნძული". რასაკვირველია, შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს რესპუბლიკის მომავალმა პრეზიდენტმა **ზვიად გამსახურდიამ** დააგვირგვინა საფეხბურთო დიდგორი 1990 წლის 30 მარტს საქართველოს მთავარ სტადიონზე, 100 000 გულშემატკივრის თანდასწრებით.

ყველაფერი კი 1989 წლის 6 ივნისს დაიწყო, როდესაც „ლელომ" გამოაქვეყნა წერილი „გვჭირდება თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში?" წერილისა და წამოწყების ავტორი გახლდათ მომავალში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, კინორეჟისორი **ალექსანდრე ჟღენტი,** რომელმაც სხვათა შორის, იმავე გაზეთის ფურცლებზე იწინასწარმეტყველა: „ეს წერილი გახდა ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის აზრის შემზადების საფუძველი. დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთი პირველი მერცხალია. სხვებიც მალე მოფრინდებიან და დაგვიდგება გაზაფხული - თავისუფალი საქართველო" („ლელო". 6. 09. 1990 წ.).

განვაგრძობ ციტირებას: „ძვირფასო მეგობრებო! ამ დღეს ქართული ფეხბურთი შემოუერთდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და იგი ჩვენთან ერთად იბრძვის საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთს, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს" (ზვიად გამსახურდიას სიტყვა წარმოთქმული 1990 წლის 30 მარტს, ეროვნულ სტადიონზე). წერილს ისევ ციტირებით (მცირე კომენტარით) განვაგრძობ: „შემოგვაქვს წინადადება, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შენობის კედელზე ოქროს ასოებით ამოიტვიფროს წარწერა ამ სიტყვებით.

ჯერ კიდევ საბჭოთა იმპერიის არსებობისას, საქართველოს მომავალმა პრეზიდენტმა ეროვნულ სტადიონზე გახსნა პირველი ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი. საქართველოს დამოუკიდებლობა ფეხბურთით დაიწყო! ასეთი საამაყო ფაქტით ვერც ერთი ეროვნული საფეხბურთო ფედერაცია ვერ დაიტრაბახებს".

პატივისცემით ა. ჯავახაძე, ნ. ბერიძე, ნ. ცისკარიძე, ჟ. ჯიქია და სხვ.

(„ლელო" 12. 3. 2009 წ.)

სხვათა შორის, იმ დღეს აღტაცებულ 100.000 მაყურებელში აღმოჩნდა ერთი, საერთო რაოდენობის 0,001% (!!!) ადამიანი, რომელმაც თავისუფლების ზეიმი შემდეგნაირად აღწერა: „ვინც ამ მატჩს ესწრებოდა, უეჭველად დამეთანხმება, რომ სიხარულის შეგრძნება არავის ჰქონდა.

ეს ეპიზოდი ძალიან საინტერესოა ისევ და ისევ ფსიქოლოგიური ატმოსფეროს თვალსაზრისით, რომელიც საქართველოში სუფევდა. ამ ატმოსფეროში და ისეთმა თითქოს „შეჩვეულმა წვრილმანმა", როგორიც ფეხბურთია, გადამწყვეტი როლი შეასრულა სამოქალაქო ომის ფსიქოლოგიური ფონის წარმოშობაში".

„სევდიანი სულისკვეთება" (დავით გამცემლიძე. ინტერნეტსაიტი).

როგორც ხედავთ, დღევანდელ პროვოკატორებს, წინამორბედი (ერთი, მაგრამ მაინც) ჰყავდათ.

დავუბრუნდეთ საგაზეთო სათაურებსა და წერილების ამონარიდებს:

„ჩვენ უნდა ვიცხოვროთ იდეისათვის". პირველი ეროვნული ჩემპიონატი სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II დალოცა" (30. 03. 2004. „დილის გაზეთი"), „საქართველოს დამოუკიდებლობა ფეხბურთით დაიწყო". „ახალი თაობა" (4. 04. 2004); „საქართველოს დამოუკიდებლობა ფეხბურთით დაიწყო". „ყველა სიახლე" (№12. 2006), „ერთმანეთს შეხვდნენ არა „კოლმეურნე" და „როტორი", ან „დინამო" და „მებოსტნე", არამედ „იბერია" და „კოლხეთი-1913" (№13, 2005. „კვირის პალიტრა"). „საქართველოს დამოუკიდებლობა ფეხბურთით დაიწყო" (№28. 03. 2006, „აისი"), „საქართველოს დამოუკიდებლობა ფეხბურთით დაიწყო" (№112, 2006. „ყველა სიახლე"), „1989 წელს ჯერ კიდევ გაგანია კომუნისტური მმართველობის დროს, სპორტმა, კერძოდ ფეხბურთმა, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში უდიდესი როლი ითამაშა".

„5 ივნისია, ორშაბათი, 1989 წელი. „ლელოს" რედაქციაში ცნობილი კინორეჟისორი ალექსანდრე ჟღენტი გვეწვია. „აი, წერილი. მორჩა! წყალი არ გაუვა, უნდა გავრისკოთ"... მივხვდი, საითაც მიბიძგებდა, მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რას ვრისკავდით - ის, როგორც ავტორი, მე კი როგორც რედაქტორი. წავიკითხე. ასეთ წერილებს „ბომბს" ვეძახით. ეს „ბომბი" სათაურშივე ასაფეთქებლად იყო მომართული. სათაური კი ასეთი იყო - „საჭიროა თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში?" მოკლედ, ეს კაცი კატეგორიულად და გადაჭრით აყენებდა ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობიდან საქართველოს ჩამოშორებისა და ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების საკითხს. მთელმა საქართველომ კი არა, იმავე დღეს ამ წერილის შესახებ უკვე მოსკოვმაც იცოდა. მსოფლიომ გაიგო „ბომბის" ხმა. რა ამბავიც ატყდებოდა, ძნელი მისახვედრი არ არის. სხვათა შორის, იმ ხანებში, ლიტვის კომპარტია ცდილობდა გამოყოფას საკავშირო კომპარტიისგან და ამ ფაქტს არ გამოუწვევია არც დიდ საბჭოთა კავშირში და არც მსოფლიოში ისეთი აჟიოტაჟი, როგორიც ალიკო ჟღენტის მიერ საჯაროდ და საქვეყნოდ გამხელილმა წინადადებამ.

1990 წლის 30 მარტი. მართლაც ღირსახსოვარი, ამაღელვებელი დღე. საქართველოს დამოუკიდებლობა დაიწყო ფეხბურთით და ამ ფაქტს ვერავინ გაექცევა" (№074. 30. 03. 2007. „ლელო").

ამ წერილს კი ორი ციტატით დავასრულებ. ორივე უცხოელებს ეკუთვნით.

„სპორტი ერთმანეთის მიმართ სიძულვილის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმაა. ეს არის უკანასკნელი საშუალება, რომელსაც ფიზიკური აგრესიის გამოსავლენად აძლევს ცივილიზაცია ადამიანებს ომის გარეშე. სპორტი ყველაზე ახლოს დგას ომთან". ამ სიტყვების ავტორი გახლავთ ამერიკული ფეხბურთის ვეტერანი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდეტი **რონალდ რეიგანი.**

მოსკოვის კარნეგი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წამყვანი წევრი **ალექსეი მალაშენკო** კი 2011 წლის 23 მაისის „ნეზავისიმაია გაზეტაში" წერს: „საჭიროა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა დაიწყო საქართველოდან, მაგრამ ეს ყველას დაავიწყდა, პირველი ნაბიჯი ამისა კი იყო თბილისის „დინამოს" გამოსვლა სსრკ-ს ჩემპიონატიდან.

**პატივისცემით,**
**იოსებ ჩახნაშვილი**

## უცხოური ფეხბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ციფრებით ნათქვამი**

# გოლი მე-9 წამზე, ინტერის შავი კვირა და დაუმარცხებელი რუსული არმია

**მოდი, ფიფა-ს ოფიციალური ვებგვერდის დახმარებით, გასული კვირის საინტერესო რეკორდებს, ამბებსა და ისტორიებს ციფრების საშუალებით გავეცნოთ.**

**46** წლის შემდეგ პირველად გამეორდა ჩინეთში ასეთი ისტორია - ჩემპიონის ტიტული დებიუტანტმა გუნდმა მოიგო. „გუანჯოუ იაომ" „ილინის" მიღწევა გაიმეორა, ოთხშაბათს ამ კლუბმა ჩემპიონატის დასრულებამდე 4 ტურით ადრე გაინაღდა ტიტული. გუანდონგის პროვინციის კლუბში დიდი ინვესტიცია ჩაიდო და შედეგმაც არ დააყოვნა, შარშან „იაომ" ჩინეთის სუპერლიგის საგზური მოიპოვა, ახლა კი ჩემპიონობა. თვის დასაწყისში „გუანჯოუ იაომ" წააგო და 44-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა.

**11** საათი და 21 წუთი ვერ გაჰქონდა პრემიერლიგაში „ლივერპულის" ფორვარდ **ენდი ქეროლს** და მან ეს უსიამოვნო პერიოდი მერსისაიდულ დერბიში, „ევერტონის" კარში გატანით შეწყვიტა. სხვათა შორის, „ევერტონი" 10 კაცით ასრულებდა თამაშს - **ჯეკ როდუელის** საკამათო გაძევების გამო. ბოლო 9 ლივერპულური დერბიდან „ევერტონმა" მხოლოდ 1 მოიგო. ამავე ტურში ჩრდილოლონდონური დერბიც იყო, „არსენალმა" „უაით ჰართ ლეინზე" 1:2 წააგო, აგერ უკვე 8 მატჩია **არსენ ვენგერის** გუნდს სტუმრად ეს დერბი არ მოუგია. რაც პრემიერლიგა ჩამოყალიბდა, „არსენალს" ასეთი ცუდი რეკორდი „ტოტენჰემთან" შეხვედრებში არ ჰქონია. სხვათა შორის, ამ თამაშში „ტოტენჰემის" ჰოლანდიელმა ლიდერმა **რაფაელ ვან დერ ვაარტმა** კლუბის ისტორიაში მე-10 000-ე გოლი გაიტანა.

**9** წამი იყო გასული, როცა „კომუნიკასიონესის" ფორვარდმა **ტრანსიტო მონტეპეკემ** გვატემალის ჩემპიონატის ისტორიაში უსწრაფესი გოლი გაიტანა. ამით მონტეპეკემ ასევე „კომუნიკასიონესის" ფეხბურთელის, **ერნან სანდოვალის** რეკორდი მოხსნა, რომელიც 10,8 წამს უდრიდა. სწრაფი გოლი გავიდა არგენტინაშიც, **გაბრიელ აუჩემ** 52-ე წამზე გაიტანა აველიანურ კლასიკოში, ანუ „რასინგისა" და „ინდეპენდიენტეს" შეხვედრაში. ეს კლასიკო ახლა ყველაზე პოპულარულია არგენტინაში, რადგან სუპერკლასიკო „ბოკა ხუნიორსსა" და „რივერ პლეიტს" შორის, ამ უკანასკნელის გავარდნის გამო არ იმართება. „რასინგის" ფორვარდის მოწადინების მიუხედავად, კლასიკო 1:1 მორჩა. ასე რომ, „ინდეპენდიენტეს" კვლავ 68 მოგება დარჩა, „რასინგს" - 47.

**3** უპასუხო გოლი - ასე წააგო შინ მილანის „ინტერნაციონალმა", ეს კი „ინტერის" ბოლო ათწლოვან ისტორიაში უდიდესი მარცხია „ჯუზეპე მეაცაზე". მილანელებმა 0:3 წააგეს „ნაპოლისთან". წინა დიდი მარცხი კი გაცილებით მწარე იყო „ინტერისთვის" - ლურჯ-შავებმა 2001 წლის მაისში „მილანთან" 0:6 წააგეს. „ნაპოლიმ" „ჯუზეპე მეაცაზე" 1994 წლის შემდეგ პირველად მოიგო, ესეც აღსანიშნავი ფაქტია. ახლა „ინტერს" სერია A-ში ყველაზე ცუდი მაჩვენებელი აქვს მიღებულ გოლებში! „ინტერს" ჯერ არ გაუტანია შინ. გაგიკვირდებათ და... სერია A-ს გოლების რაოდენობით (10) „ნოვარა" ლიდერობს. ეს უქმეები ორივე მილანური გრანდისთვის ცუდი გამოდგა - „მილანს" „იუვენტუსთან" გასვლის მატჩში 2008 წლის მერე არ გაუტანია და ვერც ახლა გაიტანა - **მარკიზიოს** გოლებით 0:2 წააგო.

**1** წელიწადი, 3 კვირა და 3 დღეა, რაც მოსკოვის ცსკა-ს რუსულ პრემიერლიგაში სტუმრად არ წაუგია. კვირას ცსკა ყაზანში „რუბინს" 0:0 დაუზავდა. ბოლო ხუთი საგარეო მატჩია, ცსკა ზედიზედ ფრეს თამაშობს სტუმრად, მანამდე კი ზედიზედ ხუთჯერ მოიგო. 20 მატჩია, რაც ცსკა-ს სტუმრად არ წაუგია და ბოლო 5 წელიწადში ჩემპიონის ტიტულის პირველად მოპოვების შანსიც გაუჩნდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ვალენსია**

# რიკარდო კოშტა ნასვლაზე ალაპარაკდა



პრიმერადივიზიონის პირველ მატჩში „ვალენსიამ" 7-გოლიან თრილერში **ექტორ კუპერის** „რასინგი" 4:3 დაამარცხა და პორტუგალიის ნაკრების მცველის, **რიკარდო კოშტას** პრობლემებიც დაიწყო. ამის შემდეგ „ღამურების" თავკაცი **უნაი ემერი** პორტუგალიელს პირველ გუნდს არ აკარებს. „ვალენსიას" დაცვის ცენტრში კი **ადილ რამი** და **ვიქტორ რუისი** თამაშობენ. რიკარდო კოშტა, ბუნებრივია, უკმაყოფილოა ამ მდგომარეობით და მიიჩნევს, რომ, თუკი სიტუაცია უკეთესობისკენ არ შეიცვალა, იანვრის სატრანსფერო ფანჯრის გამოყენება მოუწევს კარიერაში ახალი კლუბის მოსაძებნად: *„მსურს, ჩემი პრობლემების გამო „ვალენსიას" არ შეექმნას დისკომფორტი, მაგრამ ჩემი ღირსების დაცვაც მჭირდება, რადგან პრესაში ერთი-ორი საოცრად არაობიექტური სტატია დაიწერა"*, - განაცხადა რიკარდო კოშტამ. 30 წლის ფეხბურთელი 2010 წლის ზაფხულში გადავიდა „ვალენსიაში" გერმანული „ვოლფსბურგიდან".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




ეროვნული ბიბლიოთეკა

არსენალი

# არტეტა ფაბრეგასი არ არის

„არსენალის“ ნახევარმცველმა, „მეთოფეთა“ ახალმა შენაძენმა, 29 წლის ესპანელმა **მიკელ არტეტამ** განაცხადა, რომ „ემირეიტ სთედიუმზე“ **სესკ ფაბრეგასს** ვერასდროს შეცვლის - ასე რომ ვიფიქრო, სულელი უნდა ვიყოო. შეგახსენებთ, რომ გამთამაშებელი „არსენალში“ „ევერტონიდან“ სატრანსფერო ბაზრის დახურვის დღეს 10 მილიონ ფუნტად გადავიდა. ამას წინ „მეთოფეთა“ კაპიტნის ფაბრეგასის „ბარსელონაში“ გადაბარგება, უძლოდა. ფაბრეგასის სანაცვლოდ ჩრდილოლონდონურმა გუნდმა კატალონიელებისგან 40 მილიონი ფუნტი მიიღო.


მიკელ არტეტა

ამრიგად, არტეტა „არსენალშია“ და **არსენ ვენგერის** გუნდს უმძიმესი პერიოდის დაძლევაში ეხმარება. თან, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, თავისი შესაძლებლობების ზღვარიც კარგად მოეხსენება. ის ამბობს:

*„მე აქ სესკის შესაცვლელად არ გამოვსულვარ. ამას არც შევეცდები. სესკი არსენალის საუკეთესო ფეხბურთელი გახლდათ, მთელ პრემიერლიგაში კი მისი ბადალი სულ ორი კაცი თუ იყო. მე ასეთ გეგმებს არც ვისახავ. ჩემი ამოცანაა, როგორც ფეხბურთელი რაც შეიძლება სრულყოფილი გავხდე და გუნდს საუკეთესო შედეგის მიღწევაში დავეხმარო. მე სხვა პიროვნება ვარ, სესკისგან ხასიათითაც განვსხვავდები და თამაშის სტილითაც. მე „არსენალში“ წარმატებით დამკვიდრების სხვა გზა უნდა ვნახო“.*

დღეისათვის, „მეთოფეები“ პრემიერლიგის ცხრილში მათთვის სრულიად შეუფერებელ, მე-15 ადგილზე არიან. კატასტროფაა - „არსენალმა“ შვიდი თამაშიდან ოთხი წააგო. არტეტა „ევერტონში“ გატარებული ექვსი წლის შემდეგ ახალ გარემოს ჯერ კიდევ ეგუება და ამბობს, რომ მისი „არსენალში“ გადასვლა კინალამ ჩაიშალა.

*„სატრანსფერო ბაზრის ბოლო დღეს დიდი სტრესი გადავიტანე. ძალიან დიდი გაურკვევლობა იყო. შუადღის სამ საათზე მეგონა, რომ ყველაფერი მოგვარებული იყო და უკვე „არსენალის“ ფეხბურთელი ვიყავი, ექვსზე კი ისე ჩანდა, რომ მოლაპარაკება ჩაიშალა და მე „ევერტონში“ ვრჩებოდი. საღამოს ცხრის ნახევარზე მითხრეს, რომ ყველაფერი თავის ადგილზე დაბრუნდა - საქმე ისევ აეწყო და „ემირეიტზე“ გადადვლის ვარიანტი რეალური გახდა, მაგრამ სამედიცინო შემოწმებისთვის აღარ რჩებოდა დრო. მომიწია „არსენალის“ ოფისში მისვლამ და ხვეწნამ - სიტყვაზე მენდეთ, რომ ჯანმრთელი ვარ-მეთქი. თორმეტის ათ წუთზე, როდესაც თითქოსდა ყველაფერი მოგვარდა და ჩემს ტრანსფერს ოფიციალური გაფორმების მეტი აღარაფერი აკლდა, ფაქსის აპარატი გაფუჭდა. კიდევ კარგი, დროულად შეაკეთეს.*

*„ევერტონის“ მწვრთნელი, დევიდ მოიესი ძალიან ვაჟკაცურად მომექცა. 31 აგვისტოს, როდესაც „არსენალისგან“ ჩემს შესახებ წინადადება მოვიდა, მან თვალებში ჩამხედა და პირდაპირ ასე მითხრა: წასვლა გინდა, არა? მე ვუპასუხე, რომ ეს ჩამთვისაც დიდი შანსი იყო და „ევერტონიც“ გვარიან ფულს იშოვიდა. მოკლედ, ჩემი ლონდონში გადასვლა ორივესთვის კარგი ვარიანტი ჩანდა“.*

მოგეხსენებათ, „არსენალმა“ გასულ ზაფხულს იყიდა გერმანელი მცველი **პერ მერტეზაკერიც**, რომელიც ამბობს, რომ ენობრივი პრობლემის წინაშე დგას. 27 წლის ფეხბურთელმა ტაბლოიდებს განუცხადა:

*„სულ ერთი თვეა, რაც გერმანიიდან წამოვედი და ახალ გარემოსთან შეგუების პრობლემა მაქვს. ხანდახან მეუფლება შეგრძნება, რომ შვებულება გამიგრძელდა და მალე შინ უნდა დავბრუნდე, მაგრამ საკუთარ თავს შევუძახებ ხოლმე. ვცდილობ, ერთხელ და საბოლოოდ ჩავიბეჭდო გონებაში, რომ ამიერიდან მე ლონდონში ვცხოვრობ“.*

ვეტერანი


დევიდ ბექჰემი

# დევიდ ბექჰემი საფრანგეთში არ წავა

ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი, 36 წლის **დევიდ ბექჰემი** საფრანგეთიდან მრავალმილიონიან შეთავაზებაზე უარს ამბობს და, როგორც ჩანს, „ლოს ანჯელეს გელექსიში“ რჩება - ასე, მსოფლიო ფეხბურთის დიდმა ვარსკვლავმა შვილების გამო გადაწყვიტა. ბექჰემს ევროპაში დაბრუნებას „პარი სენ ჟერმენი“ სთავაზობდა. პარიზული კლუბი ზაფხულში ყატარელმა მენავთობეებმა იყიდეს და ინგლისელ ვეტერანს წელიწად-ნახევარში 4,6 მილიონ ევროს სთავაზობდნენ.

და მაინც, რატომ თქვა ბექჰემმა ასეთ სარფიან წინადადებაზე უარი? ფულის გარდა, ის ხომ პარიზელთა კლუბის საფეხბურთო საქმეთა დირექტორ **ლეონარდოს** „მილანიდან“ ძალიან კარგად იცნობს, ხოლო მისი მეუღლე, **ვიქტორია ადამსი** ტანსაცმლის დიზაინერის კარიერას პარიზზე უკეთეს ადგილას, სად განავითარებდა? თუმცა, ვარსკვლავი უარზეა და „ლოს ანჯელეს გელექსის“ ახალ წინადადებას ებლაუჭება - ამერიკელები, რომლებთანაც ბექჰემს ძველი ხელშეკრულება დეკემბერში უმთავრდება, ახალ, ერთწლიან კონტრაქტს სთავაზობენ. ამ ყველაფრის მიზეზს ნახევარმცველი თავად განმარტავს:

*„ლეონარდოსთან მილანში შესანიშნავი ურთიერთობა მქონდა და მეამაყება, მას „პარი სენ ჟერმენში“ რომ სურს ჩემი გადაყვანა. მადლობას ვუძღვნი პარიზელებსაც, მაგრამ მე „გელექსის“ ფეხბურთელი ვარ და თავს ლოს ანჯელესში შესანიშნავად ვგრძნობ. გარდა ამისა, ჩემი პრიორიტეტი ჩემი ოჯახია. სადაც ჩემი ოჯახის წევრები იგრძნობენ თავს კარგად, იქ წავალ მეც. ჩემი შვილები უკვე ხუთი წელიწადია ლოს ანჯელესის სკოლაში დადიან. ისინი უკვე იმ ასაკში არიან, როდესაც ადამიანს სტაბილურობა სჭირდება, დღეს ეს მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, იმასვე გავიმეორებ, რასაც ყოველთვის ვამბობ: დავიცდი ჩემპიონატის ბოლომდე და ვნახავ, ფიზიკურად როგორ ვიქნები. მოკლედ, არსად მეჩქარება, დრო მაქვს“.*

ადრე მოგახსენეთ, რომ ბექჰემთან კონტრაქტის გაფორმება სურს მისი მშობლიური ლონდონის კლუბ „ქუინზ პარკ რეინჯერსსაც“. გარდა ამისა, თავის ყოფილ ფეხბურთელს „ლესტერში“ ინგლისის ნაკრების ოდინდელი მწვრთნელი, **სვენ გორან ერიკსონიც** ეპატიჟება, მაგრამ, განა მარტო ინგლისური კლუბები „ნადირობენ“ ვეტერანზე. მას ბრაზილიისა და შორეული აღმოსავლეთის რამდენიმე კლუბიც სთავაზობს თანამშრომლობას.

სკანდალი

# რუნის მამა დაიჭირეს!

„მანჩესტერ იუნაიტედის“ 25 წლის ვარსკვლავის, **უეინ რუნის** მამა შოტლანდიურ ფეხბურთში აგორებული სკანდალის გამო დაიჭირეს. სამართალდამცავები ტოტალიზატორების ამბავს იძიებდნენ.

48 წლის უფროს უეინს შინ, ლივერპულში, დასავლეთ დერბის რეგიონში მიაკითხეს. აიყვანეს ფეხბურთელის 54 წლის ბიძა **რიჩიც**. სულ ცხრა კაცს მოუხდა პოლიციაში ჩვენებების მიცემა. ძმები რუნები ცოტა ხნის შემდეგ თავდებით გაათავისუფლეს, თუმცა გამოძიება გრძელდება და მათ კიდევ ბევრჯერ მოუწევთ დეტექტივთა კითხვებზე პასუხის გაცემა.

მამისა და ბიძის დაკავების ამბავი ინგლისური ფეხბურთის ვარსკვლავმა ეროვნული გუნდის შეკრებაზე გაიგო. პრესა და გულშემატკივრები, რასაკვირველია, ვარსკვლავის ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამო შეშფოთდნენ - ინგლისელებმა გუშინ ხომ ჩერნოგორიაში ევრო 2012-ის შესარჩევი შეხვედრა გამართეს - და ნაკრების თავკაც **ფაბიო კაპელოს** დაურეკეს.

*„უეინს სულ რაღაც ხუთი წუთის წინ ველაპარაკე და დავრწმუნდი, რომ მშვიდად იყო,* – ასეთი გახლდათ იტალიელის პირველი რეაქცია, - *მან მითხრა, რომ ეს ამბავი თამაშში ხელს ვერ შეუშლის“.*

თანაგუნდელს მხარში ნაკრების ყველა ფეხბურთელი ამოუდგა, მერსისაიდის პოლიციამ კი ამასობაში გაავრცელა ოფიციალური განცხადება, რომელშიც წერია:

*„დღეს, გამოძიებამ გლაზგოსა და ლივერპულის მიდამოებში, ბრძანების შესაბამისად აიყვანა და დაკითხა ნიძლავებთან დაკავშირებულ საქმეში გარეული ცხრა ადამიანი. ეს დაპატიმრებები გახლავთ პოლიციისა და „აზარტული თამაშების კომისიის“ ერთობლივი მუშაობის კულმინაცია. ცხრავე აყვანილი ეჭვმიტანილია ფარულ, კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში. საქმე ეხება 2010 წლის 14 დეკემბერს, „მოზერუელსა“ და „ჰართსს“ შორის გამართულ შეხვედრას“.*


უეინ რუნი უფროსი

პოლიციის ოფიციალურ განცხადებაში ჩამოთვლილია დაკავებულთა ასაკი და საცხოვრებელი ადგილი, სახელები და გვარები კი მოხსენიებული არ არის. ამის მიუხედავად, ტაბლოიდებისთვის ცნობილი გახდა, რომ ერთ-ერთი მათგანი „მოზერუელის“ 26 წლის ნახევარმცველი **სტივ ჯენინგსია**. ეს ამბავი შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელმა შეფმა, **სტიუარტ რეგანმაც** დაადასტურა. საბოლოოდ, რა გაირკვევა, ვერ გეტყვით, მაგრამ რეგანმა ერთგვარი სიამაყით განაცხადა, რომ გამოძიება დიდი ხანია მიმდინარეობს და სქოთური პრემიერლიგიდან ეჭვი მხოლოდ ერთ შეხვედრაზე გაუჩნდათ.

*„საფეხბურთო კლუბი „მოზერუელი“ საქმის კურსშია და შესაბამის ნაბიჯებსაც დგამს, შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაცია კი ამ გამოძიებასთან დაკავშირებით მეტ განცხადებას აღარ გააკეთებს“* - თქვა რეგანმა.

ხსენებულ შეხვედრაში სტივ ჯენინგსმა 83-ე წუთზე მსაჯთან იკამათა და წითელი ბარათი მიიღო. კამათის მიზეზი „მოზერუელის“ სასარგებლოდ არ-დანიშნული პენალტი გახლდათ. შეხვედრა „მოზერუელმა“ 2:1 წააგო. საინტერესოა, რომ არსებობს სატელევიზიო ვიდეოჩანაწერი, სადაც ჩანს, რომ გაძევების შემდეგ გასახდელში შესული ჯენინგსი სიმწრისგან პლასტმასის ბოთლს თუ ჭიქას ფეხს ურტყამს. მისი ემოცია, ამ ჩანაწერში, ძალიან გულწრფელი ჩანს.

ლივერპული

# კარამ კმარაო

„ლივერპულის“ ვიცე-კაპიტანი, **ჯეიმი კარაგერი** ამბობს, რომ ერთ წელიწადში შესაძლოა ფეხბურთის თამაშს თავი დაანებოს. მოგეხსენებათ, 33 წლის ცენტრალური მცველი ბავშვობიდან „ენფილდზეა“. 14 წლის განმავლობაში მან 676 შეხვედრა ჩაატარა. პირველი მატჩი წითელი მაისურით კარაგერმა 1997 წელს, ლიგის თასზე, „მიდლსბროს“ წინააღმდეგ ითამაშა.

ლონდონში გამართულ კონფერენციაზე სახელწოდებით „ლიდერები ფეხბურთში“ კარაგერს ჰკითხეს, მისი აზრით, კიდევ რამდენ ხანს შეძლებდა იგი უმაღლეს დონეზე თამაშს. ვეტერანმა თავიდან ხუმრობით უპასუხა:

*„ჰკითხეთ ჩვენს თავკაც კენი დალგლიშს, შემადგენლობას ის ასახელებს. სერიოზულად ვფიქრობ, რომ ეს დიდად იქნება დამოკიდებული „ლივერპულის“ მწვრთნელთა შტაბზე. ფეხბურთელს, რასაკვირველია, სურს რაც შეიძლება დიდხანს ითამაშოს, მაგრამ ორგანიზმი ზღუდავს. ვფიქრობ, ჩემი კარიერა ერთ წელიწადში ან წელიწად-ნახევარში დასრულდება. მაქსიმუმ კიდევ ორი წელიწადი დავყო მოედანზე. კიდევ გიმეორებთ, ეს მარტო ჩემზე არ იქნება დამოკიდებული. ჩემს ბედს გარშემო მყოფი ხალხი გადაწყვეტს.*


ჯეიმი კარაგერი

*მინდა თუ არა, კარიერის დასრულების შემდეგ მწვრთნელი გავხდე? დიახ, ვფიქრობ, ამ გზით წავალ. პირველი ნაბიჯები უკვე გადავდგი. „ბ“ ლიცენზია მაქვს. როდესაც კაცს ფეხბურთი უყვარს, არ ეთმობა“.*

ტოტენჰემი

# ლივერპულის მარცხი ტოტენჰემის იმედია

„ტოტენჰემ ჰოთსპურის“ თავკაცი, **ჰარი რედნაპი** „ქრუს“ ვუნდერკინდის, 17 წლის **მაქს კლეიტონის** შეძენას აპირებს. „დეზების“ თავკაცმა, რომელსაც ინგლისის ნაკრების მომავალ მწვრთნელადაც კი მიიჩნევენ, ამ კვირაში ყმაწვილის დებიუტის სანახავად სკაუტების მთელი ჯგუფი გაუშვა. „ქრუ“ „ჯონსტონ'ზ პეინთ ტროფიზე“ „მეკლსფილდს“ შეხვდა და 1:0 მოუგო. შეჯიბრების სახელწოდებამ დაბნეულობა რომ არ გამოიწვიოს, განვმარტავთ - ლაპარაკია ფეხბურთის ლიგის თასზე, რომელშიც ყოველწლიურად ინგლისის პირველი და მეორე ლიგის გუნდები მონაწილეობენ. შეგახსენებთ, რომ პირველი და მეორე ლიგა ინგლისში სრულად პროფესიული ფეხბურთის ქვედა ორი საფეხურია.

რედნაპის სკაუტების სასიხარულოდ, „ქრუსა“ და „მეკლსფილდის“ შეხვედრაში ერთადერთი გოლი მათი დაკვირვების ობიექტმა გაიტანა.

საინტერესოა, რომ კლეიტონის ყიდვა ორი წლის წინ „ლივერპულს“ უნდოდა და მილიონ ფუნტსაც იმეტებდა, მაგრამ „ქრუს მწვრთნელმა“, **დარიო გრადიმ** ერთი ამბავი ატეხა, პრემიერლიგის გუნდი წესებს არღვევსო - ორი წლის წინ ხომ კლეიტონი თხუთმეტისა გახლდათ. დღეს, „ქრუ“ მეორე ლიგის ოცდაოთხგუნდიან პირველობაში მეცხრამეტე ადგილზეა.

მაქს კლეიტონმა, ბოლო ხანს, 17-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე, მექსიკაში გაიბრწყინა.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მარსელი

# მარსელი იყიდება

**მარგარიტა ლუი დრეიფუსი** მარსელის "ოლიმპიკის" სათავეში, შეიძლება ითქვას, შემთხვევით მოხვდა. ის პროვანსელთა კლუბის ლეგენდარული პრეზიდენტის **რობერ ლუი დრეიფუსის** მეუღლე იყო და მისი გარდაცვალების შემდეგ ყველანაირი საქმე გადაიბარა. მართალია, კლუბის საქმეებში ჩარევის მცდელობა ქალბატონს არასოდეს ჰქონია, მაგრამ პრეზიდენტი, რომელიც კლუბის თამაშებზეც კი იშვიათად დადის, გულშემატკივრებისთვის რთული შესაგუებელია. მიმდინარე სეზონში **დიდე დეშამის** გუნდის წარუმატებელი სტარტის შემდეგ ქალბატონმა მარგარიტამ, როგორც ჩანს, კლუბის შენახვა ზედმეტ ფუფუნებად მიიჩნია და განაცხადა, ღირსეული წინადადების შემთხვევაში მას იოლად შეველევიო. ასეთი კომენტარი მან გაზეთ "ლე მონდის" კორესპონდენტთან საუბრისას გააკეთა. *"მარსელი" არ თამაშობს ისე, როგორც მართებს. ჩემი მეუღლე კლუბში ფულს მისადმი სიყვარულის გამო დებდა, ყატარელები კი ფულს ბიზნესგეგმის მიხედვით ხარჯავენ. მე კი არანაირი საერთო არ მაქვს ყატართან და კლუბის გაყიდვაც ნებისმიერ მომენტში შემიძლია. რაც შეეხება გუნდის მთავარ მწვრთნელს, მე მას საკმარისი სახსრები გამოვუყავი შედეგების მოსაპოვებლად. ახლა უკვე მასზეა დამოკიდებული, რას მიაღწევს მიმდინარე სეზონში".* გეტყვით, რომ "მარსელმა" ქალბატონი მესაკუთრისგან 20 მილიონი ევრო მიიღო ბიუჯეტის შესავსებად.

პროვანსელებმა იანვრისთვის ერთ ფეხბურთელს უკვე დაადგეს თვალი. ლაპარაკია 21 წლის შვედ განაპირა ნახევარმცველ **ნიკლას ჰულტზე**, ვინც ამჟამად სამშობლოში "ელფსბორგის" ღირსებას იცავს. კლუბთან გაფორმებული ხელშეკრულება ფეხბურთელს 2014 წლამდე აკავშირებს, ასე რომ, ფრანგებს ჯიბეზე ხელის გაკვრა მოუწევთ. "ელფსბორგი" ნიკლასში 1 მილიონ ევროს ითხოვს. აქვე გეტყვით, რომ ჰულტმა შთამბეჭდავი სეზონი ჩაატარა შვედეთის ჩემპიონატში, სადაც 30 შეხვედრაში 7 გოლი გაიტანა და 4 საგოლე გადაცემა მიითვალა. ჩვენი აზრით, მხარეებს ტრანსფერზე შეთანხმება არ უნდა გაუჭირდეთ.

**ლევან ბიბილაშვილი**



მარსელის პრეზიდენტი
მარგარიტა ლუი დრეიფუსი

● ფეხბურთი და ტექნოლოგიები

# მორიგი უარი კომპიუტერს

ფიფას პრეზიდენტმა **ზეპ ბლატერმა** ლამის სკანდალურად ქცეული მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შემდეგ პირობა დადო, რომ მისი ორგანიზაცია უახლოეს პერიოდში მიიღებდა გადაწყვეტილებას ფეხბურთში თანამედროვე ტექნოლოგიების თუნდაც მცირე დოზით გამოყენების შესახებ, რაც მსაჯებს საქმეს ერთიორად შეუმსუბუქებდა, მაგრამ როგორც ჩანს, დაპირების შესრულებას ის არ აპირებს. კონსერვატიზმში მას ტოლს არ უდებენ უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინი** და რიგი საფეხბურთო ასოციაციები თუ ფედერაციები.

პლატინი თავიდანვე აცხადებდა, არ მჯერა, რომ თანამედროვე ტექნიკის გამოყენებას ყველა ქვეყანაში და ყველა სტადიონზე ერთნაირად შეძლებენო და ამის გამო ის სკეპტიკურად უყურებდა მათ დანერგვას. სექტემბრის დასაწყისში ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის მდივანმა **ალექს ჰორნმა** განაცხადა, რომ თავისუფლად წარმოედგინა სპეციალური კომპიუტერული პროგრამების გამოყენება საკამათო გოლის ზუსტად დასაფიქსირებლად, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგა, მისმა ორგანიზაციამ პრაქტიკულად უარი თქვა კომპიუტერულ ჩარევაზე. როგორც ირკვევა, ინგლისურ ფეხბურთში საუკეთესო შემთხვევაში ტექნოლოგიების დანერგვა 2013/14 წლების სეზონიდან თუ დაიწყება. პირველი ნაბიჯი აქეთკენ ისევ ფიფამ უნდა გადადგას, რომელმაც ფეხბურთის წესებში ცვლილება უნდა შეიტანოს, რაც მსგავსი ტექნოლოგიის გამოყენებას საბოლოოდ მისცემს სავალდებულო ხასიათს. ფიფას სპეციალურმა კომისიამ კი აღნიშნული წესის შემოღებაზე მსჯელობა 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის დასასრულამდე გადადო.

**ლევან ბიბილაშვილი**

● ჰამბურგი

# ფინკი ჰამბურგს უახლოვდება

„ჰამბურგის" შეფები არ იმჩნევენ, თორემ სანერვიულო ნამდვილად აქვთ და მშვიდად ვერანაირად ვერ იქნებიან. კიდევ კარგი, რომ ახლა სანაკრებო პაუზაა და ჩრდილოგერმანულ კლუბს ამ უქმეებზე კალენდარული მატჩი არ უწევს, თორემ ქაოსი და ნერვიულობა მერე გვენახა. თუმცა „ჰამბურგის" ბოსები გულხელდაკრეფილები არ არიან და ახალი მწვრთნელის ძებნას აგრძელებენ. გერმანულ პრესაში გუშინ გავრცელებული ცნობის თანახმად, სპორტულმა დირექტორმა **ფრანკ არნესენმა** „ბაზელის" თავკაც **ტორსტენ ფინკთან** მოლაპარაკებები დაიწყო.

43 წლის ფინკი „ბაზელთან" ერთად ძალიან წარმატებულია. მოგეხსენებათ, შვეიცარიული კლუბი ჩემპიონთა ლიგაში თამაშობს, სადაც ცოტა ხნის წინ მანჩესტერში მიღწეული უხვგოლიანი ფრით (3:3) ფურორიც კი მოახდინა. ჯგუფური ეტაპის ორი ტურის შემდეგ, ფინკის გუნდი C ჯგუფში პირველ ადგილზეა. ფინკს „ბაზელთან" კონტრაქტი 2013 წლამდე აქვს გაფორმებული და თუ „ჰამბურგს" დათანხმდება, არნესენი და კომპანია იძულებულები იქნებიან, შვეიცარიულ გუნდს კომპენსაცია გადაუხადონ.

**გოტფრიდ ლენცი**

● დორტმუნდი



იაკუბ ბლაშჩიკოვსკი

# კუბა წასვლაზე ალაპარაკდა

## პოლონელისთვის სათამაშო პრაქტიკა ყველაფერზე მაღლა დგას

ეს მოსალოდნელიც იყო: იმის გამო, რომ ბოლო დროს დორტმუნდის „ბორუსიას" ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ათამაშებენ, გერმანიის მოქმედი ჩემპიონის 25 წლის მარჯვენა გარემარბი **იაკუბ ბლაშჩიკოვსკი** დორტმუნდიდან აბარგებაზე ღიად ალაპარაკდა. პოლონელმა ნახევარმცველმა ამაზე თანამემამულე ჟურნალისტისთვის მიცემულ ინტერვიუში ისაუბრა.

*„დორტმუნდის „ბორუსია" გენიალური გუნდია, რომლის ფორმის მორგება ჩემთვის უდიდესი პატივია. აქ ბედნიერი ვიყავი, მაგრამ ახლა ასე აღარ არის. ნამდვილად არ ვარ კმაყოფილი იმით, რომ ბოლო დროს სათამაშო პრაქტიკა მომაკლდა და უმეტესად შეცვლებზე მათამაშებენ. როცა არ ვთამაშობ, ძალიან ვბრაზდები და ვფიქრობ, რომ ყველა ნორმალური ფეხბურთელი ასე უნდა იყოს, როცა არ ათამაშებენ,"* - განუცხადა „კუბამ" პოლონურ ტელეარხ „პოლსატს".

„ბორუსიას" მთავარმა მწვრთნელმა **იურგენ კლოპმა** ბლაშჩიკოვსკი მიმდინარე სეზონში ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ სამჯერ გაამწესა, შეცვლაზე კი ხუთჯერ ათამაშა. უსწრაფესი გარემარბის მთავარი პრობლემა დორტმუნდელთა ვუნდერკინდი **მარიო გიოტცეა** – ბლაშჩიკოვსკი, რომელსაც გერმანიის ჩემპიონთან კონტრაქტი 2013 წლამდე აკავშირებს (ფასი: 7 მილიონი ევრო), სასტარტოდან სწორედ ამ უკანასკნელმა ამოაგდო. რაკი 19 წლის გიოტცე შესანიშნავად თამაშობს, გერმანიის ნაკრებსაც გაუშინაურდა და ზოგადად მთელ საფეხბურთო გერმანიას პირზე მისი გვარი აკერია, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბლაშჩიკოვსკის ძირითად შემადგენლობაში დაბრუნების მიზერული შანსი აქვს. პოლონეთის ნაკრების კაპიტანი დორტმუნდიდან წასვლაზე ასე სერიოზულად ამიტომაც დაფიქრდა.

*„ფაქტია, რომ დეკემბრამდე ვერსად წავალ. ამიტომაც, ჯერჯერობით მოლოდინის პროცესში ვარ. რაც არ უნდა დიდი პატივი იყოს ჩემთვის ამ ბრწყინვალე კლუბში თამაში, სათამაშო პრაქტიკა ყველაფერს მირჩევნია და თანაც, ოდესმე ყველაფერი მთავრდება. ალბათ მოვიდა დრო, რომ ჩემი დორტმუნდული კარიერაც დამთავრდეს. თუ უახლოეს ტურებში უფრო ხშირად არ მათამაშებენ, ზამთარში „ბორუსიადან" წავალ,"* - აცხადებს „კუბა". ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, მისი გადაბირების სურვილი ბლაშჩიკოვსკის ყოფილმა კლუბმა, „ვისლამ" გამოთქვა.

**გოტფრიდ ლენცი**

● სერია A

# ოროსნები

სერია A-ს მიმდინარე გათამაშების დაწყებიდან ხუთი ტურია გასული და უკვე შეგვიძლია ვისაუბროთ იმ ფეხბურთელთა შესახებ, რომლებმაც გულშემატკივრებს თავი საუკეთესო კუთხით დაანახვეს. ბუნებრივია, ჯერ ძალიან ადრეა სეზონის აღმოჩენებზე, იმედგაცრუებებსა და მსგავს თემებზე საუბარი, მაგრამ ასეთი ლოკალური კონკურსის ჩატარება მაინც შესაძლებელი გახლდათ და ჩატარდა კიდეც. იმ ხუთი ფეხბურთელის შესახებ უკვე ვისაუბრეთ, რომლებმაც ტიფოზებს თავი საუკეთესო კუთხით დაამახსოვრეს, დღეს კი იმ ხუთ მოთამაშეზე შევჩერდებით, რომლებმაც ვერ გაამართლეს მათზე გაცემული ავანსები.

### კრისტიან აბიატი (მილანი, 34 წლის)

"მილანის" კიპერმა გასული სეზონი უმაღლეს დონეზე ჩაატარა და დიდი წვლილი შეიტანა მისი გუნდის გაჩემპიონებაში. **აბიატი** იმდენად კარგად გამოიყურებოდა, რომ იტალიელ გულშემატკივართა ნაწილი მის ეროვნულ ნაკრებში გამოძახებას ითხოვდა. შეგახსენებთ, რომ კრისტიანს არასდროს უასპარეზია "სკუადრა აძურაში" და არაერთხელ აქვს ნათქვამი, რომ ეს მისი უპირველესი ოცნებაა.

აი, მიმდინარე სეზონი კი აბიატიმ ისე დაიწყო, რომ ეროვნულ ნაკრებზე ოცნებაც კი გაუჭირდება – თითქმის ყველა შეხვედრაში არადამაჯერებელი გახლდათ, "უდინეზესთან" და "იუვენტუსთან" მატჩებში კი ბავშვური შეცდომები დაუშვა და ნათლად დაგვანახვა, რომ ძალიან ცუდ ფორმაშია. თუ ასე გაგრძელდა, **მასიმილიანო ალეგრის** სათადარიგოთა სკამისთვის მოუწევს თვალის შევლება, სადაც მას **მარკო ამელია** უზის.

### მარკო დი ვაიო (ბოლონია, 35 წლის)

ბოლო ორი სეზონია **მარკო დი ვაიო** "ბოლონიას" მთავარმეგოლე და უდავო ლიდერია. სწორედ ამ ფეხბურთელს უნდა უმადლოდნენ "ლურჯ-წითლები", რომ დღეს სერია B-ში არ უწევთ ასპარეზობა. შესაბამისად, ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში დი ვაიოს კიდევ ერთი წლით გაუხანგრძლივეს ხელშეკრულება და თავდასხმის საკითხი მოგვარებულად მიიჩნიეს.

რეალობა სხვაგვარი გამოჩნდა – ჩემპიონატის დაწყებიდან ხუთი ტური მიილია, დი ვაიო კი ჯერჯერობით ვერაფრით აჩვენებს იმ თამაშს, რომელსაც მისგან გუნდის გულშემატკივრები მიჩვეულნი არიან. რამდენიმე დღის წინ, "ბოლონიას" მწვრთნელი გამოუცვალეს, **პიერპაოლო ბიზოლის** ნაცვლად, გუნდს **სტეფანო პიოლი** ჩაუდგა სათავეში და როგორც პირველივე ბრიფინგზე განაცხადა, დი ვაიოს დიდი იმედი აქვს და მას სასტარტო შემადგენლობის ფეხბურთელად მოიაზრებს. ვნახოთ, ათამაშდება თუ არა მარკო ძველებურად...

### ელჯერო ელია (იუვენტუსი, 24 წლის)

ჰოლანდიის ნაკრების გარემარბში ტურინულმა გრანდმა ცხრა მილიონი ევრო გადაიხადა, თუმცა ჯერჯერობით, **ელია** "იუვენტუსს" არაფერში არგია. სეზონის წინ, **ანტონიო კონტე** გამალებით ეძებდა ფლანგის შემტევს და არჩევანი სწორედ ჰოლანდიელზე შეაჩერა, რომელიც სასტარტო შემადგენლობისთვის მოიაზრებოდა. თუმცა, ჯერ კიდევ საკონტროლო შეხვედრებში ელიამ ვერაფერი შთაბეჭდილება დატოვა და კონტემ სათადარიგოთა სკამზე უკრა თავი.

ძირითად შემადგენლობაში მეტწილად **სიმონე პეპეს და მილოშ კრასიჩს** უწევთ ასპარეზობა, შეცვლებზე კი **ემანუელე ჯაკერინი** და ელია შედიან. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ იგივე ჯაკერინი გაცილებით უკეთეს შთაბეჭდილებას ტოვებს და ჰოლანდიელისგან განსხვავებით, ძირითად თერთმეტეულზეც აცხადებს პრეტენზიას. ვნახოთ, შეიცვლება თუ არა რამე მომავალში, ჯერჯერობით კი ელია "იუვენტუსს" არაფერში არგია.

### ანდრეა კარაჩოლო (ჯენოა, 30 წლის)

გასულ სეზონში, **ანდრეა კარაჩოლო** "ბრეშას" ლიდერი გახლდათ და ფაქტობრივად მარტო იბრძოდა იმისთვის, რომ გუნდი ელიტარულ დივიზიონში დაეტოვებინა. მიუხედავად იმისა, რომ მიზანს ვერ მიაღწია, მისი შესანიშნავი ასპარეზობა უყურადღებოდ არ დარჩენილა და სერია A-ს კლუბებისგან არაერთი შეთავაზება მიიღო. შეგვიძლია ჩამოვთვალოთ კიდეც, თუ რომელ გუნდებს სურდათ ანდრეას გადაბირება და ყველაფერში თავად დარწმუნდებით: "ფიორენტინა", "პარმა", "ბოლონია", "კალიარი", "უდინეზე", "ჯენოა".

კარაჩოლომ არჩევანი "ჯენოაზე" შეაჩერა და ამით, გენუური კლუბის მესვეურები ძალიან გაახარა. დიდხანს ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ **როდრიგო პალასიოსა** და ანდრეა კარაჩოლოსგან შემდგარი ტანდემი რისხვას დაატეხდა თავს მეტოქე უკანახაზელებს. პალასიოს გმირობების შესახებ მაშინ ვისაუბრეთ, როდესაც საუკეთესო ხუთეული ჩამოვთვალეთ, აი, კარაჩოლო კი ჩრდილშია მოქცეული და ჯერჯერობით, გუნდს არაფერში არგია.

### ლორიკ კანა (ლაციო, 28 წლის)

ზაფხულში "ლაციოს" მესვეურებმა არაერთი საინტერესო ტრანსფერი გაჩარხეს, მათ შორის გამორჩეული კი **მიროსლავ კლოზესა** და **ჯიბრილ სისეს** გადაბირება გახლდათ. თუმცა, ჯერ კიდევ სეზონის წინ, **ედუარდო რეიამ** მოულოდნელი კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ ახალწვეულთაგან ყველაზე მეტად **ლორიკ კანასი** ეიმედება.

ალბანელი ნახევარმცველი საფრანგეთში, ინგლისსა და თურქეთში ასპარეზობდა და ყველგან მაღალი კლასის ფეხბურთელად დაგვამახსოვრა თავი. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ რამდენიმე გუნდში სულაც კაპიტნის სამკლავური ეკეთა. მოკლედ, კანაზე "ლაციოს" მთავარმა მწვრთნელმა დიდი იმედები დაამყარა, თუმცა ჯერჯერობით, ალბანელი ჩრდილშია მოქცეული. როგორც იტალიელი ჟურნალისტები იუწყებიან, ლორიკი ვარჯიშებზეც კი არადამაჯერებლად ირჯება და შესაბამისად, ძირითად შემადგენლობაში მისი ადგილი ვერ მოიძებნა. რეიამ მხოლოდ ერთხელ, "პალერმოსთან" პაექრობაში ანდო სასტარტო თერთმეტეულში ადგილი და ისიც მწარედ ინანა, რაზეც მისი შესვენებისას შეცვლა მეტყველებს. ელიას მსგავსად, კანას იტალიური კარიერის წარუმატებლობაზე ლაპარაკი ჯერ ძალიან ადრეა, მაგრამ სეზონის სტარტი რომ ჩააგდო, ეს ცხადზე ცხადია.

**ლაშა ნიკლაური**



მარკო დი ვაიო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2012. შესარჩევი მატჩები

# ინგლისი ევროპის ჩემპიონატზე

## საქართველო-საბერძნეთი დაფასდა

გუშინ ევრო-2012-ის შესარჩევი ეტაპის ბოლოსწინა ტურის მატჩები გაიმართა და ევროპის ჩემპიონატის კიდევ ერთი საგზურის მფლობელის ვინაობა გაირკვა - ჩერნოგორიულ პოდგორიცაში **ფაბიო კაპელოს** ინგლისმა ბეწვის ხიდზე გაიარა და სანუკვარ მიზანს მიაღწია. სტუმრები 2:0-ს იგებდნენ, მაგრამ შემდეგ მასპინძლებმა გამოიღეს ხელი, ამას მამადაპატიმრებული **უეინ რუნის** გაძევება დაერთო და ბოლო წუთზე **ანდრეა დელიბაშიჩმა** თავურით 2:2 დააფიქსირა. ანგარიში, რომელმაც ორივე ნაკრები გაახარა - ინგლისმა პოლონეთ-უკრაინის საგზური მოიპოვა, ხოლო ჩერნოგორია პლეი ოფში გავიდა. სლავებმა ჯგუფში შვეიცარიელები, უელსელები და ბულგარელები ჩატოვეს.

გუშინ შეიძლებოდა კიდევ სამი საგზურის ბედი გარკვეულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა - რუსეთი ნახევარ ნაბიჯზეც არაა მიზნამდე, მაგრამ ოფიციალურად ჯერ არ მოუპოვებია საგზური. წარმატების მიუხედავად, ბოლო ტურისთვის გადაიდო ფრანგთა ტრიუმფიც. აი, პირეოსში კი ხორვატებს დიდი იმედგაცრუება ელოდათ - ბერძნებმა ლიდერებს 2:0 მოუგეს და ახლა ყველაფერს ამ ჯგუფში ბოლო ტური გადაწყვეტს. ასე რომ, 11 ოქტომბერს ელინებს უსიკვდილოდ ესაჭიროებათ თბილისში გამარჯვება.

კარის გაჯახუნების შესანიშნავი შანსი მოგვეცა...

### A ჯგუფი

#### აზერბაიჯანი-ავსტრია 1:4

**აზერბაიჯანი**: აგაიევი, რ. ფ. სადიგოვი, ალახვერდიევი, აბიშოვი, იუნისოღლუ, ჰუსეინოვი, რ. ა. სადიგოვი (46. რ. ამირგულიევი), ისმაილოვი, ბუდაკი, ჯავადოვი (57. ნადიროვი), რ. ალიევი.

**ავსტრია**: გრიუნვალდი, პრიოდლი, ფუხსი, დრაგოვიჩი, შარნერი, დაგი, ივანშიტცი (91. როიერი), ბაუმგარტლინგერი, ალაბა, იანკო (88. ჰოსინერი), არნაუტოვიჩი (67. იუნუცოვიჩი).

**გოლები**: 0:1 ივანშიტცი (34), 0:2 იანკო (52), 0:3 იანკო (62), 1:3 ნადიროვი (74), 1:4 იუნუცოვიჩი (91)

#### თურქეთი-გერმანია 1:3

**თურქეთი**: ვოლქანი, გიოქჰან გიონული, სერვეთ ჩეთინი, ქორქმაზი, ჰაქან ბალთა, მეჰმეთ აურელიო, სელჩუკ ინანი (46. ტიორე), ჰამით ალთინთოფი, არდა თურანი (70. კაზიმ-რიჩარდსი), საბრი სარიოღლუ, ბ. ილმაზი.

**გერმანია**: ნოიერი, ჟ. ბოატენგი (74. ჰიოვედესი), მერტეზაკერი, ბადშტუბერი, ლამი, შვაინშტაიგერი, ხედირა, თ. მიულერი, გიოტცე (90. როისი), პოდოლსკი (62. შიურლე), გომესი.

**გოლები**: 0:1 გომესი (35), 0:2 თ. მიულერი (66), 1:2 ჰაქან ბალთა (79), 1:3 შვაინშტაიგერი (86-პენ)

#### ბელგია-ყაზახეთი 4:1

**ბელგია**: მინიოლე, კომპანი, ვან ბუიტენი, ვერტონგენი, კიმანი, სიმონსი (84. დეფური), ვიტსელი, ჰაზარი (63. ოჯიჯა-ოფოე), დემბელე, მერტენსი, დე კამარგო (73. ოგუნჯიმი).

**ყაზახეთი**: ლოგინოვსკი, როჟკოვი, კიროვი, მუხტაროვი, კურგულინი, კარპოვიჩი (75. შახმეტოვი), კუკეიევი (61. ნურდაულეტოვი), ევსტიგნეევი, მუჟიკოვი, ხიზნიჩენკო, ტაჟიმბეტოვი (56. ოსტაპენკო).

**გოლები**: 1:0 სიმონსი (40-პენ), 2:0 ჰაზარი (43), 3:0 კომპანი (49), 4:0 ოგუნჯიმი (84), 4:1 ნურდაულეტოვი (86-პენ)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 9 | 9 | 0 | 0 | 31-6 | 27 |
| 2. ბელგია | 9 | 4 | 3 | 2 | 20-12 | 15 |
| 3. თურქეთი | 9 | 4 | 2 | 3 | 12-11 | 14 |
| 4. ავსტრია | 9 | 3 | 2 | 4 | 16-17 | 11 |
| 5. აზერბაიჯანი | 9 | 2 | 1 | 6 | 10-25 | 7 |
| 6. ყაზახეთი | 9 | 1 | 0 | 8 | 6-24 | 3 |

**მომდევნო ტური**

**11 ოქტომბერი**

ყაზახეთი-ავსტრია
თურქეთი-აზერბაიჯანი
გერმანია-ბელგია

### B ჯგუფი

#### სომხეთი-მაკედონია 4:1

**სომხეთი**: ბერეზოვსკი, ჰოვსეპიანი, ალექსანიანი, არტურ იედიგარიანი, ლაზარიანი (91. მალაქიანი), მხითარიანი, მკრტჩიანი (75. სარქისოვი), ჰაირაპეტიანი, პიცელი (63. მანუჩარიანი), მოვსესიანი, იუსპაშიანი.

**მაკედონია**: ბოგატინოვი, ნოვესკი, შიკოვი, პოპოვი, გეორგიევსკი (51. ლაზარევსკი), შუმულიკოსკი, დემირი, მუარემი (46. დუროვსკი), ფ. ივანოვსკი, მ. ივანოვსკი (60. მიტრესკი), ტრიკოვსკი.

**გოლები**: 1:0 პიცელი (28), 2:0 მხითარიანი (34), 3:0 ლაზარიანი (69), 3:1 შიკოვი (86), 4:1 სარქისოვი (91)

#### სლოვაკეთი-რუსეთი 0:1

**სლოვაკეთი**: მუჩა, შკრტელი, ჰუბოკანი, პეკარიკი, დურიცა, მ. კარჰანი (86. შებო), ჰამშიკი, კუკა (73. გუედე), შტოხი, იენდრიშეკი, ჰოლოშკო (73. ვაისი).

**რუსეთი**: მალაფეევი, ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ანიუკოვი, ჟირკოვი (94. ა. ბერეზუცკი), შიროკოვი, ზირიანოვი, დენისოვი, არშავინი, ძაგოევი (91. სამედოვი), პავლიუჩენკო (87. პოგრებნიაკი).

**გოლი**: 0:1 ძაგოევი (71)

#### ანდორა-ირლანდია 0:2

**ანდორა**: გომესი, ლიმა, ბერნაუსი, ემილი გარსია, კ. მარტინესი, ა. მარტინესი (78. ივან ლორენსო), ხოსეპ აიალა, მარსიო ვიეირა, სერხი მორენო, მარკ პუხოლი (59. კარლოს პეპე), ფერნანდო სილვა.

**ირლანდია**: გივენი, ოდი, ოში, უორდი, ლეჯერი, მაკგიდი, დაფი (75. ს. ჰანტი), ველანი (64. ფაჰი), ენდრიუსი, კ. დოილი (71. ლონგი), კინი.

**გოლები**: 0:1 კ. დოილი (8), 0:2 მაკგიდი (20)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 9 | 6 | 2 | 1 | 11-4 | 20 |
| 2. ირლანდია | 9 | 5 | 3 | 1 | 13-6 | 18 |
| 3. სომხეთი | 9 | 5 | 2 | 2 | 21-8 | 17 |
| 4. სლოვაკეთი | 9 | 4 | 2 | 3 | 6-9 | 14 |
| 5. მაკედონია | 9 | 2 | 1 | 6 | 7-13 | 7 |
| 6. ანდორა | 9 | 0 | 0 | 9 | 1-19 | 0 |

**მომდევნო ტური**

**11 ოქტომბერი**

რუსეთი-ანდორა
ირლანდია-სომხეთი
მაკედონია-სლოვაკეთი

### C ჯგუფი

#### ჩრდ. ირლანდია-ესტონეთი 1:2

**ჩრდ. ირლანდია**: კამპი, ბეირდი, მაკალეი, ქეთკარტი, ჰოდსონი, ს. დევისი, ბრანტი, მაკკანი (83. ჰილი), კლინგანი (32. ევანსი), ლაფერტი (69. ფინი).

**ესტონეთი**: პარეიკო, კლავანი, სტეპანოვი, პიიროია, იეგერი, კრუგლოვი, დმიტრიევი, პური (57. პურიე), ვუნკი, აჰიუპერა (46. ზენჟოვი), კინკი (65. ვასილიევი).

**გოლები**: 1:0 ს. დევისი (22), 1:1 ვასილიევი (77-პენ), 1:2 ვასილიევი (84)

#### სერბეთი-იტალია 1:1

**სერბეთი**: იორგაჩევიჩი, ივანოვიჩი, სუბოტიჩი, რაიკოვიჩი, კოლაროვი, სტანკოვიჩი (87. იოვანოვიჩი), კრაშიჩი (76. ჟიგიჩი), ფეისა (46. პეტროვიჩი), ნინკოვიჩი, ტოშიჩი, პანტელიჩი.

**იტალია**: ბუფონი, მაჯო, ბარძალი, ბონუჩი, კიელინი, დე როსი, პირლო, მონტოლივო (81. აკვილანი), მარკიზიო (70. ნოჩერინო), როსი, კასანო (66. ჯოვინკო).

**გოლები**: 0:1 მარკიზიო (2), 1:1 ივანოვიჩი (26)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 9 | 7 | 2 | 0 | 17-2 | 23 |
| 2. ესტონეთი | 10 | 5 | 1 | 4 | 15-14 | 16 |
| 3. სერბეთი | 9 | 4 | 3 | 2 | 13-11 | 15 |
| 4. სლოვენია | 9 | 3 | 2 | 4 | 10-7 | 11 |
| 5. ჩრდ. ირლანდია | 9 | 2 | 3 | 4 | 9-10 | 9 |
| 6. ფარერები | 10 | 1 | 1 | 8 | 6-26 | 4 |

**მომდევნო ტური**

**11 ოქტომბერი**

იტალია-ჩრდ. ირლანდია
სლოვენია-სერბეთი

### D ჯგუფი

#### ბოსნია-ლუქსემბურგი 5:0

**ბოსნია (4-4-2)**: ბეგოვიჩი – პაპაჩი, სპაჰიჩი, მუიჯა, რახიმიჩი (ზაჰიროვიჩი 59) - პიანიჩი, ლულუჩი (მალეტიჩი 66), მედუნიანინი (იბრიჩიჩი 64), მისიმოვიჩი - ჯეკო, იბიშევიჩი

**ლუქსემბურგი (4-4-2)**: ჟუბერი - ბლაისი, ბუკვიჩი, შნელი, მუტში - ლევეკი, ბეტმერი, პაიალი, ლატერცა (იენიში 83) - გერსონი, და მოტა (ჟოაკიმი 44)

**გოლები**: 1:0 ჯეკო (12), 2:0 მისიმოვიჩი (15), 3:0 მისიმოვიჩი (22), 4:0 პრანიჩი (36), 5:0 მედუნიანინი (51)

**მაყურებელი**: 10 000

#### რუმინეთი-ბელარუსი 2:2

**რუმინეთი**: პანტილიმონი – მატელი, რაცი, ტამაში, მოცი, ბურჩანუ, ლაზარი (კოშიჩი 70), ტორჯე, სინმერტიანი (კრისტია 28), მარიკა (სტანკუ 80), მუტუ

**ბელარუსი**: ჟევნოვი – კულჩიი, ვერხოვცოვი, ბორდაჩევი (ვერეტილო 90), ფილიპენკო (პლასკონი 19), ომელიანჩუკი, დრაგუნი, კრივეცი (რუდიკი 60), ნეხაიჩიკი, კისლიაკი, კორნილენკო

**გოლები**: 1:0 მუტუ (19), 1:1 კორნილენკო (45), 2:1 მუტუ (51) პენ, 2:2 დრაგუნი (84)

**მაყურებელი**: 29 486

#### საფრანგეთი-ალბანეთი 3:0

**საფრანგეთი**: ლორისი, ევრა (რევეიერი 46), რამი, კაბული, დებიუში, კაბაიე (მარტენი 47), ნასრი, მალუდა, მვილა, გომისი (სისე 81), რემი

**ალბანეთი**: უიკანი – ლილა, ვანგელი, დალკუ, ცანა, დურო, ლიკა (ლილაი 81), ჰიკა (ბაკაი 63), სალიჰი, მუზაკა (იანუზი 74), როში

**გოლები**: 1:0 მალუდა (11), 2:0 რემი (38), 3:0 რევეიერი (67)

**მაყურებელი**: 67 000

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საფრანგეთი | 9 | 6 | 2 | 1 | 14-3 | 20 |
| 2. ბოსნია | 9 | 6 | 1 | 2 | 16-7 | 19 |
| 3. რუმინეთი | 9 | 3 | 4 | 2 | 12-8 | 13 |
| 4. ბელარუსი | 10 | 3 | 4 | 3 | 8-7 | 12 |
| 5. ალბანეთი | 9 | 2 | 2 | 5 | 6-13 | 8 |
| 6. ლუქსემბურგი | 10 | 1 | 1 | 8 | 3-21 | 4 |

**მომდევნო ტური**

**11 ოქტომბერი**

საფრანგეთი-ბოსნია
ალბანეთი-რუმინეთი

### E ჯგუფი

#### ფინეთი-შვედეთი 1:2

**ფინეთი**: ჰრადეცკი - არკუვუო, მოისანდერი, ტოივიო, რაიტალა, ვაირიენი (ფურუჰოლმი 71), სპარვი, ერიომენკო, ჰამალაინენი, რინგი, პუკი (ფორსელი 60)

**შვედეთი**: ისაკსონი - მელბერგი, მაისტროვიჩი, ოლსონი, ლუსტიგი, ვილჰელმსონი (კალსტრიომი 55), სვენსონი, კალსტრიომი (ბაირამი 86), ლარსონი (ტოივონენი 68), ელმი, იბრაჰიმოვიჩი, ელმანდერი

**გოლები**: 0:1 ლარსონი (8), 0:2 ოლსონი (52), 1:2 ტოივიო (73)

**მაყურებელი**: 23 257

#### ჰოლანდია-მოლდოვა 1:0

**ჰოლანდია**: ვორმი, მატიისენი, ვან დერ ვილი, პეტერსი, ბრუმა, ვან დერ ვაარტი (ელია 78), ვან ბომელი, სტროოტმანი, კუიტი, ვან პერსი, ჰუნტელაარი

**მოლდოვა**: ნამაშკო – ბულგარუ, ეპურეანუ, გოლოვატენკო, არმაში, ჩებოტარუ, რაკუ, ივანოვი, სუვოროვი (ზმეუ 58), ჩეპტინი (ოვსიანიკოვი 84), ალექსეევი (ბუაგევი 69)

**გოლი**: 1:0 ჰუნტელაარი (40)

**მაყურებელი**: 45 000

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 9 | 9 | 0 | 0 | 35-5 | 27 |
| 2. შვედეთი | 9 | 7 | 0 | 2 | 28-9 | 21 |
| 3. უნგრეთი | 9 | 6 | 0 | 3 | 22-14 | 18 |
| 4. ფინეთი | 9 | 3 | 0 | 6 | 16-16 | 9 |
| 5. მოლდოვა | 9 | 2 | 0 | 7 | 8-16 | 6 |
| 6. სან-მარინო | 9 | 0 | 0 | 9 | 0-49 | 0 |

**მომდევნო ტური**

**11 ოქტომბერი**

შვედეთი-ჰოლანდია
უნგრეთი-ფინეთი
მოლდოვა-სან მარინო

### F ჯგუფი

#### ლატვია-მალტა 2:0

**ლატვია**: ვანინი – კლიავა, მიხადიუკი, გორკშსი, ლაიზანსი (რუგინსი 76), ივანოვი, ვიშნიაკოვი, ცაუნია,ლუკიანოვსი, ვერპაკოვსკისი (რუბინი 90), რუდნევი (გაურაჩსი 88)

**მალტა**: ჰოგი – ბორგი, ფაილა, ჰათჩინსონი, შიბერასი (ფენეკი 83), აგიუსი, ფენეკი (მამო 82), ბრიფა, პეისი (ვუდსი 70) კოენი, შემბრი

**გოლები**: 1:0 ვიშნიაკოვი (33), 2:0 რუდნევი (83)

**მაყურებელი**: 4 500

#### საბერძნეთი-ხორვატია 2:0

**საბერძნეთი**: ცორვასი, ზარადუკასი, პაპადოპულოსი, ტოროსიდისი (ვინტრა 43), პაპასტატოპულოსი, ციოლისი (ფოტაკისი 62), კარაგუნისი (მაკოსი 88), კაცურანისი, სამარასი, სალპინგიდისი, გეკასი

**ხორვატია**: პლეტიკოშა – სტრინიჩი,შიმუნიჩი, ლოვრენი, ჩორლუკა (ვიდა 75), ვუკოევიჩი, მოდრიჩი, კრანჩარი, ელავიჩი (კალინიჩი 61), მანჯუკიჩი, ედუარდო (პერიშიჩი 52)

**გოლები**: 1:0 სამარასი (71), 2:0 გეკასი (79)

**მაყურებელი**: 30 000

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბერძნეთი | 9 | 6 | 3 | 0 | 12-4 | 21 |
| 2. ხორვატია | 9 | 6 | 1 | 2 | 16-7 | 19 |
| 3. ისრაელი | 9 | 4 | 1 | 4 | 11-11 | 13 |
| 4. ლატვია | 9 | 3 | 2 | 4 | 9-10 | 11 |
| 5. საქართველო | 9 | 2 | 4 | 3 | 6-7 | 10 |
| 6. მალტა | 9 | 0 | 1 | 8 | 4-19 | 1 |

**მომდევნო ტური**

**11 ოქტომბერი**

ხორვატია-ლატვია
საქართველო-საბერძნეთი
მალტა-ისრაელი

### G ჯგუფი

#### უელსი-შვეიცარია 2:0

**უელსი (4-4-2)**: ჰენესეი - განტერი, კროფტსი (81. ვოენი), ბლეიკი, ნილი - ე. უილიამსი, ალენი, ბელამი, ბეილი - მორისონი (81. ჩარჩი), რემსი.

**შვეიცარია (4-5-1)**: ბენალიო - ლიხტშტაინერი, ფონ ბერგერი, კლოზე, ციგლერი - ინლერი, ბეჰრამი, ფ. ფრაი (71. ემეგარა), შაჩირი (62. როდრიგესი), ჩაკა (81. მეჰმედი) - დერდიოკი.

**გოლები**: 1:0 რემსი (60-პენ), 2:0 ბეილი (71)

**გაძევება**: ციგლერი (55)

**მაყურებელი**: 12 300

#### ჩერნოგორია-ინგლისი 2:2

**ჩერნოგორია (4-2-3-1)**: მ. ბოჟოვიჩი - ვ. ბოჟოვიჩი (79. დელიბაშიჩი), ძუდოვიჩი, სავიჩი, ზვეროტიჩი - კასელანი (46. იოვანოვიჩი), პეკოვიჩი - იოვეტიჩი, ვუკჩევიჩი, ბეჩირაი (64. დამიანოვიჩი) - ვუჩინიჩი.

**ინგლისი (4-4-1-1)**: ჰარტი - ჯონსი, კეიჰილი, ტერი, ე. კოული - უოლკოტი (76. უელბეკი), ბერი, პარკერი, ე. იანგი (60. დაუნინგი) - ბენტი (64. ლამპარდი) - რუნი.

**გოლები**: 0:1 იანგი (11), 0:2 ბენტი (31), 1:2 ზვეროტიჩი (45), 2:2 დელიბაშიჩი (90)

**გაძევება**: რუნი (74)

**მაყურებელი**: 12 000

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 8 | 5 | 3 | 0 | 17-5 | 18 |
| 2. ჩერნოგორია | 7 | 3 | 3 | 1 | 7-5 | 12 |
| 3. შვეიცარია | 7 | 2 | 2 | 3 | 10-10 | 8 |
| 4. უელსი | 7 | 2 | 0 | 5 | 5-10 | 6 |
| 5. ბულგარეთი | 7 | 1 | 2 | 4 | 3-12 | 5 |

**მომდევნო ტური**

**11 ოქტომბერი**

ბულგარეთი-უელსი
შვეიცარია-ჩერნოგორია

### H ჯგუფი

#### პორტუგალია-ისლანდია 5:3

**პორტუგალია (4-3-3)**: პატრისიო - პერეირა, როლანდო, ალვეში, ელიზეუ - მარტინში (72. რუბენ მიკაელი), მეირელეში (60. ველოზო), მოუტინიო - ნანი, პოშტიგა (88. ნუნუ გომეში), რონალდო.

**ისლანდია (4-4-2)**: მაგნუსონი - იონსონი, საევარსონი, კ. სიგურდსონი, გუდმუნდსონი (83. ფინბოგასონი) - ბიარნასონი, გ. სიგურდსონი, ვალგარდსონი, გუნარსონი - გისლასონი (88. სმარასონი), იონასონი (87. ვილიამსონი).

**გოლები**: 1:0 ნანი (13), 2:0 ნანი (21), 3:0 პოშტიგა (44), 3:1 იონასონი (48), 3:2 იონასონი (68), 4:2 მოუტინიო (81), 5:2 ელიზეუ (87), 5:3 გ. სიგურდსონი (90)

**მაყურებელი**: 50 000

#### კვიპროსი-დანია 1:4

**კვიპროსი (4-2-3-1)**: გეორგალიდესი - პურსაიტიდისი (47. სოლომუ), პელაგიასი, მერკისი, ალექსანდრუ - დობრაშინოვიჩი, დემეტრიუ (71. საციასი) - ეფრემი, ხარალამბიდისი, ავრაამი - კონსტანტინუ (62. ხრისტოფი).

**დანია (4-3-3)**: სორენსენი - იაკობსენი (82. სილბერბაუერი), კიაერი, ბიელანდი, ს. პოულსენი - კვისტი, ერიკსენი, ზიმლინგი (68. იორგენსენი) - რომედალი (71. კ. პოულსენი), ბენდტნერი, კრონ-დელი.

**გოლები**: 0:1 იაკობსენი (7), 0:2 რომედალი (11), 0:3 კრონ-დელი (20), 0:4 რომედალი (22), 1:4 ავრაამი (45)

**მაყურებელი**: 1 800

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუგალია | 7 | 5 | 1 | 1 | 20-9 | 16 |
| 2. დანია | 7 | 5 | 1 | 1 | 13-5 | 16 |
| 3. ნორვეგია | 7 | 4 | 1 | 2 | 7-6 | 13 |
| 4. ისლანდია | 8 | 1 | 1 | 6 | 6-15 | 4 |
| 5. კვიპროსი | 7 | 0 | 2 | 5 | 6-17 | 2 |

**მომდევნო ტური**

**11 ოქტომბერი**

დანია-პორტუგალია
ნორვეგია-კვიპროსი

### I ჯგუფი

#### ჩეხეთი-ესპანეთი 0:2

ჩეხეთი (4-4-2): ჩეხი -ჰუბნიკი, ჰუბშმანი, ჟირაჩეკი, კადლეცი - სელასი, შივოკი, კოლარი (77. ვაჩეკი), როსიცკი - პუდილი, ბაროში (63. პეხარტი).

ესპანეთი (4-2-3-1): კასილიასი - სერხიო რამოსი (46. პუიოლი), ალბიოლი, პიკე, არბელოა - ბუსკეტსი, ჩაბი ალონსო (70. ხ. მარტინესი) - ჩავი, მატა, სილვა - ტორესი (61. ვილია).

გოლები: 0:1 მატა (6), 0:2 ჩაბი ალონსო (23)

გაძევება: ჰუბშმანი (70)

მაყურებელი: 19 000

#### ლიხტენშტაინი-შოტლანდია დღეს

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 7 | 7 | 0 | 0 | 23-5 | 21 |
| 2. ჩეხეთი | 7 | 3 | 1 | 3 | 8-7 | 10 |
| 3. შოტლანდია | 6 | 2 | 2 | 2 | 7-7 | 8 |
| 4. ლიტვა | 7 | 1 | 2 | 4 | 3-9 | 5 |
| 5. ლიხტენშტაინი | 7 | 1 | 1 | 5 | 3-16 | 4 |

**მომდევნო ტური**

**11 ოქტომბერი**

ესპანეთი-შოტლანდია
ლიტვა-ჩეხეთი

**ნიკოლოზ ნეფარიძე**
**ლევან ბიბილაშვილი**
**გოტფრიდ ლენცი**



ბერძნები ხორვატების დამარცხებას ხარობენ



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# კიდევ ერთი ოპერაცია!

## რობენმა უკვე აღარ იცის, რა უნდა ქნას

მართალია, ეს ოპერაცია არ არის ისეთი სერიოზული, რომ მიუნხენელებს განგაშის ასატეხად ულირდეთ, მაგრამ მაინც ოპერაციაა და თანაც, ვინ მოთვლის, მერამდენე... **არიენ რობენი** ხუთშაბათს ჰოლანდიის ნაკრებს ნაადრევად გამოეთხოვა და ისევ მიუნხენში დაბრუნდა, ამის მიზეზი კი, რა თქმა უნდა, ჰოლანდიელი დრიბლიორის მორიგი ტრავმაა. გუშინ გაზეთმა „მიუნხენერ მერკურმა" ყველას დაასწრო იმ ცნობის გავრცელება, რამაც „ბაიერნში" ყველა აანერვიულა: რობენს მორიგი ოპერაცია გაუკეთეს და თუ გამოჯანმრთელების პროცესი კარგად წარიმართა, არიენი მოედანზე ერთი თვის შემდეგ დაბრუნდება.

ერთთვიანი პაუზა ზოგადად საგანგაშო არ არის ხოლმე, მაგრამ რობენის შემთხვევაში საგანგაშოზე მეტია, რადგან არავის ახსოვს, როდის იყო ჰოლანდიელი ნახევარმცველი აბსოლუტურად ჯანმრთელი ზედიზედ 2-3 თვის განმავლობაში. ახლაც, ამ ოპერაციამდე, ახალი გამოჯანმრთელებული იყო და ფორმის აღდგენას ცდილობდა. წინა ტრავმამ რობენს ლაზარეთში ხუთი კვირა გაატარებინა.

*„ძალიან ცუდად ვარ, ფეხიც მაგრად მტკივა. ყველაზე ცუდი და გასაბრაზებელი ის არის, რომ ზუსტი და საბოლოო დიაგნოზის დასმა ყველას უჭირს. არავინ იცის, გამოვჯანმრთელდები თუ არა ისე, რომ ტრავმა ზედიზედ რამდენიმე თვის მანძილზე აღარ მივიღო. ტრავმის ამბავი ძალიან ჩახლართულია. ვერავინ მეუბნება, კონკრეტულად რა უნდა გაკეთდეს ამ ტრავმის წინააღმდეგ. ახლა, მაგალითად, მხოლოდ ის ვიცი, რომ სამ კვირაში ვარჯიშს შევძლებ, სამაგიეროდ, არ ვიცი, რა იქნება 2 თვის შემდეგ. ექიმები კითხვებზე ამომწურავად ვერ მპასუხობენ და ფაქტია, რომ ამით უკვე ძალიან დავიღალე,"* - განაცხადა მიუნხენში დაბრუნებულმა რობენმა.

*„არიენის გამო ყველანი მაგრად ვნერვიულობთ, მაგრამ მისმა მდგომარეობამ დეპრესიაში არ უნდა ჩაგვაგდოს. რაც არ უნდა იყოს, ყველაფერს რეალური თვალით უნდა შევხედოთ, წუწუნი ახლა არაფერს მოგვიტანს. ყველაზე მთავარი კიდევ ერთხელ არის ის, რომ მალე გამოჯანმრთელდეს და თამაში შეძლოს. რობენი არის ფეხბურთელი, რომელსაც მარტოს შეუძლია „ბაიერნისთვის" წარმატებების მოტანა და ჩვენ ყველას გვინდა, რომ მალე სრულად გამოჯანმრთელდეს,* - აცხადებს „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** და იქვე დასძენს, - *„მანჩესტერ სიტისთან" და „ჰოფენჰაიმთან" თამაშების შემდეგ არიენი ნაწყენი იყო იმის გამო, რომ იუპ ჰაინკესი ცოტა ხნით ათამაშებდა. მან უნდა გაითავისოს, რომ „ბაიერნისთვის" ფასდაუდებელი ფეხბურთელია, რომელიც ხშირად იღებს ტრავმებს და ამიტომაც ვუფრთხილდებით მაქსიმალურად."*


არიენ რობენი დაიტანჯა

### ბრენო ციხიდან გამოიყვანეს

ამასობაში, რეკორდმაისტერმა **ბრენო** ციხიდან დაიხსნა. „ბაიერნმა" ბრაზილიელ მცველს 22-ე დაბადების დღემდე შვიდი დღით ადრე 500 000 ევროს ოდენობის გირაო გადაუხადა, რაც საკმარისი იყო იმისათვის, რომ ბრენო 13-დღიანი პატიმრობის შემდეგ გაეთავისუფლებინათ. შეგახსენებთ, რომ მას ბრალად 20 სექტემბერს საკუთარი ვილისთვის ცეცხლის წაკიდება ედება. თუმცა ბრაზილიელის გათავისუფლება იმას არ ნიშნავს, რომ უდანაშაულოა. პროკურატურის ოფიციალური განცხადებით, ბრენო ჯერ კიდევ ეჭვმიტანილია, გამოძიება კი გრძელდება.

*„მიხარია, რომ ბოლოს და ბოლოს ბრენო თავისუფალია და შეუძლია დაუბრუნდეს როგორც ოჯახს, ისე „ბაიერნსაც",* - ეს რუმენიგეს მოკლე კომენტარია. მიუნხენურმა კლუბმა ნახევარმილიონიანი გირაოს გადახდა გუშინვე დაადასტურა.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ, ბრენომ პროკურატურის მკაცრი მოთხოვნები უნდა შეასრულოს. მას ჩამორთმეული აქვს როგორც პასპორტი, ისე მართვის მოწმობა. მის ყველა საბანკო ანგარიშს ყადაღა ადევს და ამასთან, ბრენო კვირაში ერთხელ პოლიციაში უნდა გამოცხადდეს და დაფიქსირდეს. თუკი ბრაზილიელი რომელიმე წესს დაარღვევს, ისევ ციხეში აღმოჩნდება. ბრენომ ახლა „ბაიერნის" მიერ დაქირავებულ სახლში უნდა იცხოვროს. ბავარიული გრანდის სპორტული დირექტორი კრისტიან ნერლინგერი იმედოვნებს, რომ ბრენო მალე გამოჯანმრთელდება – როგორც იცით, მას მუხლის ტრავმა აწუხებს. ამასთან, ბრაზილიელს „ბაიერნთან" კონტრაქტი უმთავრდება და ჩვენი გერმანელი კოლეგების აზრით, რეკორდმაისტერი მასთან ახალი ხელ-

ტრანსფერი



ანდრეას ჰინკელი ფრაიბურგში გუშინ წარადგინეს

# ანდრეას ჰინკელი ფრაიბურგმა შეიფარა

## გერმანიის ნაკრების ყოფილი მცველი ზაფხულს აქეთ უკლუბოდ იყო

„ფრაიბურგს" დაცვაში სერიოზული პრობლემები რომ აქვს, ეს ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილშიც ჩანს: ბრაისგაუელებს განვლილ რვა ტურში ყველაზე მეტი, 22 გოლი აქვთ გაშვებული. სწორედ ამიტომ და კიდევ **ჰაიკო ბუტშერის** ტრავმის გამო გადაწყვიტეს კლუბის ბოსებმა, რომ უკანა ხაზი გერმანიის ნაკრების ყოფილი მცველით, **ანდრეას ჰინკელით** გაეძლიერებინათ.

ამ უკანასკნელს ბუნდესგუნდში 21 მატჩი აქვს ჩატარებული, ბუნდესლიგაში კი, „შტუტგარტის" ფორმით 156 შეხვედრაში აქვს მონაწილეობა მიღებული. 29 წლის ჰინკელს, რომელიც ბოლოს გლაზგოს „სელტიკში" თამაშობდა, „ფრაიბურგში" ასპარეზობა ახლავე შეუძლია, რადგან ზაფხულს აქეთ უკლუბოდაა. აღსანიშნავია, რომ „სელტიკიდან" წამოსვლის შემდეგ ჰინკელი „შტუტგარტში" ვარჯიშობდა.

*„ბედნიერი ვარ, რომ ბუნდესლიგაში დავბრუნდი და კარიერის „ფრაიბურგში" გაგრძელების საშუალება მომეცა. როგორც იქნა, უკლუბოდ ყოფნას ბოლო მოეღო. პირველივე დღიდან თავდაუზოგავად ვივარჯიშებ. იმედია, ამ მშვენიერ და რაც მთავარია, საკმაოდ ამბიციურ კლუბს მალე გავუშინაურდები. ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ „ფრაიბურგმა" პროგრამა მინიმუმი შეასრულოს და ელიტაში ადგილი შეინარჩუნოს. იქნებ, მეტსაც გამოვკრათ ხელი,"* - განაცხადა ჰინკელმა ოფიციალური წარდგენისას.

*„ანდრეას ჰინკელის სახით ძალიან გამოცდილი, მაღალი კლასის ფეხბურთელი გადმოვიბირეთ. ჩვენი გუნდის დაცვის ხაზს გაძლიერება ნამდვილად სჭირდებოდა, ჰინკელი კი აშკარად გაგვაძლიერებს. ამ ფეხბურთელს არაერთხელ დაუმტკიცებია, რომ კარგი მცველია,"* - ეს „ფრაის" სპორტული დირექტორის, **დირკ დუფნერის** სიტყვებია. ჰინკელმა ახალ გუნდთან ერთად გუშინვე პირველად ივარჯიშა.

ჰინკელის ტრანსფერი კაპიტან ბუტშერის ტრავმამაც დააჩქარა. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური მცველი **ბეგ ფერატი** გამოჯანმრთელდა, ბრაისგაუელებს დაცვაში მაინც დეფიციტი ჰქონდათ და ჰინკელმა, რომელიც მარჯვენა მცველია, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, ცენტრში და მარცხნივაც შეუძლია ასპარეზობა, სწორედ ეს სიცარიელე ამოავსო.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**






ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

საფრანგეთის ნაკრები

# კრიტიკა არ ნიშნავს მტრობას



ლორან ბლანმა შეიძლება რაფაელ ვარანი იხმოს

საფრანგეთის ნაკრებში 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე უმძიმესი სიტუაცია იყო. ფეხბურთელებსა და მთავარ მწვრთნელს შორის ურთიერთობა საოცრად დაძაბული გახლდათ. მოთამაშეებმა იმდენი გაბედეს, რომ **რაიმონ დომენეკს** ავტობუსის კარი ცხვირწინ დემონსტრაციულად მიუხურეს. **ლორან ბლანი** ის სპეციალისტი არ არის, საქმე აქამდე მიიყვანოს, მაგრამ აქა-იქ ხმები მასა და რიგ ფეხბურთელებს შორის არსებული არაიდილიური დამოკიდებულების შესახებ მაინც გაკრთება ხოლმე. ეს განსაკუთრებით მას მერე მომრავლდა, რაც ბლანმა ცნობილ სკანდალში გაყო თავი, ვითომცდა საფეხბურთო სკოლებში დაგეგმილი რასისტული სეგრეგაციის დანერგვის მცდელობისთვის. აღნიშნული ხმები მიწყნარდა თუ არა, დაიწერა, ბლანს **სამირ ნასრისთან** ყველაფერი რიგზე ვერა აქვსო. მუსიე ბლანი ამ ხმებმა გააოცა და იძულებული გახდა, სპეციალური განცხადება გაევრცელებინა, სადაც ყველაფერი უარყო. აი, რა განუცხადა "დეილი მეილის" კორესპონდენტს ფრანგების მთავარმა მწვრთნელმა: *"უმჯობესი იქნებოდა, დღევანდელობაზე და სამომავლო გეგმებზე კონცენტრაციის საშუალება რომ მომცემოდა, მაგრამ იძულებული ვარ წარსული გავაანალიზო, რათა შედეგად მომავალი მართლა უკეთესი გავხადო. ამ ეტაპზე მართლა აღფრთოვანებული ვარ იმით, რა დონეზეც ახერხებს თამაშს სამირ ნასრი. განსაკუთრებით იმას თუ შევადარებთ, როგორ ასპარეზობდა ის სულ ცოტა ხნის წინ. სამირმა ბოლო პერიოდში ძალიან ბევრი გადაიტანა, მე მას ხანდახან ვაკრიტიკებდი კიდეც, მაგრამ მასთან პირადი პრობლემა არასდროს მქონია".*

ალბათ იცით, რომ "მამლების" საწვრთნელ შეკრებაზე გამოძახებული ფეხბურთელებიდან ტრავმის გამო ერთბაშად ხუთმა მოთამაშემ ვერ მოახერხა გამოცხადება. ყოველივემ ლორან ბლანს სერიოზული პრობლემები შეუქმნა, თუმცა ბოსნიასთან შეხვედრის წინ (11 ოქტომბერს) სიტუაცია მეტ-ნაკლებად ჩაწყნარდება. უნდა ითქვას, რომ ბალკანელებთან თამაშს დიდი ალბათობით შეძლებს **ერიკ აბიდალი**, ვისაც ჯვარედინი იოგების მცირე პრობლემა აწუხებს, ხოლო თავის დაზღვევის მიზნით ბლანს განზრახული აქვს "რეალის" თინეიჯერი ცენტრალური მცველი **რაფაელ ვარანი** იხმოს. 18 წლის მოთამაშეს აქამდე საფრანგეთის მხოლოდ 18 და 21-წლამდელთა ნაკრებებში (7 შეხვედრა) უთამაშია, სამეფო კლუბში კი წელს მხოლოდ სამჯერ მიეცა მოედანზე გამოსვლის საშუალება. ამჟამად რაფაელი "სამფეროვანთა" ახალგაზრდული გუნდის განკარგულებაშია.

**ლევან ბიბილაშვილი**

პარი სენ-ჟერმენი

# ჩვეული საქმე ბლანისთვის

„პარი სენ-ჟერმენში" ცხოვრება დუღს და გადმოდუღს. ამ კლუბში ლამის ყოველდღე რაღაც საინტერესო და დამაინტრიგებელი ხდება. რაც უნდა გასაკვირი იყოს, ლამის ყველა სიახლე რაღაც დოზით კლუბის სპორტულ დირექტორ **ლეონარდოს** ეხება. ამჯერად ახალი ის არის, რომ "პარი სენ-ჟერმენმა" ახალი გენერალური დირექტორი წარადგინა. რამდენიმე დღის წინ უკვე გაცნობეთ, რომ ამ თანამდებობაზე 15 წლის განმავლობაში "იუვენტუსის" აღმასრულებელ დირექტორად ნამუშევარი, 48 წლის **ჟან-კლოდ ბლანი** დაინიშნა. *"მოხარულები ვართ, რომ ჩვენს კლუბში იმუშავებს მუსიე ბლანი. ის თავისი საქმის დიდი პროფესიონალია და მთელ გამოცდილებას "პარი სენ-ჟერმენს" მოახმარს, კლუბს, რომელიც მხოლოდ ახლა იწყებს დიდი მიზნებისკენ სწრაფვას,"* – განაცხადა სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე პსჟ-ს მმართველმა **ნასერ ალ-ჰელაფიმ**. ეს ადამიანი ყატარული "განათლების, მეცნიერებისა და საზოგადოებრივი განვითარების" ფონდის პასუხისმგებელი პირია, სწორედ იმ ფონდის, რომელიც დედაქალაქური კლუბის აქციათა 70%-ს ფლობს.

ამ დღეებშივე გახდა ცნობილი, რომ დაკომპლექტდება გუნდის მმართველი დირექტორთა საბჭო, რომელსაც სათავეში სწორედ ჟან-კლოდ ბლანი ჩაუდგება. ამრიგად, პსჟ-ს მმართველობითი სისტემა თითქმის მთლიანად იცვლება, რადგან აქამდე ძალაუფლება სწორედ ყატარული ფონდის მიერ დანიშნული წარმომადგენლების ხელში იყო. ცვლილებები ძალაში 21 ოქტომბერს შევა.

ამასობაში ტელეკომპანია "კანალ+" გვამცნობს, რომ პარიზში ერთმანეთს ლეონარდო და "რეალის" ერთ-ერთი ლიდერი **კაკა** შეხვდნენ. შეხვედრის მიზანი მომავალ თანამშრომლობაზე მოლაპარაკება იყო. ვებგვერდის ცნობით, პირველი რაუნდი წარმატებული აღმოჩნდა. რა იგულისხმება წარმატებაში, არ კონკრეტდება. სხვა სპორტული საიტები კი წერენ, ბრაზილიელი სუპერვარსკვლავი "პარკ დე პრენსზე" შესაძლოა უკვე იანვარშივე გადავიდესო. "რეალი" 29 წლის ფეხბურთელში 30-დან 35 მილიონ ევრომდე მიიღებს.

**ლევან ბიბილაშვილი**



ლეონარდოსა და კაკას თანამშრომლობა შეიძლება პარიზში გაგრძელდეს

## ქართული სპორტი

მშვილდოსნობა. ოლიმპიური ტესტი

# ესებუამ ჩინელთან წააგო

### დაგვრჩა ერთადერთი მონაწილე

ლონდონში მიმდინარე „ოლიმპიურ ტესტზე" ჩვენმა ქალთა ნაკრებმა დანაკლისი განიცადა - გავარდა გუნდის ლიდერი, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ქრისტინე ესებუა**. მან პლეი ოფის პირველ შეხვედრაში იტალიელი **ჯესიკა ტომასი** სამ სეტში, მშრალი ანგარიშით დაამარცხა - 3:0, მაგრამ 1/16-ფინალური შეხვედრა ჩინელ **იუტინ ფანთან** 1:7 დათმო. ესებუამ წააგო პირველი ორი სეტი - 26:27; 23:26, მესამე ფრედ დასრულა - 28:28, რითაც შეხვედრის გადარჩენის შანსი შეინარჩუნა, მაგრამ მეოთხეში კვლავ დამარცხდა - 27:28 და გამოვარდა. როგორც ვხედავთ, ჩვენებურმა სამი წაგებული სეტიდან ორი მინიმალური სხვაობით დათმო, თუმცა ეს ჩვენს მდგომარეობას ვერ ცვლის - ესებუა შეჯიბრებას გამოეთიშა. არადა, ჩვენებურმა ჩინელს წლეულს ტურინში მსოფლიოს პირველობის ნახევარფინალში მოუგო. სამწუხაროდ, ფანმა ამჯერად რევანშის აღება მოახერხა.

შეჯიბრებას მეთექვსმეტედფინალიდან გამოეთიშა **ასმათ დიასამიძეც**, თუმცა მანამ, პირველ წრეში უკრაინელ **კატერინა პალეხას** ასევე მშრალად, 3:0 აჯობა. ასპარეზობა ორივე მეტოქემ საკმაოდ დაბალი შედეგით დაიწყო - 7-იანში გაარტყეს, ოღონდ ჩვენებურმა მობილიზება შეძლო და მომდევნო ორი ისარი უკეთ ისროლა, უკრაინელმა კი 7-იანს ვერაფრით ააცილა. ამ სეტში ორივეს საკმაოდ დაბალი შედეგი ჰქონდა - დიასამიძემ 24:21 მოიგო. მან მეორე სეტში მეტოქე დასაწყისშივე გატეხა - ისარი პირდაპირ ათიანს დაასვა, ნირწამხდარმა პალეხამ კი - 8-იანში. მეტოქემ მაჩვენებელი ვერც მომდევნო სერიებში გაზარდა, ქართველმა ჩუბინმა კი ორივე გასროლაზე 9-იანი მოინადავლა და მეორე სეტი 28:24 მოიგო. მესამეში მთლად ასე საგრძნობი უპირატესობა არ ჰქონია, მაგრამ დიასამიძემ 28:26 მაინც იმარჯვა.

მომდევნო წრეში ქართველის მეტოქე ბელარუსი **კატსიარინა ტიმოფეევა** იყო და შეხვედრაც დაძაბულად წარიმართა. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ მსაჯებმა ჩვენებურს ორჯერ გადაუსწორეს ქულა - პირველად მეოთხე სეტში ჩამოაკლეს ერთი ქულა, სულ ბოლოს კი ფრედ დამთავრებული მესამე სეტის ანგარიშიც შეცვალეს ისევ ბელარუსის სასარგებლოდ. არადა, მეოთხე სეტის მიმდინარეობისას ტაბლოზე ამ პერიოდის ანგარიშად 27:27 იყო აღნიშნული და საბოლოო შედეგიც 5:3 დაწერეს, რაც მერე 6:2-ად აქციეს. პირველი სეტი დიასამიძემ სუსტად დაიწყო - 7-იანით და 24:28 წააგო. მეორეში პირველი ისარი ორივემ 9-იანში გაარტყა, მერე კი ბელარუსმა კინაღამ საშვილიშვილო სირცხვილი ჭამა - სულ ცოტა დააკლდა, ისარი ფარს არ აცილა და მადლობელი უნდა იყოს, 6-იანი მაინც რომ შერჩა ხელთ. ამან ხასიათი ისე წაუხდინა, მესამე გასროლაც იმავე ნიშნულში გაარტყა, ხოლო დიასამიძემ 8-9-იანები გააკეთა და სეტი 26:21 მოიგო. ამას მოჰყვა 27:27-ზე დასრულებული ის მესამე პერიოდი, რომელშიც მოგვიანებით ჩვენებურს 26 ქულა დაუწერეს, თუმცა მანამდე დამატებითი პერიოდი ჩაატარეს. დროში ვერ ეტეოდა თუ რა იყო, ჩვენებურმა პირველი ორი გასროლა მეტოქეზე ბევრად ადრე გააკეთა და არცთუ კარგად - 8 და 7 ქულა აჩვენა, თუმცა პირველი შედეგი მალევე გადაუკეთეს 7-ად. ტიმოფეევამ პირველი ისარი ისევ 6-იანში გაარტყა, მაგრამ მერე ისროლა უკეთ და გადამწყვეტი სეტი 25:22 მოიგო.

ახლა ლონდონში ერთადერთი მონაწილე დაგვრჩა - **ხათუნა ნარიმანიძე**, რომელიც პლეი ოფში დღეს ჩაებმება კანადელ **კატერინ ვრაკკინგთან** შეხვედრით.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი



სოფიო შაფათავა

# შაფათავამ და მიქაძემ ერევანი მოიგეს

წყვილთა ბადეში ქართველ ჩოგბურთელთა ტრიუმფით დასრულდა ერევნის საერთაშორისო ტურნირი (25 ათასი $). მე-4 ნომრად განთესილმა დუეტმა, რომელსაც **სოფიო შაფათავა** (243) და **თათია მიქაძე** (418) შეადგენენ, უკრაინელ დებს, **ელიზავეტა** და **ოლგა იანჩუკებს** ფინალში 6:1, 6:4 მოუგო. შეგახსენებთ, რომ ჩვენებურებმა ერთეულებში წარუმატებლად იასპარეზეს და ტურნირს მერვედფინალში დაემშვიდობნენ.

ამერიკულ უილიამსბურგში (10 ათასი დოლარი) „უაილდ ქარდით" მიწვეულმა **მაგდა ოქრუაშვილმა** მერვედფინალში სლოვაკ **ლენკა ბროოსოვასთან** (973) წააგო - 2:6, 6:3, 6:7 (3).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რეგიონი

# ცვლილებების მოლოდინში

შიდა ქართლის აწ უკვე ყოფილი გუბერნატორის, **ზურაბ არსოშვილის** ენერგეტიკის მინისტრის მოადგილედ გადაყვანის შემდეგ, პოსტი გუბერნატორის მოადგილემ **პაატა გიორგაძემაც** დატოვა. ამ საკადრო ცვლილებების გამო კი რეგიონის სამი სპორტული ფედერაცია დარჩა ფაქტობრივი ხელმძღვანელის გარეშე. პაატა გიორგაძე, რომელიც გუბერნატორის აპარატში სპორტსაც კურირებდა, ქართული ჭიდაობის და კრივის ფედერაციის პრეზიდენტი იყო, თავად ზურაბ არსოშვილი კი ჭადრაკის რეგიონალურ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა. მართალია, ფორმალურად ისინი დღესაც რჩებიან ამ სპორტული ორგანიზაციების თავკაცებად, მაგრამ ვინაიდან აღარანაირი შეხება აღარ აქვთ ხსენებულ ფედერაციებთან, როგორც ამ სახეობების წარმომადგენლებმა გვითხრეს, მალე შეიკრიბებიან და ახალ თავკაცებსაც აირჩევენ. საგულისხმოა, რომ კრივის და ჭადრაკის რეგიონალურ ფედერაციებს მრავალი წლის განმავლობაში შესაბამისად **ავთანდილ შოშიაშვილი და ციალა ქასოშვილი** ხელმძღვანელობდნენ და წლეულს თითქმის ერთდროულად მოხდა (არჩევნების გზით) მათი ადგილობრივი სახელისუფლებო სტრუქტურის წარმომადგენლებით ჩანაცვლება. ივნისში დაფუძნდა ქართული ჭიდაობის შიდა ქართლის რეგიონული ორგანიზაცია, რომლის პირველ ხელმძღვანელადაც ადგილობრივი სახელისუფლებო სტრუქტურის წარმომადგენელი პაატა გიორგაძე აირჩიეს. ძნელი სათქმელია, გაგრძელდებოდა თუ არა რეგიონის ყოფილ ხელისუფალთა სპორტული ფედერაციების სათავეში მოსვლის ერთგვარი ტენდენცია, მაგრამ ამ სფეროს ხელმძღვანელებად მათი მოსვლა წლეულს რომ ადრინდელთან შედარებით უფრო დამახასიათებელი იყო, ცხადია. ჯერჯერობით უცნობია, ამასთან დაკავშირებით რა პოზიციაზეა გუბერნატორი **გიგა ტატიშვილი** და მისი აპარატი. ამ ეტაპზე სპორტის ადგილობრივ ქომაგთა მთავარი კითხვა ტატიშვილისადმი ფეხბურთს უკავშირდება. ქართლელთა საყოველთაო მოსაზრებით ზურაბ არსოშვილის დარად ფეხბურთზე გადაგებული გუბერნატორი ამ რეგიონს არ ჰყოლია. „დილას" ფინანსური მოფერიანებაც (გორის რაიონის ბიუჯეტის ხარჯზე) სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული და ახლა საკმაოდ კარგად მოთამაშე გუნდისთვის დაფინანსების შემცირება და შესაბამისად მისი „ძველ დროში" დაბრუნება აშინებთ გულშემატკივრებს. ამ ეტაპზე საქმე საგანგაშო სიგნალებამდე არ მისულა, თუმცა ქომაგებმა კარგად იციან, რომ ახალი გუბერნატორი „დილას" საშინაო მატჩს ჯერჯერობით არ დასწრებია.

ასე რომ, რეგიონი სპორტული ორგანიზაციების მართვის და მათი სამომავლო დაფინანსების სფეროში გარკვეული ცვლილებების მოლოდინშია. იმედი ვიქონიოთ, რომ შიდა ქართლში ახალი სამხარეო ხელისუფლება ქომაგს სპორტის ხელშეწყობითაც დაამახოვრებს თავს.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან







ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. ბაქოს მსოფლიოს თასი.



# ბაქოს მეტოქეები გაგვირკვია

დღეს ბაქოში ვაჟ ძიუდოისტთა მსოფლიოს თასი იწყება 25 ქვეყნის 128 ფალავანის მონაწილეობით. ესეც სალიცენზიო რანგის შეჯიბრებაა, რომელიც ლონდონის ოლიმპიადაზე მოსახვედრ ქულებს იძლევა - ჩემპიონს 100 ქულა დაერიცხება, მეორეზე გასულს - 60, მესამე პრიზიორს - 40, მეხუთეადგილოსანს - 20, მეშვიდეადგილოსანს - 16 და ა.შ.

ტურნირში დღეს სამი უმჩატესი წონის - 60, 66 და 73-ის ფალავნები იასპარეზებენ. მოგეხსენებათ, საქართველოს ნაკრები ბაქოში გადახალისებული შემადგენლობით ჭიდაობს: **პაატა მერებაშვილი** და **უშანგი კუზანაშვილი** (ორივე - 60), **ლევან ჩუბინიძე** და **გიორგი მკალავიშვილი** (ორივე - 66), **თენგიზ პაპოშვილი** და **ამბაკო ავალიანი** (ორივე - 73), **პაატა ღვინიაშვილი** და **შოთა ჯავახაძე** (ორივე - 81), **ლევან ჟორჟოლიანი** (100), **ადამ ოქრუაშვილი** (+100). 90-ში მონაწილე არ გვყავს.

მერებაშვილი პირველ შეხვედრას მეორე წრეში გამართავს საუდელ არაბ **აისა მაირაშისთან**, ამათში მოგებული კი აზერბაიჯანელ **რასიმ ასადულაევსა** და ჩვენი ტურნირის წლევანდელ ლატვიელ მესამე პრიზიორ **ანდრეის მაჯერსს** შორის გამარჯვებულს შეხვდება. ძიუდოში დებიუტანტი, სამბოში კი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი კუზანაშვილი პირველივე წრეში ყაზახ **არისტან შამენოვს** ეჭიდავება, ამათ შორის მოგებულს კი მეორე წრეში უკვე ელოდება ამერიკელი **ნიკოლას კოსორი**. 66-ში პირველ წრეში მკალავიშვილიც ისვენებს, მეორეში კი მისი მეტოქე ასევე გარკვეულია - ბრიტანელი **ნათან ბურნი**. მეორე წრეშია ჩუბინიძეც, თუმცა მისი მეტოქე იტალიელი **ფრანჩესკო ფარალდოსა** და 60-დან ამონაცვლებულ მასპინძელთა მსოფლიოს პრიზიორის, დოპინგზე ორჯერ ჩავარდნილი **ნიჯატ შიხალიზადეს** ორთაბრძოლაში გაირკვევა. 73-ში პაპოშვილი რუსთა ახალბედა **იგორ რუბინთან** იჭიდავებს, ამათში მოგებული კი მეოთხედფინალის საგზურისთვის მოლდოველ **ვიქტორ სკვორტოვს** დაეჭიდება. ავალიანი მეორე წრეში ყაზახ **მახატ ნაზიბაიევს** შეხვდება და თუ მოუგებს, ისიც მეოთხედფინალში გავა.

81, 90, 100 და მძიმე წონების წარმომადგენლები ხვალ იასპარეზებენ. 81-ში ჯავახაძეს პირველ მეტოქედ მასპინძელი **ტურალ შაფგულიევი** ერგო, ღვინიაშვილს - ყაზახი **ფარკად რუზუკულოვი**. 100-ში ევროპის ვიცე-ჩემპიონი ჟორჟოლიანი აზერბაიჯანელ **რაფაელ შაჰვერდიევთან** გამართავს საწყის ორთაბრძოლას. ამ წყვილის გარდა, ჯგუფში კიდევ სამი ფალავანია და არც ერთი არაა გამორჩეულად ძლიერი - ახალზელანდიელი **იასონ კოსტერი**, ესტონელი **გრიგორი მინასკინი** და მაროკოელი **სიდი მოჰამედ აოუიდატე**. ამათგან ყველაზე ტიტულოვანი ესტონელია - ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონი, ხოლო ახალგაზრდებში - ასევე ევროპული ვერცხლ-ბრინჯაოს მფლობელი, თუმცა ეს ტიტულები 90-ში მოიპოვა, 100-ში კი ახალბედაა. ჟორჟოლიანი C ჯგუფშია და აქედან გაღწევა არ უნდა გაუჭირდეს, აი, ნახევარფინალში კი, ალბათ, ძლიერი მეტოქე ეყოლება - ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონები, აზერბაიჯანელი **ელმარ გასიმოვი** ან რუსთა ინგუში **აშხაბ კოსტოევი**, რომლებიც D ჯგუფში მოხვდნენ. ეს წონა ერთ-ერთი გამორჩეულია მონაწილეთა შემადგენლობით - ეგვიპტელი მსოფლიოს პრიზიორი **რამადან დარვიშიც** გამოდის.

დასასრულს, მძიმე წონა, სადაც ადამ ოქრუაშვილი ჯერ მასპინძელ **ანდრეი ფატიევს** ხვდება, მასთან წარმატების შემთხვევაში კი რუსთა ოს **სოსლან ბოსტანოვსაც** დაეჭიდება.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

# ახალი სვლა თანამედროვე განათლებაში

**ბოლო დროს მსოფლიოში ფართო გაქანება მიეცა „საჭადრაკო განათლებას“, რომელიც სკოლებში ბრძენთა თამაშის სწავლების პროგრამულ კომპლექსს წარმოადგენს. იგი შეიცავს მასწავლებელთა და მოსწავლეთა ერთობლივი მუშაობის პროგრამებს; ვრცელ, ორწლიანი სწავლებისთვის მეთოდურად დახვეწილ სასწავლო მასალას; მეთოდურ სახელმძღვანელოს მასწავლებელთათვის; მეცადინეობების ჩასატარებლად თითოეული გაკვეთილის გეგმას. კურსი მოიცავს 300-მდე გაკვეთილსა და 7000-მდე სავარჯიშოს, რომლებიც სკოლებში ორწლიანი სწავლებისთვისაა გათვლილი.**

„საჭადრაკო განათლების“ კომპლექსმა უკვე გაიკვალა გზა ზოგიერთი ქვეყნის სკოლებში. მაგალითად, 2005 წელს სლოვენიის განათლების სამინისტრომ ქვეყნის ყველა სკოლას დართო პროგრამული კომპლექსის დანერგვის უფლება. 2007 წელს იგივე გაკეთდა ხანტი-მანსიისკის (რუსეთი) ავტონომიურ ოლქში.

„საჭადრაკო განათლების“ ერთ-ერთი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი გახლავთ მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი **გარი კასპაროვი**, რომელიც ამას წინათ ევროპარლამენტის წინაშე წარსდგა და მისმა მოხსენებამ დიდი მოწონება დაიმსახურა. მსოფლიოს მეცამეტე ჩემპიონი ორი დღეა, საქართველოში იმყოფება. შეხვდა ქვეყნის პრეზიდენტ **მიხეილ სააკაშვილს**, პარლამენტის თავმჯდომარე **დავით ბაქრაძეს**, საქართველოს პარლამენტის გაერთიანებული კომიტეტების სხდომაზე კი მოხსენებით გამოვიდა „საჭადრაკო განათლების“ შესახებ.

*„გარი კასპაროვი და მისი თანამოაზრეები საიმისოდ იბრძვიან, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჭადრაკი შევიდეს როგორც სასწავლო დისციპლინა. მათ მიერ შედგენილი პროგრამული კომპლექსი საშუალებას აძლევს მასწავლებელს მეცადინეობები ჩაატაროს არა მხოლოდ კლასში, არამედ ინტერნეტის მეშვეობით შინ დაუკავშირდეს მოსწავლეებს, მისცეს დავალებები და აკონტროლოს მათი შესრულების ხარისხი. კარგა ხანია, ექსპერიმენტებმა დაადასტურა „საჭადრაკო განათლების“ დადებითი ზეგავლენა მოსწავლეებზე. ერთ მაგალითს დაგისახელებთ: ჰამბურგის ერთ-ერთ სკოლაში სასწავლო საგნად შეიტანეს ჭადრაკი, რომელსაც კვირაში მხოლოდ ერთი საათი ეთმობოდა. ექსპერიმენტის ბოლოს აღმოჩნდა, რომ იმ კლასის მოსწავლეებს, სადაც ჭადრაკი ისწავლებოდა, პარალელურ ჯგუფებთან შედარებით უკეთესი მოსწრება ჰქონდათ როგორც მათემატიკაში, ისე სხვა საგნებში. ბავშვები უფრო მობილიზებულნი იყვნენ, გადაწყვეტილებების მიღებისა და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების არ ეშინოდათ.*

*საქართველოს ზოგიერთ სკოლაში ფიზაღზრდის გაკვეთილებს ჭადრაკი ჩაენაცვლა როგორც არჩევითი და არა სავალდებულო საგანი. ზოგან დაწყებით კლასებშიც ისწავლება ჭადრაკი, მაგრამ სკოლის მესვეურთა და მოსწავლეთა სურვილით. „საჭადრაკო განათლება“ კი ახალი მოთხოვნებისა და მიზნების წინაშე გვაყენებს. ჭადრაკის ენით რომ ვთქვათ, ეს იქნება ახალი სვლა თანამედროვე განათლებაში“*, - გვითხრა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა, დიდოსტატმა **გია გიორგაძემ.**

გუშინ სასტუმრო „მარიოტში“ გარი კასპაროვსა და დიდოსტატ **ზურაბ აზმაიფარაშვილს** შორის ექვსი ბლიცპარტიისგან (თითოეულ მოჭადრაკეს 5-5 წუთი ყოველ სვლაზე 2 წამის დამატებით) შემდგარი ამხანაგური მატჩი გაიმართა. 3,5:2,5 გაიმარჯვა საპატიო სტუმარმა.

- დიდი ხანია, პროფესიულ ჭადრაკს თავი დავანებე, მაგრამ არის ხოლმე სარეკლამო ხასიათის ისეთი ღონისძიებები, ბრძენთა თამაშის პროპაგანდას რომ ეწევა, რომლებშიც მონაწილეობა აუცილებელია. ორი დღის შემდეგ ბრიუსელში საინტერესო ტურნირი გაიმართება, რომელშიც ბიზნესის წარმომადგენლები და ბავშვები მიიღებენ მონაწილეობას. იგი ჩემი და **ნაიჯელ შორტის** ამხანაგური შეხვედრის მე-5 წლისთავს ეძღვნება. ამიტომ ორგანიზატორთა თხოვნით, სპეციალურად შერჩეულ ბავშვებთან ერთდროული თამაშის სეანსებს მე და შორტი გავმართავთ. რადგანაც სათამაშო პრაქტიკას მოკლებული ვარ, გადავწყვიტე, მცირედი შესვენებით მესარგებლა და ჩემს მეგობარ ზურაბ აზმაიფარაშვილთან ამხანაგური მინი-მატჩი მეთამაშა. მართალია, ზოგჯერ კომპიუტერს ვეთამაშები, მაგრამ მეტოქესთან პირისპირ პაექრობას სულ სხვა ეშხი და ემოციური დატვირთვა ახლავს, - გვითხრა გარი კასპაროვმა. - რაც შეეხება სკოლებში სასწავლო საგნად ჭადრაკის შეტანას, დარწმუნებული ვარ, ეს ახლო მომავლის საქმე და იგი არა მხოლოდ ექსპერიმენტული, არამედ მასობრივი გახდება, რაშიც თავის სიტყვას საჭადრაკო ტრადიციებით მდიდარი საქართველოც იტყვის.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო



ზურაბ აზმაიფარაშვილისა და გარი კასპაროვის შეხვედრას თვალს ადევნებს გია გიორგაძე

შეკითხვა ლელოს

**კითხვა: გამიგია, რომ თბილისის გარდა სპორტული მუზეუმი ყოფილა ქუთაისში. მაინტერესებს, როდის გაიხსნა მუზეუმი და რა ექსპონატებს ინახავს. თუ გამომეხმაურებით, მადლობელი დავრჩები.**

*თამაზ ჩიტაშვილი, თელავი, სტუდენტი*



**პასუხი:** ქუთაისის სპორტის მუზეუმი გაიხსნა 1970 წელს. მუზეუმში დაცულია 10 000-ზე მეტი ექსპონატი. აქ თავმოყრილია როგორც თანამედროვე და საბჭოთა პერიოდის გამოჩენილი ქართველი სპორტსმენების **ოთარ ქორქიას, გივი კარტოზიას, ვახტან ბალავაძის, დავით ციმაკურიძის, დავით ხახალეიშვილის, შოთა ლომიძის, როსტომ აბაშიძის, ანზორ კიკნაძისა** და სხვების მრავალრიცხოვანი გამარჯვებების ამსახველი დოკუმენტური მასალა, პრიზები და მედლები, ასევე მეფის რუსეთისდროინდელი სპორტული ჯილდოები და ცნობილ ფალავანთა და ძალოსანთა პირადი ნივთები (მათ შორის: **კოლია ქვარიანის, ლავრენტი კახეთელიძის, სერგო კაკაურიძის, მიშიკო მაჩაბლისა** და სხვების). მუზეუმს აქვს უნიკალური ფოტოფონდი (5000-ზე მეტი ნეგატივი და ფოტოსურათი) და მდიდარი წიგნსაცავი, დღეს უკვე ბიბლიოთეკებშიც იშვიათობად ქცეული ჟურნალების „შევარდენის“, „სოკოლისა“ და „საქართველოს ფიზკულტურელის“ სრული კომპლექტები. ქართული სპორტის პოპულარიზაციის მიზნით, სისტემატურად ეწყობა თემატური გამოფენები, შეხვედრები გამოჩენილ სპორტსმენებთან. მუზეუმის დამაარსებელი და უცვლელი დირექტორია **ზურაბ ჯავახაძე.**

## იუბილარი დაწინაურდა

მოსკოვში ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილის იუბილესადმი მიძღვნილ მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში კიდევ სამი ტური გათამაშდა. ექვსი შესაძლებლიდან 4,5 ქულით იუბილარი დაწინაურდა. ლიდერს ქულით ჩამორჩება მარტა ლიტინსკაია (უკრაინა), ოღონდ მას ერთი შეხვედრით ნაკლები აქვს გამართული. მომდევნო ადგილებზე მოდიან: ელენა ფატალიბეკოვა (რუსეთი)-3 (5), ლუდმილა საუნინა (რუსეთი)-3 (6), ვალენტინა კოზლოვსკაია (რუსეთი)-2,5 (5), ხანა ერენსკა-ბარლო (პოლონეთი)-2 (5), თამარ ხმიადაშვილი (საქართველო)-2 (5), ლუდმილა ბელავენეცი (რუსეთი)-1,5 (5).

## ჯილდოს ვერ შესწვდნენ

**გუშინ** ჩინეთში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს ნაკრების წევრი **ლევან ფანცულაია** თეთრი ფიგურებით მასპინძელ დინ ლირენთან დამარცხდა და 9 შესაძლებლიდან 5,5 ქულით მე-13 ადგილი დაიკავა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით, მე-19 ადგილით დაკმაყოფილდა თბილისელი დიდოსტატი დავით არუთინიანი, რომელიც მე-9 ტურში ჩინელ იიე ლუს დაუზავდა.

7-7 ქულით, შესაბამისად, პირველი-მესამე ადგილები ვეიძი ჩჟოუმ, ძიანჩაო ჩჟოუმ (ორივე-ჩინეთი) და ნგუენ ნგოკ თონგ შონმა (ვიეტნამი) გაინაწილეს. ასპარეზობის რეიტინგფავორიტები - ლე ქუანგ ლიემი (ვიეტნამი, 2717), ვან იუე (ჩინეთი, 2716) და ლი ჩაო (ჩინეთი, 2710) 6-6 ქულით კვარცხლბეკს მიღმა აღმოჩდნენ.

## ფინიშამდე ორი ტურით ადრე

ოსლოში გრძელდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალი, რომლის მთავარ ტურნირში 12 ქვეყნის 58 წარმომადგენელი მონაწილეობს.მათ შორის არიან ქართველი დიდოსტატები- ქალთა ეროვნული ნაკრების წევრი **ნაზი პაიკიძე** და ნინო **ბაციაშვილი.** ბოლო ორ ტურში ორივე მოჭადრაკემ მონაგარს 1,5-1,5 ქულა შემატა. ბაციაშვილმა მე-6 ტურში **ხავიერ აგუერა ნარედოს** (ესპანეთი) აჯობა, გუშინ კი შვედ **რან ჯურჰუუნს** (ნორვეგია) დაუზავდა, პაიკიძემ პირიქით - ჯერ **გერარდ ველინგთან** (ჰოლანდია) გაიყო ქულა, მერე **ბხარატ არჯუნი** (ინდოეთი) დაჯაბნა. ახლა ჩვენებურებს 4,5-4,5 ქულა აქვთ და შეჯიბრების დამთავრებამდე 2 ტურით ადრე, შესაბამისად, მე-10 და მე-13 ადგილებზე არიან. 6 ქულით ერთპიროვნულად ინგლისელი **მეტიუ სადლერი** მეწინავეობს. გუშინ მან ჰოლანდიელ **სერგეი ტივიაკოვთან** მოაწერა ზავს ხელი. ლიდერს ნახევარ ქულით ჩამორჩება **ფროდ ელსნესი** (ნორვეგია), რომელმაც რუსი **სერგეი ვოლკოვი** დაამარცხა. 5-5 ქულით მესამე-მეხუთე ადგილებს **სიპკე ერნსტი** (ჰოლანდია), სერგეი ტივიაკოვი და **ვლადიმირ ბურმაკინი** (რუსეთი) იყოფენ.

შეჯიბრება ხვალ დამთავრდება.

**ვაჟა დანელია**

## კალათბურთი

### დუდუ დადიანის მემორიალი

# ქუთაისიც გამოჩნდა

**A ჯგუფი**

**7 ოქტომბერი**

თბილისი, საკალათბურთო აკადემიის დარბაზი

**დინამო-თსუ 80:90**

**17:30, 26:12, 25:25, 12:23**

**დინამო:** ს. ლეჟავა (12ქ, 5ფ), სანაძე (18ქ, 4ვ), მარხვაშვილი (19ქ), კეიდია (8ქ, 5მ, 3ვ), აბულაძე, თვაური (2ქ, 5მ), მეხრიშვილი (8ქ, 5მ), როდუმტა (2ქ, 7მ), სუხიშვილი (11ქ, 10მ, 3ვ).

**თსუ:** ფანჩულიძე (13ქ, 3ჩ), კოხრეიძე (6ქ, 3ვ, 5ფ), კორკოტაძე (10ქ, 8მ, 4ვ), მარკოიშვილი (10ქ, 5ვ), ნინიაშვილი (25ქ, 6მ, 3ვ), ჩიტაშვილი (4ქ, 10ვ, 9მ, 5ჩ), ხიზანიშვილი (4ქ), შერმადინი (5ქ), მაისურაძე (13ქ).

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, გ. მიქელაძე.

**კომისარი:** თ. ქიქოძე.

მიუხედავად იმისა, რომ „დინამო" ერთი კვირის შეკრებილია, იოლი ლუკმა არავისთვისაა. თსუ-სთან პირველ პერიოდში 17:30 წაგების შემდეგ დინამოელებმა ძალები მოიკრიბეს და მეორე ათწუთეულში 26:12 იმარჯვეს.

**ნუგზარ ჭეიშვილის** შეგირდები გადამწყვეტ მომენტში უკეთესად გაისარჯნენ და მატჩი 10-ქულიანი სხვაობით მოიგეს. სტუდენტთა წარმატებაში ლომის წილი **თორნიკე ნინიაშვილმა** დაიდო - 25 ქულას მოუყარა თავი.

დიკოსების" მსგავსად დასაწყისში ქუთათურებსაც გაუჭირდათ, შემდეგ კი დამშვიდდნენ და თამაში სწორედ იმ კალაპოტში წაიყვანეს, რომელშიც თავად სურდათ. იმერლებმა „რუსთავს" 3 სამქულიანზე მეტი არ ჩააგდებინეს. ჯარიმებსაც იშვიათად იღებდნენ და ამიტომაც იყო, ქვემოქართლელებმა სულ 7 საჯარიმო ტყორცნა რომ შეასრულეს (4 ჩააგდეს). თავის მხრივ კი „ქუთაისმა" 30-დან 20 თავისუფალი ტყორცნა გამოიყენა.

მატჩის ვიცე-ბომბარდირი გახდა და ორმაგი დუბლი შეასრულა თსუ-დან „ქუთაისში" გადასულმა **რიჩარდ მათიაშვილმა**. შეხვედრის სნაიპერად რუსთაველი **ზურაბ მაჭავარიანი** აღიარეს - 18 ქულა.

**A ჯგუფი**

**7 ოქტომბერი**

თბილისი, საკალათბურთო აკადემიის დარბაზი

**სტუ-შსს 74:100**

**13:29, 17:28, 22:23, 22:20**

**სტუ:** ტეტელაშვილი (7ქ), თევზაძე (4ქ), ჭოხონელიძე (6ქ), მაჩალაძე (5ქ, 7მ, 5ფ), კობიძე (10ქ, 6მ), ჯავახიშვილი (3ქ), დეკანოიძე (4ქ), ძიძიგური (10ქ), ალხანაიძე (11ქ, 7მ), კორძაძე, ვ. ბერუაშვილი (4ქ, 6მ), ანთაძე (10ქ, 5მ, 3ვ).



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**B ჯგუფი**

**7 ოქტომბერი**

თბილისი, საკალათბურთო აკადემიის დარბაზი

**რუსთავი-ქუთაისი 63:75**

**25:24, 6:17, 17:22, 15:12**

**რუსთავი:** მაჭავარიანი (18ქ, 6მ), გ. არაბული (9ქ), გ. ბერიაშვილი, არწივიძე (2ქ, 3ვ), თვარაძე, ბააკაშვილი (2ქ), ჩაჩანიძე (5ქ), ჯ. არაბული (2ქ), ხმელიძე (12ქ), კოპალიანი (4ქ, 5ფ), გუგავა (9ქ, 6მ, 5ფ).

**ქუთაისი:** ფაშაევი (6ქ, 6ვ, 4ჩ, 5მ), ბაბუნაშვილი (2ქ), დიდია (13ქ, 3ვ), ცეკვავა (14ქ), ტუკვაძე, ცირეკიძე, დ. ბარბაქაძე (3ქ), ლომინაშვილი (13ქ, 6მ), გ. ბარბაქაძე (6ქ, 7მ), კუჭავა, კოლუაშვილი (1ქ), მათიაშვილი (17ქ, 10მ).

**მსაჯები:** მ. ანდღულაძე, კ. კუპატაძე.

**კომისარი:** რ. ხომერიკი.

რადგან B ჯგუფში სამი გუნდია, ყოველ ტურში თითო ისვენებს. პირველ დღეს ქუთათურებმა იუქმეს, გუშინ - „სამედიცინომ". ეს კლუბები ერთმანეთს დღეს შეხვდებიან და ფინალისტის ვინაობას გაარკვევენ. წესითა და რიგით, ეს უნდა იყოს ჯგუფური ეტაპის ყველაზე დაძაბული შეხვედრა.

თუ პირველ ტურში „სამედიცინომ" „რუსთავი" მოისტუმრა, მეორე ტურში იმავე „ქუთაისმა" გაიმეორა. თუმცა, „მე-

**შსს:** ლაფანაშვილი (8ქ, 5მ), ნიკოლაძე (9ქ), ლონდარიძე (19ქ, 18მ, 5ფ), ლომოური (7ქ), თენიეშვილი (7ქ), ტუჯანი (2ქ, 9მ, 3ვ), წივწივაძე (8ქ, 8ვ), იმნაძე (4ქ), დვალიშვილი (10ქ, 7მ, 5ფ), კრეპსი (17ქ), ბოქოლიშვილი (9ქ).

**მსაჯები:** დ. ბერეკაშვილი, მ. ანდღულაძე.

**კომისარი:** რ. ხომერიკი.

დუდუ დადიანის მემორიალის პირველ დღეს მატჩები მეტ-ნაკლებად თანაბრად წარიმართა. მწვრთნელებიც აცხადებდნენ - სეზონის სტარტისთვის ეს დამახასიათებელიაო.

ამის დამადასტურებელია შსს-ს თამაში: პირველ ტურში ახლადშეკრებილ „დინამოსთან" პირველ ტაიმში გაუჭირდა, მეორე დღეს კი სტუ-სთან თავიდანვე სოლიდური ფორა დაიბევა - 10 წუთის შემდეგ 29:13-ს იგებდა. საკითხავი ისღა იყო გადავიდოდა თუ არა შსს ასეულებში. გამოცდილმა **გიორგი ნიკოლაძემ** ბოლო წუთზე ორიდან ერთი საჯარიმო ტყორცნა გამოიყენა და - 100:74.

შსს-ს ახალწვეულმა **ილია ლონდარიძემ** მოხსნებში საკუთარი რეკორდი გააუმჯობესა: 6 ოქტომბერს 21 ქულა და 17 მოხსნა მოაგროვა, 7 ოქტომბერს კი 18-ჯერ მოხსნა (19 ქულა).

დღეს შსს და თსუ ჯგუფში გამარჯვებულის, შესაბამისად, ფინალისტის ვინაობას ერთმანეთში გაარკვევენ.

### ხმაურიანი ტრანსფერი




# გალათზაზარაი, ანუ ზაზა გალათასარაიში

ვინც მოითმენს, ის მოიგებსო, ეს გამოთქმა კიდევ ერთხელ გამართლდა - **ზაზა ფაჩულიამ** „ბეშიქთაშთან" კონტრაქტის გაფორმებისგან ზაფხულში თავი შეიკავა და ახლა გაცილებით უკეთეს ადგილას მოხვდა: ახალ სეზონს „გალათასარაიში" დაიწყებს. ეს ინფორმაცია თურქულმა სააგენტოებმა გუშინ გაავრცელეს. ქართველი ცენტრი სტამბოლურ კლუბში მანამ ითამაშებს, სანამ NBA-ში გაფიცვა არ დასრულდება. ამერიკაში მოლაპარაკებები ჩიხშია შესული და წარმოუდგენელია, ახალი სეზონი იანვრამდე „დაიქოქოს".

ზაზა ფაჩულიას „გალათასარაის" გარდა, როგორც გითხარით „ბეშიქთაშიც" ეპატიჟებოდა. ამ კლუბში NBA-ს ვარსკვლავი **დერონ უილიამსი** ირიცხება, თუმცა თურქებს ვერც ის დაეხმარა ევროთასის საგზურის მოპოვებაში. ამიტომ, „ბეშიქთაში" შედარებით დაბალი რანგის ტურნირში ევროჩელენჯზე იასპარეზებს. ფაჩულიას ახალმა კლუბმა, „გალათასარაიმ" კი გასულ კვირას ევროლიგაზე თამაშის უფლება მოიპოვა. საკვალიფიკაციო ეტაპის ფინალში, ლიტვაში „ლიეტუვოს რიტასი" დაამარცხა.

„გალა" ევროლიგის D ჯგუფში ფავორიტებთან მოხვდა: „ბარსელონა" (ესპანეთი), „მონტეპასკი" (იტალია), „პროკომი" (პოლონეთი), „ოლიმპია" (სლოვენია), „უნიქსი" (რუსეთი). ევროლიგის პირველი ტური 19 ოქტომბერს გაიმართება, „გალათასარაი" პოლონურ „პროკომს" ესტუმრება.

თურქეთის ჩემპიონატი 15 ოქტომბერს დაიწყება, ფაჩულიას ახალი კლუბის მეტოქე „ოლინ ერდინე" იქნება.

ქართველი კალათბურთელის დამატებით სტამბოლელებმა წინა ხაზი საგრძნობლად გააძლიერეს. მათ სხვა პოზიციებზეც გამორჩეული კალათბურთელები ჰყავთ: სლოვენიელი გამთამაშებელი **იაკა ლაკოვიჩი**, რომელიც შარშან „ბარსელონას" ღირსებას იცავდა; ლიტველი **დარიუს სონგაილა**, რომელიც „ფილადელფიას" წევრია და ევროპაში ლოკაუტის გამო ჩამოვიდა; **ენდერ არსლანი**, ვინც ევრობასკეტზე თურქეთის ნაკრების ღირსებას იცავდა.

გუშინვე გამოქვეყნდა კიდევ ორი გუნდის ვინაობა, რომლებიც ფაჩულიასთან მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ: ესპანური „კახა ლაბორალი" და ბელგიის „შარლერუა". ორივე ევროლიგის წარმომადგენელია. შერლერუელების შემადგენლობაში საქართველოს ნაკრების ახალგაზრდა ფორვარდი **თორნიკე შენგელია** ირიცხება.

შეგახსენებთ, რომ ზაზა ამერიკაში წავიდა თურქეთიდან, სადაც 1999 წლიდან 2003-მდე „ულქერსპორის" ღირსებას იცავდა.

### მოახლოებული ტრანსფერი

# მურმანის ეკალი შერმადინსა და კანტუს შორის

**გიორგი შერმადინით** „კანტუ" რომ დაინტერესდა, ერთი კვირის წინათ ვწერდით. თუმცა მაშინ არაერთი საკითხი იყო გასარკვევი, რომელთა შორის უმთავრესი „პანათინაიკოსში" დარჩენის საქმე იყო. უნდა გარკვეულიყო, გააგრძელებდა თუ არა კარიერას გიორგი ბერძნულ გრანდში, რომელთანაც კონტრაქტი კიდევ აკავშირებდა.

ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდა, რომ შერმადინი „პანათინაიკოსს" დატოვებს. ამის შესახებ ბერძნული წყაროები იუწყებიან: „მწვანეების" ღია კარის დღეზე წარადგინეს ყველა კალათბურთელი, რომელთა შორის არ იყო 22 წლის, 216 სმ სიმაღლის ქართველი ცენტრი.

მისი იტალიაში გადასვლაც თითქმის გადაწყვეტილია. „კანტუს" მთავარი მწვრთნელი ანდრეა ტრინჩიერი დიდი ხანია, შერმადინს აკვირდება და მის გადაბირებას წლეულს დაადგა თავი. თუმცა გიორგის მოცდა უწევს: კანტუელთა რიგებში ვარჯიშობს ბელარუსი ცენტრი **არტიომ პარახუსკი**, რომლის გუნდიდან წასვლაც გადაწყვეტილია. სწორედ მისი ადგილი უნდა დაიკავოს შერმადინმა. იყო ლაპარაკი, რომ ბელარუსი კალათბურთელი „ვენეციაში" უნდა გადასულიყო, მაგრამ ბოლო მომენტში ვენეციელებმა სხვა ცენტრი აიყვანეს.

სხვა გზა არ არის, ჩვენც დაველოდოთ. ამასობაში კი იტალიის ჩემპიონატი მოახლოვდა, **მანუჩარ მარკოიშვილი** „კანტუსთან" ერთად ახალ სეზონს 9 ოქტომბერს გახსნის - კრემონას „ვანოლის" ესტუმრება. შერმადინის მომავალი და მარკოიშვილის ახლანდელი კლუბი ევროლიგას 19 ოქტომბერს დაიწყებს - პირველ მატჩში ფრანგულ „ნანსის" მიიღებს.



გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**




**FM 107,9**

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს თასი

# ორგზის გამარჯვებულები, მესამესთვის იბრძვიან




ხვალ ველინგტონში მსოფლიოს თასის ამჟამინდელი მფლობელი სამხრეთ აფრიკის ნაკრები, ახალ ზელანდიაში მიმდინარე მსოფლიოს რაგბის უდიდესი ფორუმის მეოთხედფინალში ავსტრალიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება.

„ბოკემ", რომელიც ბოლო წლებია აშკარად კრიზისს განიცდის, D ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. თუმცა იმის თქმა, რომ სამხრეთაფრიკელებმა გზა პლეი ოფამდე ტაშ-ფანდურით გაიარეს, არაფრით შეიძლება. **პიტერ დე ფილიერსის** დამოძღვრილმა გუნდმა დიდი გაჭირვებით, მინიმალური სხვაობით სძლია უელსის ნაკრებს - 17:16. „ბოკეს" თამაში სამოას ნაკრებთანაც ძალიან გაუჭირდა - 13:5. სამოელები მსოფლიოს თასის მფლობელებთან მარცხს არბიტრს აბრალებენ.

სამხრეთ აფრიკის ნაკრებს ავსტრალიელებთან მატჩში ტრავმების გამო ორი წამყვანი მოთამაშე **ფრანსუა სტეინი და ბაკის ბოთა** დააკლდებათ.

C ჯგუფში მოასპარეზე ავსტრალიის ნაკრები კი ყველასთვის მოულოდნელად, ირლანდიის ეროვნულ გუნდთან დამარცხდა, რომელიც წლეულს შესანიშნავად თამაშობს.

**რობი დინისის** გუნდი, სამხრეთ აფრიკის ნაკრებისგან განსხვავებით, მსოფლოს თასის წლევანდელ გათამაშებაში ყველაზე ახალგაზრდულია. შესაბამისად, „ვოლაბებისა" და „ბოკეს" დაპირისპირება, ახალგაზრდობისა და გამოცდილების ჭიდილი იქნება.

ეს გუნდები მსოფლიოს თასის გათამაშებაში ბოლოს 1999 წელს ნახევარფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინაც „ბოკე" ტიტულს იცავდა. „ვოლაბებმა" გაიმარჯვეს და მერე ფინალში ფრანგებსაც სძლიეს. შედეგად, ავსტრალიის ნაკრები პირველი გუნდი გახდა, რომელმაც „ვებ ელისის" თასი მეორედ მოიპოვა.

ახლა, გამორიცხული არაა, მათ შორის გამარჯვებულმა მსოფლიოს თასი მესამედ მოიპოვოს.

### სამხრეთ აფრიკა-ავსტრალია

***სამხრეთ აფრიკა:*** **15. პატრიკ ლამბიე, 14. ჯე პი პიტერსენი, 13. ჟაკ ფური, 12. იან დე ფილიერსი, 11. ბრაიან ჰაბანა, 10. მორნი სტეინი, 9. ფური დუ პრი. 1. ხუთრო სტენკამპი, 2. ჯონ სმითი, 3. იან დუ პლესი, 4. დენი როსუ, 5. ვიქტორ მეტფილდი, 6. ჰაინრიხ ბროსუ, 7. სხალკ ბურხერი, 8. პიერ სპისი.**

**16. ბისმარკ დუ პლესი, 17. სი ჯეი ფან დერ ლინდე, 18. ვილიამ ალბერტსი, 19. ფრანსუა ლოუ, 20. ფრანსუა ჰუგარი, 21. ბუჩ ჯეიმზი, 22. ხიო ეპლონი.**

***ავსტრალია:*** **15. ქართლი ბეილი, 14. ჯეიმზ ოკონორი, 13. ადამ ეშლი-კუპერი, 12. პატ მაკკები, 11. დიგბი იოანი, 10. ქუადე კუპერი, 9. ვილი გენია. 1. სკოპე კეპუ, 2. სტივენ მური, 3. ბენ ალექსანდერ, 4. დენ ვიკერმანი, 5. ჯეიმზ ჰორვილი, 6. როკი ელსომი, 7. დევიდ პოკოქი, 8. რადიკე სამო.**

**16. ტატაფუ პოლოტა ნაუ, 17. ჯეიმზ სლიპერი, 18. ნათან შარფი, 19. ბენ მაკკალმენი,, 20. ლუკ ბარჯესი, 21. ბერიკ ბარნსი, 22. ენტონი ფაინგაა.**

# ფავორიტი მასპინძელი აქაც ფავორიტია

ოქლენდში გასამართ მეოთხედფინალურ მატჩში, სადაც მასპინძელი ახალი ზელანდიის ნაკრები არგენტინის ეროვნულ გუნდს ხვდება, საერთო აზრით, ფავორიტი „ოლ ბლექსია".

ახალზელანდილები, როგორც მოსალოდნელი იყო, შინაურ კედლებში შესანიშნავად ასპარეზობენ და პლეი ოფამდე ისე მიაღწიეს, რომ სერიოზული წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ.

„პუმებმა" კი B ჯგუფში ასპარეზობისას მეოთხედფინალში გზა დიდი ბრძოლებით გაიკვლიეს. საერთოდ, ეს გუნდი ბოლომდე, თავდადებით მებრძოლის იმიჯით სარგებლობს და წარმატებასაც ხშირად სწორედ ამის ხარჯზე აღწევს.

მიუხედავად იმ სიმპათიისა, რასაც არგენტინელები რაგბის სპეციალისტებსა და ქომაგებში იწვევენ, „ოლ ბლექსის" წინააღმდეგ მატჩში, ვფიქრობთ, უშანსოდ არიან. არგენტინას, მიუხედავად იმისა, რომ 2007 წლის მსოფლიოს თასზე მესამე ადგილი დაიკავა და ელიტარულ ქვეყნებს შორის გაერია, ახალი ზელანდიის ნაკრებისთვის არასდროს მოუგია.

ამასთან, არგენტინელთა გუნდის საშუალო ასაკი საყოველთაო კრიტიკისა და ამ გუნდის მომავლის ეჭვქვეშ დაყენების საგანი გახდა. საოცარია, მაგრამ „პუმების" თავკაცმა **სანტიაგო ფელანმა** ყველაზე ახალგაზრდა და, შეიძლება ითქვას, საუკეთესო მოთამაშე, ფულბეკი ლუკას ამოროსინო ისევ სათადარიგოთა შორის დასვა. მისი ადგილი **მარტინ როდრიგესმა** დაიკავა, რომელიც მსოფლიოს თასზე სულაც არ ბრწყინავს.

„ოლ ბლექსს" მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მგეზავი **დენ კარტერი** რომ დააკლდა, ეს დიდი ხნის ცნობილი ამბავია, თუმცა **გრემ ჰენრი** და მისი რაზმი იხტიბარს არ იტეხს და სულაც არ აპირებს, „ვებ ელისის" თასი ვინმეს დაუთმოს.

### ახალი ზელანდია-არგენტინა

***ახალი ზელანდია:*** **15. მალილი მულიაინა, 14. კორი ჯეინი, 13. კონრად სმითი, 12. მაა ნონუ 11. სონი ბილ ვილიამსი, 10. კოლინ სლედი, 9. პირი ვიპუ. 1. ტონი ვუდკოქი, 2. კევინ მეალამუ, 3. ოუენ ფრენქსი, 4. სამუელ ვაითლოქი, 5. ბრედ თორნი, 6. ჯერომ კაინო. 7. რიჩი მაქოა, 8. კირან რიდი.**

**16. ენდრიუ ჰორი, 17. ბენ ფრენქსი, 18. ალი ვილიამსი, 19. ვიქტორ ვიტო, 20. ჯიმი ქოუანი, 21. აარონ კრადენი, 22. ისაია ტოეავა.**

***არგენტინა:*** **15. მარტინ როდრიგესი, 14. გონალო კამაჩო, 13. მარსელო ბოში, 12. ფელიპე კონტეპომი, 11. ორასიო აგულა, 10. სანტიაგო ფერნანდესი, 9. ნიკოლას ვერგალო. 1. როდრიგო რენსორე, 2. მარიო ლედესმა. 3. ხიან ფიგალო, 4. მანუელ კარისა, 5. პატრისიო ალბასეტე, 6. ხულიო კაბელო. 7. ხუან ლეგისამონი, 8. ლეონარდო სენატორე.**

**16. ავგუსტინ კრევი, 17. მარტინ სკელსო, 18. მარცოს აიერსა, 19. ალეხანდრო კამპოსი, 20. ალფრდო ლალანე, 21. ლუკას ამოროსინო, 22. ხუან იმოფი.**

**მსოფლიოს თასი**

**მეოთხედფინალი**

| დღეს | |
|---|---|
| ირლანდია-უელსი | 09:00 |
| ინგლისი-საფრანგეთი | 11:30 |
| **ხვალ** | |
| ავსტრალია-სამხრეთ აფრიკა | 09:00 |
| ახალი ზელანდია-არგენტინა | 11:30 |



საქართველოს ჩემპიონატი



ლელო-არმაზი, პირველი წრე

# ბოლო ორი ტური, ორი ადგილისთვის ბრძოლაში

საქართველოს ჩემპიონატის რეგულარული გათამაშება დასასრულს უახლოვდება. ბოლოსწინა, მე-13 ტურის წინ პლეი ოფში თამაშის უფლება მხოლოდ ორ გუნდს, ქუთაისის „აიას" და '„არმიას" აქვს განაღდებული. დარჩენილი ორი ადგილსითვის კი ერთბაშად ოთხი გუნდი იბრძვის. ესენია: „ლელო", „ლოკომოტივი", „არმაზი" და „აკადემია".

მართალია, ბოლოსწინა ტური პლეი ოფში გამსვლელთა ვინაობას ვერ გაარკვევს, თუმცა ფავორიტებს აშკარად გამოკვეთს. ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ორი მატჩის შედეგს, სადაც წლევანდელი ჩემპიონატის ყველაზე დიდი მოულოდნელობა თბილისის „არმაზი" მეორეადგილოსან „არმიას", ხოლო „აკადემია" ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონ „ლოკომოტივს" დაუპირისპირდება.

არმაზელებს ბოლოსწინა ტურის წინ 11 ქულით მეხუთე ადგილი უკავიათ და „ლელოს" და "ლოკომოტივს", რომლებიც მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფენ, ერთი ქულით ჩამორჩება. „არმაზს" საკმაოდ სერიოზული გამოცდის ჩაბარება მოუწევს მეორე წრეში მოღონიერებულ „არმიასთან" დაპირისპირებაში.

აღსანიშნავია, რომ არმიელებს წლევანდელ გათამაშებაში მხოლოდ ჩემპიონობა აქვთ დასახული მიზნად და ახლა, რაც ახალი ზელანდიიდან საქართველოს ნაკრების ორი წევრი, შერკინების კვაჭი **ჯაბა ბრეგვაძე** და ცხრა ნომერი **ბიძინა სამხარაძე** დაუბრუნდათ, კიდევ უფრო სერიოზულ ძალად გადაიქცნენ.

ამ შეხვედრას „არმიასთვის" არანაირი სატურნირო მნიშვნელობა არ აქვს, ნებისმიერ შემთხვევაში არმიელები მეორე ადგილს ვერაფრით ასცდებიან. „არმაზს" კი აუცილებლად გამარჯვება ესაჭიროება, მით უფრო, რომ ბოლო ტურში უშუალო კონკურენტ „ლოკომოტივს" ეთამაშება.

რკინიგზელები, თავის მხრივ, ბოლოსწინა ტურში ასევე უშუალო კონკურენტ „აკადემიას" დაუპირისპირდებიან. აკადემიელებმა პირველი წრე, ბევრად უკეთ ჩაატარეს, თუმცა პლეი ოფში მოხვედრის შანსს რეგულარული გათამაშების ბოლომდე არ კარგავენ.

„ლოკომოტივს" მსოფლიოს თასის გათამაშებიდან დაბრუნებული საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი **გივი ბერიშვილი** შეემატა, თუმცა დაშავებული, კიდევ ერთი მესამეხაზელი **ზვიად მაისურაძე** ალბათ აუნაზღაურებელი დანაკლისია.

საკმაოდ სერიოზული და ხარისხობრივად ძალზედ კარგი მატება აქვს თბილისის „ლელოს", რომელსაც ახალი ზელანდიიდან მგეზავი **ლაშა ხმალაძე** და გარემარბი ალექსანდრე **თოდუა დაუბრუნდნენ**, რომლებმაც მსოფლიოს რაგბის უდიდეს ფორუმზე თავი საუკეთესოდ წარმოაჩინეს. გუნდს ვერაფრით დაეხმარება კიდევ ერთი გარემარბი **ლექსო გუგავა**, რომელიც მსოფლიოს თასის ორგანიზატორებმა ხუთკვირიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

„ლელოს" მეტოქე გასვლით მატჩში რუსთავის „ხარები" იქნება, რომელსაც უმაღლესი ლიგიდან პირდაპირ გავარდნა არ ემუქრება და პლეი ოფში მოხვედრის მხოლოდ თეორიული შანსი აქვს. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში გამარჯვება ლელოელებს პლეი ოფში მოხვედრის გარანტიას არ აძლევს. მათ ბოლო ტურში არანაკლებ სერიოზული ბრძოლა ელით „აკადემიასთან".

ყველაზე მშვიდად, ცხადია, გათამაშების ლიდერი ქუთაისის „აიაა", რომელმაც პირველი მარცხი გასულ უქმეებზე „ლელოსთან," სტუმრად გამართულ მატჩში იწვნია. ქუთათურებს რეგულარულ გათამაშებაში პირველი ადგილი განაღდებული აქვთ და ისიც იციან, რომ შესარჩევ ფინალში, შინ „არმიასთან" ბრძოლა მოუწევთ.

„აია" ბოლოსწინა ტურში, ქუთაისში „დინამოს" სტადიონზე აუტსაიდერ თბილისის „ყოჩებს" დაუპირისპირდება, რომელიც დარჩენილი ორი შეხვედრის მოგების შემთხვევაშიც კი სატურნირო ცხრილის ფსკერს თავს ვერ დააღწევს.

**XIII ტური**

**არმაზი-არმია, ხარები-ლელო, აია-ყოჩები, აკადემია-ლოკომოტივი**

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აია | 12 | 11 | 0 | 1 | +160 | 22 |
| 2. არმია | 12 | 8 | 1 | 3 | +111 | 17 |
| 3. ლელო | 12 | 6 | 0 | 6 | +17 | 12 |
| 4. ლოკომოტივი | 12 | 6 | 0 | 6 | +17 | 12 |
| 5. არმაზი | 12 | 5 | 1 | 6 | -19 | 11 |
| 6. აკადემია | 12 | 4 | 3 | 5 | -22 | 11 |
| 7. ხარები | 12 | 4 | 0 | 8 | -109 | 8 |
| 8. ყოჩები | 12 | 1 | 1 | 10 | -156 | 3 |

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

## უცხოური სპორტი

### ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი


იარომირ იაგრი

# იარომირ იაგრმა იუბილეთი დაიწყო

ჰოკეის ეროვნული ლიგის 95-ე სეზონი სამი შეხვედრით გაიხსნა. ბოსტონში ადგილობრივი „ბრუინზისა" და „ფილადელფიას" მატჩის წინ გაიმართა ცერემონია, რომელიც გასულ სეზონში ადგილობრივი კლუბის მიერ სტენლის თასის მოპოვებას მიეძღვნა. „ბოსტონის" ჰოკეისტებმა მოედანზე სტენლის თასი გამოიტანეს. მათ გვერდით იყო **მარკ რეკიც**, რომელმაც კარიერა დაასრულა, თუმცა ამ ცერემონიისთვის კიდევ ერთხელ ჩაიცვა „ბრუინზის" მაისურა.

რაც შეეხება შეხვედრას, საინტერესო იყო განახლებული „ფილადელფიას" ხილვა, რაც შეეხება „ბოსტონს", მან თითქმის სრულად შეინარჩუნა შარშანდელი საჩემპიონო შემადგენლობა.

მასპინძელთა რიგებში დებიუტი ჰქონდა **ჯო კორვოს**, აგრეთვე ძირითადში ვიხილეთ ახალგაზრდები - **მეტ ბარტკოვსკი** და **ჯორდან კარონი**. „ფილადელფიაში" კი, როგორც იცით, სანახევროდ შეიცვალა შემადგენლობა. ლოგიკურია, რომ მატჩის დასაწყისი მთლიანად „ბოსტონს" დარჩა. „დათვები" სწრაფ ჰოკეის აჩვენებდნენ, სადაც ყველამ წინასწარ იცოდა, რას გააკეთებდა პარტნიორი. პირველ ათ წუთში მასპინძლებმა რამდენიმე ასპროცენტიანი მომენტი დაკარგეს - ისინი ძირითადად შაიბას აცილებდნენ **ბრიზგალოვის** კარს.

„ბრუინზმა" ანგარიშის გახსნა რიცხობრივი უპირატესობისას მოახერხა და ეს **ბრედ მარჩანდმა** გააკეთა, რომელიც **სეგინის** ბრწყინვალე პასის შემდეგ გავიდა მეკარესთან პირისპირ და ლამაზად მოატყუა ის. ცნობისთვის, პირველ პერიოდში ბოსტონელთა რიგებში საუკეთესო შთაბეჭდილება სწორედ ტაილერ სეგინმა დატოვა.

„ფილადელფიაში" ბრწყინვალედ გამოიყურებოდა **ვან რიმსდიკის, ჟირუსა** და **იაგრის** დუეტი. სწორედ მათ გაათანაბრეს ანგარიში, როცა სტუმრებს ერთი კაცით მეტი ჰყავდათ მოედანზე. იაგრის საგოლე პასის შემდეგ ჟირუ გაიქცა მეკარესთან პირისპირ და ეფექტურად მოატყუა **ტიმ ტომასი**. იარომირ იაგრმა ამ პასით NHL-ში თავისი მონაგარი 1600 ქულამდე აიყვანა.

თითქოს პირველი პერიოდი საყაიმო ანგარიშით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ მოულოდნელად „ბოსტონის" დაცვამ საკუთარი კარის წინ **ვორაჩეკი** დაკარგა, რომელმაც არეულობით ისარგებლა და მშვიდად შეაგდო შაიბა კარში - 1:2.

მეორე პერიოდი უფრო დაბალ ტემპში წარიმართა და მცირე უპირატესობა „ფილადელფიას" ჰქონდა. „მფრინავების" რიგებში ისევ ჟირუ და იაგრი ბრწყინავდნენ. კარგი იყო დებიუტანტი **შონ კოტურიე**, რომელმაც დაადასტურა სეზონის წინ მწვრთნელის **პიტერ ლავიოლეტის** სიტყვები - ცენტრფორვარდი კარგია დაცვითი მოქმედებებისას. ამიტომაც იყო, რომ კოტურიე ბევრს თამაშობდა რიცხობრივი უმცირესობის დროს. სანამ „ფილადელფია" მომენტებს ანიავებდა, „ბოსტონში" მხოლოდ მარჩანდი გამოირჩეოდა, რომელმაც დუბლის შესასრულებლად ორი ასპროცენტიანი მომენტი მიიღო, მაგრამ ბრიზგალოვი კარგად მოქმედებდა ახალ გუნდში თავის სადებიუტო შეხვედრაში.

მესამე პერიოდში „ფილადელფიამ" ფრთხილი თამაში აირჩია და ძირითადად თავის ზონაში მოქმედებდა. სტუმრებმა სამჯერ მისცეს რიცხობრივი უპირატესობის გამოყენების შანსი სტენლის თასის მფლობელს, მაგრამ „მფრინავებმა" გაძლეს. მაღალი კლასი აჩვენეს **ტელბოტმა, ბრიგზალოვმა** და **ტიმონენმა**. ამ უკანასკნელმა ერთხელ დაუჯერებელი მოძრაობით შეაჩერა **ჰორტონის** დარტყმა დაუცველ კუთხეში. „ბოსტონი" ბევრს ეცადა მატჩის გადარჩენას, მაგრამ ბოლოს მიღებულმა ორმა გაძევებამ შტურმის მოწყობის საშუალება არ მისცა მასპინძელთა გუნდს.

■ ■ ■

„ტორონტოსა" და „მონრეალის" კანადურ დერბიში უფრო ძლიერი ტორონტო" ალმოჩნდა - 2:0. საინტერესოა, რომ სეზონში პირველი „შათაუტის" ავტორი გახდა ახალგაზრდა კანადელი მეკარე **ჯეიმს რაიმერი**, თუმცა „ტორონტო" ბევრჯერ ძელმაც გადაარჩინა.

მასპინძლებმა ერთი გოლი რიცხობრივი უმცირესობისას გაიტანეს - მისი ავტორი გახდა **მეტიუ ლომბარდი**. ერთხელ კი სტუმართა მეკარე **კორი პრაისს** „მეიპლ ლივზის" კაპიტანმა **დიონ ფანოფმა** გაუტანა.

„ვანკუვერმა" საკუთარ კედლებში ბულიტებით წააგო „პიტსბურგთან". ამ მატჩის სცენარი ყველაზე დაძაბული გამოდგა. სტუმრები **ნილის** გოლითა და **კუკის** დუბლით თითქმის მთელი მატჩი იგებდნენ. „კენაქსის" გადარჩენა **ლაპიერმა, ბალარდმა** და **დანიელ სედინმა** ითავეს, მისმა ძმამ **ჰენრიკ სედინმა** კი ორი შედეგიანი პასი ჩაიწერა აქტივში. ოვერტაიმმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა, ბულიტების სერიაში კი „პიტსბურგმა" ორჯერ გაანბილა **რობერტო ლუონგო** და პირველი გამარჯვება იზეიმა.

**ბოსტონი–ფილადელფია 1:2**

1:2, 0:0, 0:0

**გოლები:** 1:0 მარჩანდი-1 (სეგინი-1, კორვო-1), 1:1 ჟირუ-1 (იაგრი-1, პრონგერი-1), 1:2 ვორაჩეკი-1 (მეზაროში-1, სიმონდსი-1).

**ტორონტო–მონრეალი 2:0**

0:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ლომბარდი-1 (მ. ბრაუნი-1, ფანოფი-1), 2:0 ფანოფი-1 (კესელი-1, ლუპული-1).

**ვანკუვერი–პიტსბურგი 3:4 (ბ)**

1:2, 1:1, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ნილი-1 (მალკინი-1, ლეტანგი-1), 0:2 კუკი-1 (დუპუი-1), 1:2 ლაპიერი-1, 1:3 კუკი-2 (ჯ. სტაალი-1, ლეტანგი-2), 2:3 ბალარდი-1 (ჰ. სედინი-1, დ. სედინი-1), 3:3 დ. სედინი-1 (ჰ. სედინი-2, სალო-1).

**ბულიტები გაიტანეს:** ლეტანგი (პიტსბურგი), მალიკინი (პიტსბურგი).

### ფორმულა 1

# ფეტელმა ავარიით დაიწყო

სუზუკაზე ორი თავისუფალი სესიით გაიხსნა იაპონიის გრანპრი. ვარჯიში მშრალ ამინდში წარიმართა და არ შეწყდარა წითელი დროშებით. ლიდერები ტრასაზე სესიის დაწყებიდან ნახევარი საათის შემდეგ გამოჩდნენ და თავიდან პირველ ადგილზე მონაცვლეობით **ფერნანდო ალონსო** და **ლუის ჰემილტონი** ადიოდნენ. მაგრამ იმ მომენტში, როცა ბრიტანელმა თითქოს საბოლოოდ მოიგო ეს დუელი, მას რამდენიმე მეასედი წამით თანაგუნდელმა **ჯენსონ ბატონმა** გაუსწრო.

ბოლო 20 წუთი პილოტები სავსე ავზებით მუშაობდნენ და შედეგები არ გაუმჯობესებულა. მხოლოდ ჯენსონ ბატონმა ჩამოაკლო თავის საუკეთესო დროს 0.014 წამი და დააფიქსირა ამ სესიის ბოლო ორიენტირი - 1:33.634. ეს დაახლოებით წამით უარესია შარშანდელი უქმეების საუკეთესო დროზე.

ამჯერად, „რედ ბულის" პილოტები ნაკლებად შესამჩნევები იყვნენ. **სებასტიან ფეტელმა**, რომელმაც სუზუკაზე ბოლო ორი რბოლა მოიგო, მესამე დრო აჩვენა, მაგრამ უფრო დაგვამახსოვრდა ავარიით ბოლო წუთებზე. გერმანელი, რომელიც ხვალ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გახდება, ძალიან სწრაფად შევიდა Degner-ის მოსახვევში და ბარიერს შეეჯახა. თუმცა მანქანის დაზიანება სერიოზული არ ალმოჩნდა.

ვარჯიშის პირველ ნახევარში ანალოგიური პრობლემები შეექმნა **პასტორ მალდონადოს**. „უილიამსის" პილოტი პირველ სექტორში გადავარდა ტრასიდან და იძულებული გახდა შეეწყვიტა სესია. ასევე ბოლიდის დაზიანების გამო ბევრი დრო დაკარგეს ბოქსებში „ლოტუს-რენოს" პილოტებმა და **ტიმო გლოკმა**.

**I პრაქტიკა**

1. ჯენსონ ბატონი (მაკლარენი) - 1:33.634 (20); 2. ლუის ჰემილტონი (მაკლარენი) - +0.091 (18); 3. სებასტიან ფეტელი (რედ ბული) - +0.456 (22); 4. ფერნანდო ალონსო (ფერარი) - +0.738 (24); 5. მარკ უებერი (რედ ბული) - +0.792 (25); 6. ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო) - +1.303 (23); 7. ფელიპე მასა (ფერარი) - +1.951 (27); 8. სებასტიან ბუემი (ტორო როსო) - +1.956 (25); 9. მიხაელ შუმახერი (მერსედესი) - +2.399 (22); 10. ვიტალი პეტროვი (ლოტუს-რენო) - +2.736 (18); 11. ბრუნო სენა (ლოტუს-რენო) - +2.853 (18); 12. ნიკო ჰიულკენბერგი (ფორს ინდია) - +3.066 (21); 13. კამუი კობაიაში (ზაუბერი) - +3.314 (24); 14. პოლ დი რესტა (ფორს ინდია) - +3.315 (22); 15. სერხიო პერესი (ზაუბერი) - +3.469 (29); 16. ნიკო როსბერგი (მერსედესი) - +4.563 (18); 17. რუბენს ბარიკელო (უილიამსი) - +4.697 (11); 18. პასტორ მალდონადო (უილიამსი) - +4.812 (8); 19. იარნო ტრული (ლოტუსი) - +5.534 (10); 20. კარუნ ჩანდჰოკი (ლოტუსი) - +6.312 (22); 21. ტიმო გლოკი (ვირჯინი) - +7.238 (13); 22. ჟერომ დ'ამბროზიო (ვირჯინი) - +7.385 (24); 23. დანიელ რიკარდო (HRT) - +7.472 (25); 24. ნარაიან კართიკეიანი (HRT) - +8.141 (25).

■ ■ ■

**ვიტანტონიო ლიუცი** იძულებული გახდა მეორე სესიის დასაწყისშივე დაესრულებინა მუშაობა - მექანიკური პრობლემების გამო მანქანა Spoon-დან გამოსვლის შემდეგ შეაჩერა.

ორი ბრაზილიელი - **ბრუნო სენა** და **რუბენს ბარიკელო** ვერ გადაურჩნენ ტრასიდან გადავარდნას. ბრაზილიელმა მოახერხა ტრეკზე დაბრუნება - მას ამაში ტრასის მომსახურე პერსონალი დაეხმარა, ბარიკელო კი ბარიერს შეეჯახა და მანქანა დააზიანა. რუბენსის თანაგუნდელი - პასტორ მალდონადო ტრასაზე ძრავასთან დაკავშირებული პრობლემების გამო გაჩერდა - „უილიამსისთვის" გუშინდელი დღე უიღბლო გამოდგა.

მალდონადოს მანქანის გაჩერების შემდეგ ყვითელი დროშები იმ მომენტში გამოფინეს, როცა ბევრმა პილოტმა ბოქსები რბილი საბურავების ახალი კომპლექტით დატოვა. სესია შეწყდა, რამაც შედეგებზე გავლენა იქონია.

ისევე როგორც დილით, ამჯერადაც საუკეთესო დრო ჯენსონ ბატონმა აჩვენა, მაგრამ ტოპ-გუნდებს შორის სისწრაფეში სხვაობა მინიმალურია.

**II პრაქტიკა**

1. ჯენსონ ბატონი (მაკლარენი) - 1:31.901 (32 წრე); 2. ფერნანდო ალონსო (ფერარი) - +0.174 (33); 3. სებასტიან ფეტელი (რედ ბული) - 0.194 (35); 4. მარკ უებერი (რედ ბული) - +0.246 (28); 5. ფელიპე მასა (ფერარი) - +0.547 (34); 6. მიხაელ შუმახერი (მერსედესი) - +0.809 (26); 7. ნიკო როსბერგი (მერსედესი) - +1.081 (27); 8. ლუის ჰემილტონი (მაკლარენი) - +1.344 (26); 9. ვიტალი პეტროვი (ლოტუს-რენო) - +1.545 (36); 10. სებასტიან ბუემი (ტორო როსო) - +1.780 (33); 11. ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო) - +1.804 (25); 12. ადრიან სუტილი (ფორს ინდია) - +1.889 (36); 13. სერხიო პერესი (ზაუბერი) - +2.492 (35); 14. ბრუნო სენა (ლოტუს-რენო) - +2.656 (27); 15. პოლ დი რესტა (ფორს ინდია) - +2.700 (33); 16. კამუი კობაიაში (ზაუბერი) - +4.137 (33); 17. ჰეიკი კოვალაინენი (ლოტუსი) - +4.324 (35); 18. რუბენს ბარიკელო (უილიამსი) - 5.222 (14); 19. ტიმო გლოკი (ვირჯინი) - +5.539 (30); 20. ჟერომ დ'ამბროზიო (ვირჯინი) - +6.192 (30); 21. პასტორ მალდონადო (უილიამსი) - +6.486 (16); 22. დანიელ რიკარდო (HRT) - +6.862 (36); 23. იარნო ტრული (ლოტუსი) - +7.899 (24); 24. ვიტანტონიო ლიუცი (HRT) - +10.579 (4).


ფეტელი ავარიის შემდეგ

# იაპონიის გრანპრი ციფრებში

- იაპონიის გრანპრი 27-ედ იმართება. აქედან 22-ჯერ რბოლას „სუზუკამ" უმასპინძლა (კიდევ ოთხი ეტაპი „ფუძიზე" გაიმართა).

- იაპონიაში ფორმულა 1-ის პირველი რბოლა 1976 წლის 24 ოქტომბერს „ფუძის" ავტოდრომზე გაიმართა. ამ რბოლაში გამარჯვება ამერიკელმა **მარიო ანდრეტიმ** მოიპოვა „ლოტუს-ფორდის" ბოლიდით. შემდეგ წელს კიდევ ერთი ეტაპი გაიმართა, რასაც ათწლიანი პაუზა მოჰყვა.

- სუზუკაზე პილოტები პირველად 1987 წლის 1 ნოემბერს გამოვიდნენ: ავსტრიელმა **გერჰარდ ბერგერმა** („ფერარი") ბრაზილიელ **აირტონ სენას** („ლოტუს-ჰონდა") გაუსწრო.

- სუზუკას ტრასის პროექტი **ჯონ ჰუგენჰოლცს** ეკუთვნის. ის 1961 წელს გაიხსნა და კომპანია „ჰონდას" სატესტო ტრასად იყო ჩაფიქრებული.

- ტრეკი უნიკალურია, რადგან „რვიანის" ფორმისაა. თავის ისტორიაში „სუზუკამ" ოთხჯერ შეიცვალა კონფიგურაცია.

- ბოლო ცვლილება 2003 წლით თარიღდება. ამჟამად იაპონიის გრანპრიზე დისტანცია 307,471 კილომეტრს უდრის. ტრასის სიგრძეა 5807 მეტრი და პილოტებს 53 წრის გავლა უწევთ. ტრასაზე 17 მოსახვევია (10 მარჯვენა და 7 მარცხენა).

- კვალიფიკაციაზე უსწრაფესი წრე 2006 წელს ბრაზილიელმა **ფელიპე მასამ** გაიარა - 1:29.599. რბოლაში წრის რეკორდი 2005 წელს არის დაფიქსირებული - მისი ავტორია ფინელი **კიმი რაიკონენი**, რომელმაც წრე წუთსა და 31.540 წამში დაფარა (საშუალო სიჩქარე - 228,372 კმ/სთ).

- სუზუკაზე ჰეთ-თრიკი (პოული+რბოლაში მოგება+სწრაფი წრე) შესრულებული აქვთ სენას (1988) და **მიხაელ შუმახერს** (1995, 2002).

- ყველაზე მეტი გამარჯვება იაპონიაში მიხაელ შუმახერს აქვს - ექვსი. ერთხელ მან სამი რბოლა მოიგო ზედიზედ (2000-2002).




- კონსტრუქტორებს შორის ლიდერია „ფერარი" - 7 მოგება („მაკლარენი" - 6).

- ყველაზე მეტი ქულა იაპონიაში შუმახერს აქვს მოპოვებული - 98. სულ სუზუკაზე ქულა აუღია 21 გუნდის 46 პილოტს.

- გუნდებს შორის ლიდერობს „მაკლარენი" 172 ქულით. შემდეგ მოდიან „ფერარი" (152) და „უილიამსი" (104).

- „სუზუკას" ავტოდრომზე 17 ადამიანი დაიღუპა, თუმცა მათ შორის ფორმულა 1-ის არც ერთი პილოტი არ არის. ერთადერთი უცხოელი, ვინც იაპონიის ტრასაზე დაიღუპა, უსაფრთხოების მანქანის მძღოლი, ამერიკელი **ელმო ლენგლი** იყო (ნასკარის სერიის ყოფილი პილოტი 1996 წლის 21 ნოემბერს გულის შეტევით გარდაიცვალა).

- იაპონიის გრანპრი 11-ჯერ იყო გადამწყვეტი მსოფლიოს ჩემპიონის გამოვლენის მხრივ (1976, 1987-91, 1996, 1998-2000, 2003). ამდენჯერ ჩემპიონი მხოლოდ იტალიაში გამოვლენილა.

- ყველაზე ხშირად ჩემპიონის ტიტული იაპონიაში აირტონ სენას მოუპოვებია - სამჯერ. ორჯერ გაიფორმა აქ ჩემპიონობა **მიკა ჰაკინენმა**.

- ექვსჯერ გამოვლინდა იაპონიაში კონსტრუქტორთა თასის მფლობელი (1990, 1995, 1997-99, 2003).

- **სებასტიან ფეტელი** კარიერაში პირველად რბოლას სათავეში იაპონიაში ჩაუდგა - ეს მოხდა 2007 წელს, როცა გერმანელი სამი წრე ლიდერობდა ეტაპს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## კალათბურთი


დირკ ნოვიცკი

# ნოვიცკი რეალს შეუთანხმდა

ევროპული პრესის ინფორმაციით, გერმანიის ნაკრებისა და „დალას მავერიქსის" ლიდერმა **დირკ ნოვიცკიმ**, შესაძლოა, ესპანეთში გააგრძელოს კარიერა.

33 წლის ფორვარდმა მოკლევადიანი კონტრაქტის დეტალები შეათანხმა მადრიდის „რეალთან" და უკვე დღეს შეიძლება გახდეს ესპანური კლუბის მოთამაშე.

შეგახსენებთ, რომ „დალასში" დირკის პარტნიორმა, ესპანელმა **რუდი ფერნანდესმა** უკვე მოაწერა ხელი „სამეფო კლუბთან" კონტრაქტს.

■ ■ ■

მიუნხენის „ბაიერნი" **შეროდ ფორდის** შემცვლელს ეძებს, რომელმაც კლუბის რიგები რამდენიმე კვირის წინ დატოვა. ბავარიული კლუბის ინტერესთა სფეროში მოხვდა „ლოს ანჯელეს კლიპერსის" 28 წლის ფორვარდი **იკე დიოგუ**.

გასულ სეზონში ეს კალათბურთელი NBA-ის რეგულარულ ჩემპიონატში საშუალოდ 5.8 ქულასა და 3.2 მოხსნას აგროვებდა. დიოგუს აგენტის თქმით, გარიგების გაფორმების ალბათობა 50 პროცენტს უდრის.

# კვირას ბოლო შეხვედრაა



კვირას უნდა გაიმართოს მორიგი შეხვედრა NBA-ის კლუბების მფლობელებსა და პროფკავშირის ხელმძღვანელობას შორის. სწორედ ამ მოლაპარაკებებზეა დამოკიდებული - დაიწყება თუ არა 2011-12 წლების სეზონი დროულად. შეგახსენებთ, ორი დღის წინ NBA-ის კომისარმა **დევიდ სტერნმა** განაცხადა, რომ გააუქმებს რეგულარული ჩემპიონატის პირველ ორ კვირას, თუ ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებას ორშაბათამდე არ მოეწერება ხელი. მისი ვარაუდით, წინასასეზონო მატჩების გაუქმებით კლუბებისა და მოთამაშეების საერთო ზარალმა 200 მილიონი დოლარი შეადგინა.

რაც შეეხება კვირის შეხვედრას, მისი წარმატებით დასრულების შანსი მინიმალურია. საქმე ისაა, რომ ერთ-ერთი ბოლო ინტერვიუს დროს დევიდ სტერნმა გამოთქვა წინადადება საერთო მოგების თანაბრად გაყოფის შესახებ, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, კლუბების მფლობელებმა ეს იდეა არ მოიწონეს. მათი განცხადებით, აქამდე ჩატარებულ ყველა შეხვედრაში მათ შეთავაზება 48.5 პროცენტზე მაღლა არ ასულა. ახლა ლიგის კომისარი და მისი მხარე მტკიცედ აცხადებს, რომ 50/50-ზე შეთავაზება აღარ იქნება.

ამ ინფორმაციის შემდეგ NBA-ის ერთ-ერთმა ანალიტიკოსმა აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში ახალი სეზონის დაწყებას არ უნდა ველოდოთ.

# ლებრონმა და დუეინმა გუნდები შეკრიბეს

როგორც უკვე ვწერდით, „მაიამი ჰიტის" ვარსკვლავები - **ლებრონ ჯეიმსი** და **დუეინ უეიდი** ხვალ ითამაშებენ ერთმანეთის წინააღმდეგ მათ მიერვე ორგანიზებულ საჩვენებელ მატჩში, რომელსაც South Florida All-Star Classic ჰქვია.

გუშინ, ცნობილი გახდა ორივე გუნდის შემადგენლობა.

ლებრონ ჯეიმსის გუნდში შემდეგი კალათბურთელები მოხვდნენ: **კრის ბოში, რასელ უესტბრუკი, კევინ დურანტი, რაჯონ რონდო, ლუ უილიამსი, რუდი გეი, ჯამალ კროუფორდი, ჯონი ფლინი** და **დეიმონ ჯონსი**.

დუეინ უეიდის გუნდის შემდეგნაირად გამოიყურება: **მარიო ჩელმერსი, კერონ ბატლერი, დორელ რაიტი, ამარე სტაუდმაიერი, კარმელო ენტონი, კრის პოლი, უესლი მეტიუზი, ჯონ ჯოლი** და **ედი კარი**.

სააგენტო AP-ის ცნობით, შემადგენლობებმა, შესაძლოა, ცვლილებები განიცადონ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა


ლებრონი და უეიდი

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ევრო 2012**

| | |
|---|---|
| აზერბაიჯანი-ავსტრია | 1:4 |
| თურქეთი-გერმანია | 1:3 |
| ბელგია-ყაზახეთი | 4:1 |
| სომხეთი-მაკედონია | 4:1 |
| სლოვაკეთი-რუსეთი | 0:1 |
| ანდორა-ირლანდია | 0:2 |
| ჩრ. ირლანდია-ესტონეთი | 1:2 |
| სერბეთი-იტალია | 1:1 |
| ბოსნია-ლუქსემბურგი | 5:0 |
| რუმინეთი-ბელარუსი | 2:2 |
| საფრანგეთი-ალბანეთი | 3:0 |
| ფინეთი-შვედეთი | 1:2 |
| ჰოლანდია-მოლდოვა | 1:0 |
| ლატვია-მალტა | 2:0 |
| საბერძნეთი-ხორვატია | 2:0 |
| უელსი-შვეიცარია | 2:0 |
| ჩერნოგორია-ინგლისი | 2:2 |
| კვიპროსი-დანია | 1:4 |
| პორტუგალია-ისლანდია | 5:3 |
| ჩეხეთი-ესპანეთი | 0:2 |

**ევრო 2013**
**UNDER 21**

| | |
|---|---|
| კვიპროსი-ბელარუსი | 1:3 |
| მალტა-უკრაინა | 2:2 |
| მაკედონია-სერბეთი | 1:1 |
| დანია-ფარერები | 4:0 |
| მოლდოვა-რუსეთი | 0:6 |
| საფრანგეთი-ყაზახეთი | 2:0 |

**ევრო 2012**
**UNDER 19**

| | |
|---|---|
| მალტა-დანია | 0:4 |
| ავსტრია-ალბანეთი | 0:0 |

**მსოფლიოს თასი 2014**
**ს. ამერიკა**

| | |
|---|---|
| ურუგვაი-ბოლივია | 4:2 |

**კონკაკაფი**

| | |
|---|---|
| დომინიკა-სალვადორი | 1:2 |
| ბარბადოსი-გუიანა | 0:0 |
| სტ. ვინსენტი-გვატემალა | 0:3 |
| ვირჯინის კ-ები-ჰაიტი | 0:7 |

**ამხანაგური მატჩები**
**ნაკრებები**

| | |
|---|---|
| ავსტრალია-მალაიზია | 5:0 |
| ინდონეზია-ს. არაბეთი | 0:0 |
| იაპონია-ვიეტნამი | 1:0 |
| კორეა-პოლონეთი | 2:2 |
| სინგაპური-ფილიპინები | 2:0 |
| უკრაინა-ბულგარეთი | 3:0 |

**კლუბები**

| | |
|---|---|
| სტრიომსგოდს.-სანდეფიორდი | 3:0 |
| ჰანზა-მიდტიულანდი | 3:0 |
| სლავია-ბოტევი | 0:2 |
| რუხი-ზაგლებე | 0:2 |
| გრასჰოპერსი-კრინსი | 4:0 |
| აალენი-ჰოფენჰაიმი | 2:4 |
| ოფენბახი-ფრანქფურტი | 0:1 |
| ბორუსია (მ)-გენტი | 3:1 |
| დებრეცენი-კლუჟი | 2:2 |
| ტიროლი-ალტახი | 4:3 |

**გერმანია**
**რეგიონალლიგა (სამ)**

| | |
|---|---|
| მიუნხენი A-კარლსრუე A | 1:1 |

**დანია**
**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ვიბორგი-ბლოხუსი | 4:2 |

### კალათბურთი

**ადრიატიკის ლიგა**

| | |
|---|---|
| ცედევიტა-ბუდუჩნოსტი | 92:62 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ტრირი-ბრემერჰავენი | 75:56 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| დიჟონი-ნანსი | 70:76 |
| ტულონი-პო ორტეზი | 75:89 |
| პარიზი-ჰავრი | 88:72 |

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| სპარტაკი-უნიქსი | 80:73 |
| ხიმკი-კრ. კრილია | 85:79 |

### ჰოკეი

**კჰლ**

| | |
|---|---|
| აკ ბარსი-ნეფტიხიმიკი | 5:2 |
| ვიტიაზი-სკა | 1:4 |
| სევერსტალი-დინამო (რ) | 4:2 |
| ტორპედო-ატლანტი | 3:2 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| აკრონი-ზნოიმო | 0:1 |
| ალბა-ოლიმპია | 5:2 |
| ვილახი-ლინცი | 2:5 |
| ზალცბურგი-ზაგრები | 6:4 |
| კლაგენფიურტი-ვენა | 4:1 |

**ევროპული ჩემპიონატები**

| | |
|---|---|
| მიუნხენი-შტრაუბინგი | 2:1 (ო) |
| ვოლფსბურგი-ინგოლშტადტი | 2:1 |
| ჰამბურგი-აისბარენი | 4:5 |
| ჰანოვერი-დიუსელდორფი | 3:2 |
| იზერლონი-კიოლნი | 3:4 |
| მანჰაიმი-აუგსბურგი | 3:1 |
| ნიურნბერგი-კრეფელდი | 1:2 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| მარტინი-პოპრადი | 1:2 |
| ნიტრა-ჟილინა | 1:0 |
| სკალიცა-ბისტრიცა | 2:1 |
| სლოვანი-ზვოლენი | 1:2 |
| ტრენჩინი-კოშიცე | 4:1 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ილვესი-ჰიფკ | 0:6 |
| ჰპკ-კალპა | 3:5 |
| ესეტი-ტპს | 0:1 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ტრშინეცი-პლზენი | 4:3 (ო) |
| ჟლინი-სპარტა | 0:2 |
| ბუდეიოვიცე-ვიტკოვიცე | 4:2 |
| ბრნო-კარლოვი ვარი | 3:2 |
| სლავია-პარდუბიცე | 1:2 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ამბრი-ფრიბურგი | 2:3 |
| ბერნი-დავოსი | 3:5 |
| ბილი-რაპერსვილი | 4:0 |
| კლოტენი-ლანგნაუ | 5:3 |
| ლუგანო-ცუგი | 3:4 |
| ციურიხი-სერვეტი | 6:3 |

### ჩოგბურთი

**ATP. პეკინი**

| | |
|---|---|
| **ბერდიხი**-ვერდასკო | 6:1, 6:0 |
| ლუბიჩიჩი-იუჟნი | 7:6, 6:7, 6:2 |
| ანდერსონი-**ჩილიჩი** | 6:7, 6:4, 1:6 |
| **ცონგა**-ფერერო | 6:3, 6:4 |

**ATP. ტოკიო**

| | |
|---|---|
| **ფიში**-ტომიჩი | 6:7, 6:4, 6:1 |
| **ნადალი**-ხირალდო | 7:6, 6:3 |
| შტეპანეკი-**ფერერი** | 2:6, 6:7 |
| **მიურეი**-ნალბანდიანი | 6:4, 7:5 |

**WTA. პეკინი**

| | |
|---|---|
| კირილენკო-**ნიკულესკუ** | 6:3, 3:6, 4:6 |
| **ა. რადვანსკა**-ივანოვიჩი | 6:3, 3:2 უარი |
| ვოზნიაცკი-**პენეტა** | 6:3, 0:6, 6:7 |
| **პეტკოვიჩი**-პავლიუჩენკოვა | 6:3, 7:6 |

## TV პროგრამა

### 8 ოქტომბერი. შაბათი

**GMG-ფეხბურთი**

10:00 იტალიის ჩემპიონატი. VI ტური. იუვენტუსი-მილანი.
12:00 იტალიის ჩემპიონატი. VI ტურის მიმოხილვა.
13:00 გადაცემა - იმედის ფსონი.
14:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. IX ტური. ლილი-რენი.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. IX ტურის მიმოხილვა.
17:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXVII ტური. ფლუმინენსე-სანტოსი.
19:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXVII ტურის მიმოხილვა.
19:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
20:00 ინგლისის ჩემპიონატი. VIII ტური. ევერტონი-ლივერპული.
22:00 იტალიის შოუ.
22:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
23:00 იტალიის ჩემპიონატი. VI ტური. ინტერი-ნაპოლი.
01:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXVIII ტური. ბოტაფოგო-ბაია (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. სოშო-ტულუზა.
12:00 კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. მაიამი-ჩიკაგო.
14:30 გადაცემა - იმედის ფსონი.
15:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ტოკიო. იაპონია. მიმოხილვა.
16:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ტოკიო. იაპონია.
21:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-შალკე.
23:00 კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. მაიამი-ჩიკაგო.

**GMG-სპორტი 2**

08:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პეკინი. ჩინეთი. მიმოხილვა.
09:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
11:30 F1H20 - ფორმულა 1 წყალზე. მსოფლიოს ჩემპიონატი. V ეტაპი. ჩინეთი.
12:30 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სპორტინგი-ბარსელონა.
14:30 ფეხბურთი. იტალია. ერთი მატჩის ისტორია.
15:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
15:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
18:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-ლაციო.
20:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. პეკინი. ჩინეთი.

**I არხი**

08:55 რაგბი. მსოფლიოს თასი. 1/2 ფინალი. ირლანდია-უელსი. ახალი ზელანდია (LIVE).
11:30 რაგბი. მსოფლიოს თასი. 1/2 ფინალი. ინგლისი-საფრანგეთი. ახალი ზელანდია (LIVE).

**HTB-პლუსი (სპორტი)**

18:00 ცურვა. მსოფლიოს თასი. დუბაი. საემიროები (LIVE).
21:00 რაგბილიგა. ევროპის სუპერლიგა. ფინალი. სტ. ელენსი-ლიდსი (LIVE).

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

00:55 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ბოტაფოგო-ბაია (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩოგბურთი)**

09:00 ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
11:00 WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
15:30 ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. პეკინი. ჩინეთი (LIVE).

**HTB-პლუსი (კალათბურთი)**

18:45 კალათბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ხიმკი-კრ. კრილია (LIVE).

**EUROSPORT**

11:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
15:00 რალი. IRC. I დღე. შოტლანდია (LIVE).
16:00 ავტოსპორტი. რენოს მსოფლიო სერია. I რბოლა. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

10:15 ველოსპორტი. პეკინის ტური. IV დღე. ჩინეთი (LIVE).
12:00 ბალახის ჰოკეი. ევროლიგა. დინამო (რუსეთი)-ისტ გრინსტედი (ბრიტანეთი) (LIVE).
14:00 ბალახის ჰოკეი. ევროლიგა. ტორუნი (პოლონეთი)-პოლო დე ბარსელონა (ესპანეთი) (LIVE).
16:30 ბალახის ჰოკეი. ევროლიგა. ვენა (ავსტრია)-ტერასა (ესპანეთი) (LIVE).
18:00 ფლორბოლი. ჩემპინთა თასი. კაცები. ფინალი. I მატჩი (LIVE).
20:00 ამერიკული ფეხბურთი. გერმანიის თასი. გერმანია-იაპონია (LIVE).
23:30 ამერიკული ფეხბურთი. NCAA. ნოტრ დამი-ეირ ფორსი (LIVE).

### 9 ოქტომბერი. კვირა

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXVIII ტური. ბოტაფოგო-ბაია.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. VIII ტურის მიმოხილვა.
13:00 გადაცემა - იმედის ფსონი.
14:00 ინგლისის ჩემპიონატი. VIII ტური. მანჩესტერ იუნაიტედი-ნორვიჩი.
16:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
16:30 იტალიის შოუ.
17:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. IX ტური. პსჟ-ლიონი.
19:00 არგენტინის ჩემპიონატი. X ტურის მიმოხილვა.
20:00 ესპანეთის ჩემპიონატი. VI ტური. ესპანიოლი-რეალი.
22:00 ესპანეთის ჩემპიონატი. VI ტურის მიმოხილვა.
23:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXVIII ტური. სანტოსი-პალმეირასი (LIVE).
01:00 ინგლისის ჩემპიონატი. VIII ტური. ტოტენჰემი-არსენალი.

**GMG-სპორტი 1**

09:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ტოკიო. იაპონია (LIVE).
12:00 კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. მაიამი-ლეიკერსი.
13:55 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
14:30 გადაცემა - იმედის ფსონი
15:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ტოკიო. იაპონია. მიმოხილვა.
16:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ტოკიო. იაპონია.
19:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
19:30 F1H20 - ფორმულა 1 წყალზე. მსოფლიოს ჩემპიონატი. V ეტაპი. ჩინეთი.
20:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
21:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პარმა-ჯენოა.
23:00 კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. მაიამი-ლეიკერსი.
00:45 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. პეკინი. ჩინეთი.
11:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პეკინი. ჩინეთი. მიმოხილვა.
12:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
15:00 ცურვა. ხმელთაშუა ზღვის სერია (Mare Nostrum). III ეტაპი. მონაკო.
17:15 სუპერკოლაჟი.
17:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნოვარა-კატანია.
19:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:40 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. პეკინი. ჩინეთი.
23:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ტოკიო. იაპონია.

**I არხი**

08:55 რაგბი. მსოფლიოს თასი. 1/2 ფინალი. ს. აფრიკა-ავსტრალია. ახალი ზელანდია (LIVE).
11:30 რაგბი. მსოფლიოს თასი. 1/2 ფინალი. ახალი ზელანდია-არგენტინა. ახალი ზელანდია (LIVE).

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

22:55 ბრაზილიის ჩემპიონატი. სანტოსი-პალმეირასი (LIVE).

**HTB-პლუსი (სპორტი)**

18:55 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ოლტჰიმი-დინამო (LIVE).
00:00 კალათბურთი. WNBA. პლეი ოფი. ფინალი. ატლანტა-მინესოტა. IV მატჩი (LIVE).

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

08:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ტოკიო. იაპონია (LIVE).
21:00 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. ჰიუსტონი-ოკლენდი (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩოგბურთი)**

12:00 ATP-ის ტური. ფინალი. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
15:30 WTA-ის ტური. ფინალი. პეკინი. ჩინეთი (LIVE).

**SPORT+**

14:45 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. უნივერსიტეტი-მეტალურგი (LIVE).
22:10 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ატლეტიკო-ჩეხოვსკიე მედვედი (LIVE).

**EUROSPORT**

14:00 რალი. IRC. II დღე. შოტლანდია (LIVE).
15:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
17:15 ველოსპორტი. პარიზი-ტური. საფრანგეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

11:30 ბალახის ჰოკეი. ევროლიგა. ისტ გრინსტედი (ბრიტანეთი)-გრიუნვალდი (პოლონეთი) (LIVE).
15:00 ავტოსპორტი. რენოს მსოფლიო სერია. II რბოლა. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
16:15 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. I რბოლა. ბრენდს ჰეტჩი (LIVE).
17:00 ბალახის ჰოკეი. ევროლიგა. ტერასა (ესპანეთი)-ულენჰორსტი (გერმანია) (LIVE).
18:30 კრიკეტი. ჩემპიონთა ლიგა. Twenty20. ფინალი. ინდოეთი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვირის ბოლოს



ალექსანდრე ტოგონიძის კოლაჟი

ალტერნატიული სტარტი

დოპინგი

# უსამართლობა არ იქნება

საერთაშორისო სპორტულმა არბიტრაჟმა გააუქმა ე. წ. „ოსაკას წესი“, რომელსაც ბევრი სპორტსმენების დისკრიმინაციად მიიჩნევდა.

„ოსაკას წესის“ თანახმად, ის სპორტსმენები, რომლებიც მინიმუმ წელიწადნახევრით დაისჯებოდნენ დოპინგის გამოყენებისთვის, ზედიზედ სამ ოლიმპიადაზე ვერ შეძლებდნენ გამოსვლას.

შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში განთავსებულმა სპორტულმა საარბიტრაჟო სასამართლომ დაადგინა, რომ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა არასამართლებრივად შემოიღო ეს წესი 2008 წლის ივნისში. *„ოლიმპიური ქარტიის 45-ე წესი ამიერიდან გაუქმებულია და არ გააჩნია კანონიერი ძალა“*, - წერია სასამართლოს ოფიციალურ პრესრელიზში.

ასეთი გადაწყვეტილება ამერიკელი მორბენლის **ლაშონ მერიტის** (ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი) სარჩელის შემდეგ მიიღეს. მერიტს ძველი წესის მიხედვით არ შეეძლო გაისად ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობის მიღება.

ბუნებრივია, საარბიტრაჟო სასამართლოს ეს დადგენილება ყველაზე მეტად რუსეთს უწყობდა ხელს, რადგან ამ ქვეყნის სპორტსმენები შარშან მასობრივად ჩავარდნენ დოპინგზე.

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო სასამართლოს გადაწყვეტილება, თუმცა დაპირდა სპორტსმენებს, რომ კიდევ უფრო გაამკაცრებს მომავალში სადოპინგო კანონებს.



ლაშონ მერიტი

ამბები

კალათბურთი

## ჩემპიონატი აქაც გადაიდო?

იტალიის საკალათბურთო ჩემპიონატის პირველი ტური, რომელიც უახლოეს უქმეებზე არის დანიშნული, შესაძლოა, გადაიდოს.

როგორც იტალიური პრესა წერს, კალათბურთის მსაჯების პროფკავშირი და არბიტრების იტალიური კომიტეტი ვერ ათანხმებენ რამდენიმე საკითხს, რის გამოც სერია A-ს სტარტი ჩაშლის პირას არის მისული.

საკალათბურთო ლიგის ხელმძღვანელობა შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით შეწუხებულია და კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **დინო მენეგინს** მიმართავს, ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ ჩემპიონატი კალენდრის მიხედვით დაიწყოს.

მძლეოსნობა

## ფარა ევროპის ათლეტია

2011 წლის სეზონში ევროპის საუკეთესო მამაკაცი მძლეოსანი გახდა ბრიტანელი მორბენალი **მოჰამედ ფარა**. ეს ტიტული მას ევროპის მძლეოსნობის ფედერაციამ მიანიჭა.

ტეგუში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ფარა გახდა პირველი ევროპელი, ვინც ასეთი დონის შეჯიბრებაზე ოქროს მედალი მოიგო 5000 მეტრ დისტანციაზე. წარმოშობით სომალელმა მძლეოსანმა კორეაში ვერცხლიც მიიღო - 10000 მეტრზე.

გამოკითხვაში მეორე ადგილზე გავიდა ფრანგი სპრინტერი **კრისტო ლემეტრი**, მესამეზე - ბრიტანელი ბარიერისტი **დევიდ გრინი**.

ფორმულა 1

## ლოტუსებს სახელის შეცვლა სურთ

„სამეფო რბოლების“ ორი საჯინიბო - „ლოტუს-რენო“ და „ლოტუსი“ მომავალ წელს სხვა სახელით აპირებს გამოსვლას. როგორც ჟურნალი Autosport წერს, „ლოტუს რენოს“ სურს ფრანგული ავტოკონცერნის სახელი მოიშოროს, „ლოტუსს“ კი უნდა „კატერჰემი“ დაირქვას.

მაგრამ ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება არ იქნას მიღებული, რადგან მას ყველა გუნდის მხარდაჭერა სჭირდება, „ფერარიმ“, „ზაუბერმა“ და HRT-მ კი უარი თქვეს ხმის მიცემაზე. მათი აზრით, ამან შეიძლება ნეგატიურად იმოქმედოს „სამეფო რბოლების“ იმიჯსა და ტელეუფლებების გაყიდვიდან შემოსული თანხის ოდენობაზე.

ჩოგბურთი. ტურნირები

# სენსაციები გრძელდება

პეკინის ტურნირი სიურპრიზებით გაგრძელდა, მთავარი სენსაცია კი 24 წლის რუმინელი **მონიკა ნიკულესკუს** ნახევარფინალში გასვლა გახდა.

ამ ჩოგბურთელისთვის პეკინში ბევრი რამ მოხდა პირველად: მოუგო რეიტინგის ტოპ-ათეულის წევრს **(ნა ლის)**, გავიდა უმაღლესი კატეგორიის მეოთხედფინალში, ხოლო გუშინ კიდევ ერთი ნაბიჯით წაიწია წინ. მან სამ სეტში დაამარცხა რუსი **მარია კირილენკო** - 3:6, 6:3, 6:4.

ეს შედეგი მით უმეტეს გასაკვირი იყო იმის გათვალისწინებით, რომ კირილენკომ ბოლო 15 მატჩიდან 12 მოიგო, ხოლო აქ რამდენიმე ძლიერი მეტოქე გამოთიშა ბრძოლას, მათ შორის, აშშ-ის ღია პირველობის ჩემპიონი **სამანტა სტოსური**.

კირილენკოს მშვიდად შეეძლო ეს მატჩიც გამარჯვებამდე მიეყვანა - რუსმა პირველი სეტი 6:3 მოიგო, მეორეში კი ბრეიკით დაწინაურდა - 3:2, მაგრამ ნიკულესკუმ ბრძოლა არ შეწყვიტა, ზედიზედ შვიდი გეიმი აიღო, მეორე სეტში გაიმარჯვა და მესამეში 3:0 დაწინაურდა, რის შემდეგაც ალარ გაჭირვებია გამარჯვების მოპოვება.

შემდეგ ეტაპზე ნიკულესკუს მეტოქე **ანდრეა პეტკოვიჩი** იქნება, რომელმაც რუსების გარეშე დატოვა პეკინის ტურნირი. გერმანელმა, რომელიც საჩემპიონო რბოლის მერვე ადგილისთვის იბრძვის, თავისთვის მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა **ანასტასია პაულიუჩენკოვასთან** მატჩში - 6:3, 7:6(2). რაც შეეხება ნიკულესკუსა და პეტკოვიჩის დაპირისპირებას, აქამდე ჩატარებულ ორ მატჩში ორჯერ ანდრეამ მოიგო.

გუშინ, პეკინმა მოქმედი ჩემპიონი დაკარგა. **კაროლინ ვოზნიაცკის** აქამდე ექვსიდან ექვსი მატჩი ჰქონდა მოგებული იტალიელი **ფლავია პენეტასთვის**. როგორც წესი, ამ მატჩებს დანიელი იოლად იგებდა, მაგრამ ამჯერად ყველაფერი სხვანაირად იყო. 2010 წლის შემდეგ ვოზნიაცკიმ პირველად წააგო სეტი მშრალი ანგარიშით წააგო. ეს მეორე სეტში მოხდა. პირველი პარტია კი დანიელმა 6:3 მოიგო, მაგრამ მეორე სეტში და მესამეს დასაწყისში მისი თამაში საერთოდ მოიშალა. პენეტამ 11-დან 10 გეიმი მოიგო, რისი წყალობითაც მესამე სეტში ანგარიში 4:1 წაიყვანა.

ახლა, კაროლინის გმირობის ჯერი დადგა. დანიელმა თითქოს საბოლოოდ მოიპოვა ინიციატივა - მოიგო ექვსიდან ხუთი გეიმი და 6:5-ზე მატჩზე ჩაწოდების უფლება მიიღო. ვოზნიაცკი 30:0-ს იგებდა და ორი ბურთი აკლდა საბოლოო გამარჯვებამდე, მაგრამ პენეტამ საქმე ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა.

შემოკლებულ გეიმში პენეტა თავიდანვე წინ გაიჭრა და როცა ანგარიში 5:1 გახდა, მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო. *“ვალდებული ვიყავი, ეს მატჩი მომეგო. ფლავიამ რამდენიმე კარგი ქულა აიღო, მე კი დამაჯერებლობა მაკლდა. სამწუხაროა, მოგებული მატჩის ასე წაგება”*, - განაცხადა მატჩის შემდეგ მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა.

“ვინერსების” რაოდენობით პენეტამ სამით აჯობა მეტოქეს (45 42-ის წინააღმდეგ), მაგრამ იტალიელის წარმატების მთავარი ფაქტორი აქტიური თამაში იყო - ფლავიამ ბადესთან 33 გასვლა 30 მოგებულ ქულაში გარდასახა. იტალიელმა კარიერაში მეორედ მოუგო მსოფლიოს პირველ ჩოგანს. პირველად ეს 2008 წელს მოხდა, როცა **ელენა იანკოვიჩი** დაამარცხა.

ფინალში გასასვლელად პენეტა პოლონელ **აგნიეშკა რადვანსკას** შეხვდება, რომელიც უგებდა ანა ივანოვიჩს 6:3, 3:2, როცა სერბმა ტრავმა მოიმიზეზა და ბრძოლა შეწყვიტა.

**1/4 ფინალი**

**ფლავია პენეტა (იტა)**-კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1) 3:6, 6:0, 7:6(2); **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 11)**-ანა ივანოვიჩი (სერ) 6:3, 3:2 უარი;. **მონიკა ნიკულესკუ (რუმ)**-მარია კირილენკო (რუს) 3:6, 6:3, **ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 9)**-ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 13) 6:4; 6:3, 7:6(2);

**1/2 ფინალი**

პენეტა-რადვანსკა (11); ნიკულესკუ-პეტკოვიჩი (9).



მონიკა ნიკულესკუ

# რაფა ჯოკოვიჩს გაუთანაბრდა

როგორც უკვე არაერთხელ ვწერდით, წელს **რაფაელ ნადალს ნოვაკ ჯოკოვიჩის** კომპლექსი შეეყარა - ესპანელმა სერბთან ექვსიდან ექვსი ფინალი წააგო, მაგრამ ახლა შეუძლია თავი იმით დაიმშვიდოს, რომ გუშინ სეზონში 64-ე მატჩი მოიგო - იმდენი, რამდენიც ნოვაკ ჯოკოვიჩს აქვს 2011 წელს.

ესპანელი ნახევარფინალში კოლუმბიელ **სანტიაგო ხირალდოს** ხვდებოდა. როგორც მატჩის შემდეგ რაფამ განაცხადა, ეს არ იყო იოლი შეხვედრა. სავარაუდოდ, რაფას მხედველობაში ჰქონდა პირველი სეტი, რომელიც მან ტაიბრეიკზე მოიგო ანგარიშით - 7:6(8:6). შეხვედრა ორ საათს გაგრძელდა და ეს იყო რაფას მეოთხე მოგება (ოთხიდან) კოლუმბიელის წინააღმდეგ.

ნახევარფინალში ნადალს გაცილებით სერიოზული გამოცდა ელის - ამ ეტაპზე მას ამერიკელი **მერდი ფიში** ელის, რომელიც წლის შემაჯამებელ ტურნირში მოხვედრისთვის იბრძვის.

ფიში, რომელიც 2002 წლის შემდეგ პირველად თამაშობს ტოკიოში, ორ საათსა და 11 წუთში გაუსწორდა ავსტრალიელ **ბერნარდ ტომიჩს** - 6:7(5), 6:4, 6:1. ამერიკელმა ბოლო 24 მატჩში მეოცე გამარჯვებას მიაღწია და ამ სეზონში მერვედ გავიდა ATP-ის ტურნირის ნახევარფინალში.

კიდევ უფრო უკეთესი მაჩვენებელი აქვს **ენდი მიურეის** - ბოლო 20 მატჩში 19 მოგება. ბრიტანელმა მხოლოდ ერთხელ წააგო საკუთარი მოწოდება **დავიდ ნალბანდიანთან** მატჩში, თავად კი ოთხი ბრეიკი გააკეთა და 6:4, 7:5 მოიგო. ენდის მხოლოდ საათი და 40 წუთი დასჭირდა ამ მატჩის მოსაგებად და ფინალში გასასვლელად ესპანელ **დავიდ ფერერს** შეხვდება, რომელიც ჰარდზე სამიდან სამ მატჩში ჰყავს დამარცხებული.

ფერერიც წლის დასკვნით ტურნირზე მოსახვედრად იბრძვის და პეკინში რაც შეიძლება შორს უნდა გავიდეს, რადგან შარშან აქ ფინალში იყო და ბევრი ქულა აქვს დასაცავი. ესპანელმა საათსა და 45 წუთში დაამარცხა **რადეკ შტეპანეკი** - 6:2, 7:6(3). ფერერი ამჟამად მეხუთე ადგილზეა რეიტინგში და წესით, არ უნდა გაუჭირდეს სეზონის შემაჯამებელი ტურნირის საგზურის მოპოვება.



რაფაელ ნადალი

■ ■ ■

პეკინის ტურნირზე ნაადრევ ფინალს უწოდებენ დღევანდელ ნახევარფინალს **ჟო-ვილფრიდ ცონგასა** და **ტომაშ ბერდიხს** შორის. ორივემ ძალიან იოლად მოიგეს გუშინდელი შეხვედრები.

ფრანგმა ცხრა ეისი ჩააწოდა **ხუან-კარლოს ფერეროს** წინააღმდეგ, თან საკუთარ მოწოდებაზე ქულების 74 პროცენტი აიღო, რამაც 71 წუთში ვეტერანი ესპანელის ორ სეტში წაგება გამოიწვია - 3:6, 4:6.

ბერდიხი ასევე ესპანელ ჩოგბურთელს ხვდებოდა. ჩეხი სასტიკად გაუსწორდა **ფერნანდო ვერდასკოს**. 66 წუთში ტომაშმა მხოლოდ ერთი გეიმი დაუთმო მეტოქეს. თუმცა ამ მატჩის შედეგი დიდად გასაკვირი არ ყოფილა - ბერდიხს აქამდე ჰარდზე შვიდიდან ექვსჯერ ჰყავდა დამარცხებული ვერდასკო. ჩეხი ამჟამად მერვე ადგილზეა რეიტინგში და ისიც წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოსახვედრად იბრძვის.

რაც შეეხება მეორე ნახევარფინალს, იქ ხორვატული დერბი შედგება **ივან ლუბიჩიჩსა** და **მარინ ჩილიჩს** შორის.

**ATP**

**China Open**

პეკინი (ჩინეთი). ჰარდი

**საპრიზო ფონდი**: 2 100 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 1)**-ხუან კარლოს ფერერო (ესპ) 6:3, 6:4; **ტომას ბერდიხი (ჩეხ, 3)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ) 6:1, 6:0; **ივან ლუბიჩიჩი (ხორ)**-მიხაილ იუჟნი (რუს) 7:6(4), 6:7(4), 6:2; **მარინ ჩილიჩი (ხორ)**-კევინ ანდერსონი (ს. აფრ) 7:6(4), 4:6, 6:1.

**1/4 ფინალი**

ცონგა (1)-ბერდიხი (3); ლუბიჩიჩი-ჩილიჩი.

**Japan Open**

ტოკიო (იაპონია). ჰარდი

**საპრიზო ფონდი**: 1 100 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**დავიდ ფერერი (ესპ, 3)**-რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 7) 6:2, 7:6(3); **მარდი ფიში (აშშ, 4)**-ბერნარდ ტომიჩი (ავსტრა) 6:7(5), 6:4, 6:1; **ენდი მიურეი (ბრიტ, 2)**-დავიდ ნალბანდიანი (არგ) 6:4, 7:5; **რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-სანტიაგო ხირალდო (კოლ) 7:6(6), 6:3.

**1/4 ფინალი**

ნადალი (1)-ფიში (4); ფერერი (3)-მიურეი (2).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**